ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა თარგმნის თეორია და

მთარგმნელობითი პრაქტიკა

თიკო მგელიაშვილი

სინ დობელნისის „უსახლკარობა ლატვიაში: გადაჭრის გზების ძიებაში“ (ტალინი; 2007; ტალინის უნივერსიტეტი)

(პირველი ოთხი თავის თარგმანი და თარგმანის ანალიზი)

ნაშრომი შესრულებულია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელები: პროფესორი: ნანა გაფრინდაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი: ლელა აბდუშელიშვილი

თბილისი

2019

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, ერთი მხრივ, სინ დობელნისის წიგნის "უსახლკარობა ლატვიაში: გადაჭრის გზების ძიებაში" პირველი ოთხი თავის ქართულად თარგმნა და, მეორე მხრივ, ამ თარგმანის თარგმანმცოდნეობითი ანალიზი თარგმანმცოდნეობის თანამედროვე თეორიების მიღწევების გათვალისწინებით.

სამაგისტრო ნაშრომის აქტუალურობას და პრაქტიკულ ღირებულებას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ ქართველ მკითხველს ქართულ ენაზე გავაცნოთ ისეთი გამოკვლევა, რომელშიც შესწავლილია უსახლკარობისა და სიღარიბის ფენომენი, მისი გამომწვევი მიზეზები და დასახულია მისგან დაღწევის გზები.

ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის ლინგვისტებისა და თარგმანმცოდნეობის თეორიტიკოსების შეხედულებები .

ნაშრომის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ სინ დობელნისის წიგნი "უსახლკარობა ლატვიაში: გადაჭრის გზების ძიებაში " ქართულად ჯერ არავის უთარგმნია და არც ამ ტიპის თარგმანმცოდნეონითი ანალიზი ჩატარებულა.

Annotation

The purpose of the study, on the one hand, is to translate four chapters of the book : " Homelessness in Latvia:In the search of understanding" by Signe Dobelniece and on the other hand, the analyse of this translation.

The actualite and practical value of the study is to introduce Georgian readers the researches about homelessness and poverty, causes of this phenomena and formulating the resolutions of this problem.

The theoritial basis of this study is the opinions of linguists and the theoriticians of the translation study.

The novelty of this study is that the book:"Homelessness in Latvia:In the search of understanding" by Signe Dobelniece has not been translated yet and this kind of analyse have not been done by now.

სარჩევი

შესავალი.....6

1.სიღარიბის თეორიული განმარტება..... 13

2. უსახლკარობა და უსახლკაროები.....51

3. კვლევის მეთოდოლოგია.....82

4.სოციალური უზრუნველყოფის სისტემა ლატვიაში.....96

სინ დობელნისის წიგნის: "უსახლკარობა ლატვიაში: გადაჭრის გზების ძიებაში"თარგმანის ანალიზი.....108

დასკვნა.....123

ბიბლიოგრაფია.....125

დანართი1. „Homelessnes in Latvia; In the search of understanding"…….127

დანართი2. თავფურცლის ინგლისური ვარიანტი.....128

სინ დობელნისი

”უსახლკარობა ლატვიაში: გადაჭრის გზების ძიებაში”

ტალინის უნივერსიტეტი

ტალინი 2007

შესავალი

ბოლო დროს საზოგადოებაში დიდი ყურადღება ექცევა უსახლკარობის საკითხს ლატვიაში, რაც შედარებით ახალი მოვლენაა. ვერ ვიტყვით, რომ საბჭოთა კავშირის დროს უსახლკაროები არ იყვნენ. თუმცა, მათი რაოდენობა მცირე იყო და უსაფრთხოების სამსახურები (როგორიცაა, პოლიცია) მარტივად აგვარებდა, ამოწმებდა თითოეულ მოქალაქეს რეგისტრირებული ჰქონდა თუ არა საცხოვრებელი ადგილი და ნამდვილად თუ ცხოვრობდა იქ. სინამდვილეში, უსახლკარო ადამიანები, მათი არსებობის შემთხვევაში, საზოგდოების უმრავლესობის თვალში ვერ ხვდებოდნენ. დამოულიდებლობის დაბრუნების, ასევე პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებში ცვლილებების პარალელურად, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა სოციალურ სფეროშიც. ისეთი სოციალური მოვლენები, როგორიცაა, უმუშევრობა და სიღარიბე, გამოიწვია ცალკეული პიროვნებებისგან დამოუკიდებელმა ფაქტორებმა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებული იყვნენ ცალკეული პირების ქმედებებთან. ერთი მხივ, მრეწველობის დესტრუქტურიზაციამ, ბევრი საწარმოს დახურვამ, პრივატიზაციამ, ფულის რეფორმამ და ბანკის კრიზისმა, სხვა მხრივ, ცალკეული პიროვნებების უუნარობამ, მოუმზადებლობამ, თუ მოულოდნელობამ, რომ შეგუებოდნენ საბაზრო ეკონომიკას, გააუარესა ადამიანების მატერიალური მდგომარეობა, იმ ადამიანების ვინც ვერ იკმაყოფილებდნენ ძირითად საჭიროებებს, როგორიცაა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში, ლატვიაში გამოჩდნენ მათხოვრები, რომლებიც ქექავენ ნაგვის ყუთებს და ღამეს სარდაფებში ან სხვენებში ათენებენ. ამ

ხალხის რაოდენობა დიდი არ იყო და იშვიათად ურთიერთობდნენ საზოგადოების დანარჩენ ნაწილთან. საზოგადოების ძველი და ახალი წარმომადგენლები თითქოს პარალელურ სამყაროში ცხოვრობდნენ, რეალობასთან მინიმალური ან არავითარი კავშირით. წლების განმავლობაში უსახლკაროთა რიცხვი გაიზარდა და შესამჩნევი გახდა. ლატვიაში უსახლკაროთა ზუსი მონაცემები არ არსებობს. სხვა ქვეყნების მსგავსად არც აქ არ აღრიცხულა უსახლკაროთა მონაცემები (კრეინ, ვანსი, 2001, "უსახლკარობის დაძლევა",1999). ჩანაწერები მხოლოდ ღამის თავშესაფრებშია შენახული. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, 2000-ზე მეტი უსახლკარო ადამიანი უნდა ყოფილიყო ლატვიაში . 2004 წელს მხოლოდ რიგაში 1716 -მა ადამიანმა გამოიყენა ღამის თავშესაფარი, თუმცა, ეს რიცხვი ზუსტად არ მიანიშნებს ქვეყანაში უსახლკაროთა რაოდენობას, რადგან არიან ადამიანები, ვინც დახმარებისვის ღამის თავშესაფრებს არ აკითხავენ. ეს აღრიცხული როცხვიც ვერ იქნება ზუსტი, ღამის თავშესაფრებში ერთიანი აღრიცხვის სისტემის უქონლობის გამო. წლის განმავლობაში ერთ ადამიანს შეეძლო მიეღო საცხოვრებელი ადგილი ერთდროულად რამდენიმე თავშესაფარში. არც ახლანდელი აღრიცხვის სისტემაა სრულყოფილი, რომელიც აჩვენებს, რომ თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება (Trapenciere, 2003: 6, socialie pakarpojumi un sociala palidziba latvija 2004, 2005: 50, 54).

არა მხოლოდ უსახლკაროთა რაოდენობა, არამედ უსახლკაროთა ცნების ზოგადი გაგებაც არ არსებობს. ეს ტერმინი ძირითადად იხმარება ადამიანებზე, რომლებსაც არ აქვთ სახლი, ასევე საკმარისი რესურსები, ვისაც არ შეუძლია შეიძინოს და შეინარჩუნოს საცხოვრებელი და მათზე, ვინც საცხოვრებლად შეუფერებელ ადგილებში ცხოვრობენ და ვინც ღამის თავშესაფრებს იყენებს. უსახლკარობა ლატვიაში ძირითადად დაკავშირებულია სიღარიბესთან და ეს აღქმულია მის უკიდურეს ფორმად.

1990-იან წლებში საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების საპასუხოდ -კრიზისი წარმოშვა გარდამავალმა პერიოდმა, რამაც უარყოფითად იმოქმედა მოსახლეობის ცხოვრების წესზე და წარმოქმნა ღარიბი ხალხის დიდი ფენა. მოხდა სოციალური სისტემის ჩამოყალიბება. მისი მიზანი იყო დახმარება გაეწია საზოგადოების ცალკეული პირებისათვის ძირითად საჭიროებებზე და განევითარებინა და განეახლებინა მათი

სოციალური შესაძლებლობები, ასევე სურდა შეემცირებინა სოციალური დაძაბულობა და გაემარტივებინა საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესი. 90-იანი წლების შუა ხანებში მიღებულ იქნა გარკვეული საკანონმდებლო აქტები, მათ შორის, სოციალური სფეროს რეგულაცია და ამავდროულად ინიცირებლი იქნა სოციალური დახმარების დაწესებულებებიც. ძირითადად ყურადღება ექცეოდა სციალურად დაუცველ ხალხს და მათი პრობლემების მოგვარებას. დიდი რაოდენობით იყო ისეთი ხალხი, ვინც არ იყო გაერიანებული შრომით ბაზარზე და არსებობისთვის საკმარისი საშუალება არ ჰქონდა. გამახვილებული იყო ყურადღება სიღარიბის შემცირებაზე და ეს საქმიანობა მიემარებოდა სიღარიბის რისკის ქვეშ მყოფი ხალხის ჯგუფებს -ბავშვიანი ოჯახები, მარტოხელა მოხუცები, უნარშეზღუდულები და სხვა. უსახლკარო ხალხი არ გამოირჩეოდა, როგორც განსაკუთრებული სამიზნე ჯგუფი. მათ შეეძლოთ მიემართათ სოციალური დახმარების და მომსახურებისთვის, როგორც ღარიბ ხალხს. ერთადერთი მომსახურება, რაც ამ ხალხისთვის არსებობდა იყო ღამის თავშესაფრები.

მიუხედავად განვითარებადი სოციალური კანონმდებლობისა, რომელიც საგულდაგულოდ დამუშავდა ევროპული სტანდარტების დაცვით და ჩამოყალიბებული სოციალური უზრუნველყოფის სისტემისა, ლატვიას აქვს პრობლემები, რომლებიც შემცირების ნაცვლად- იზრდება .

უსახლკარობა მიჩნეულია მზარდ პრობლემად, რომელიც ვერ გადაწყდა სათანადოდ. ლატვიაში დღემდე არ ჩატარებულა კვლევა უსახლკარობაზე, მის გამომწვევ მიზეზებზე, უსახლკარო ხალხის ცხოვრებაზე და მათი გადარჩენის შანსებზე, არსებულ პრობლემებზე და მათ მოგვარებაზე. ასევე არ გამოკვლეულა უსახლკარობასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც. ისინი ნახსენებია, მარა არა გამოკვლეული სხვადასხვა კვლევებში, რომლებიც შეეხება ისეთ პრობლემურ საკითხებს, როგორიცაა- სიღარიბე, უმუშევრობა, საწარმოო ნარჩენების გამოყენება. ამ ნაშრომის ავტორი 1999 წელს დაინტერესდა უსახლკაროებით, მათი ცხოვრების წესით, იმ პრობლემებით, რასაც ისინი ხვდებიან და მათი გადაჭრის ხერხებით, როდესაც დაფინანსდა ლატვიის საკონსულოსგან და დაიწყო უსახლკაროთა გამოკვლევა. ლატვიასთან შედარებით , სადაც თითქმი არაფერი ჩატარებულა ამ სფეროში, ევროპის სხვა ქვეყნებში უფრო მეტი

ყურადღება ექცევა უსახლკარობის კვლევას. განსაკუთრებით, დიდ ბრიტანეთში, ასევე ავსტრალიაში, ა.შ.შ-ში . 80-იან წლების ევეოპაში უსახლკარობის შესწავლის საკითხი ვიწრო იყო, მხოლოდ მათი აღრიცხვით შემოიფარგლებოდა , ვისაც ქუჩაში ან ღამის თავშესაფრში ეძინა. ისინი მისდევდნენ უსახლკარობის პრობლემის შესწავლას. 19-ე საუკუნის მეორე ნახევაში ევროპელი მკვლევარების ყურადღება მიიქცია სოციალურმა პოლისებმა, მომსახურებებმა და უმწეოებისათვის საკვებით მომარაგებამ.

უსახლკარობის კვლევისას მკვლევარები დიდ ყურადღებას აქცევენ მის ცნებას. (Tipple, Speak 2004, Speak, 2004 , Springer ,2000, ანდერსონი, კრისტიანი, 2003, ჩემბერლენი, 2001, ფიკპატრიკი 2000). მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მკვლევარი შეეხო ამ საკითხს, მაინც არ ჩამოყალიბებულა ამ სიტყვის ერთსახოვანი და საზოგადოდ მიღებული ცნება. შეისწავლეს უსახლკარობის გამომწვევი მიზეზები და ფაქტორები , რომლებიც მასზე მოქმედებს (Pleace and Qualgars, 2003 Pleace 1998, Paugam, 1999,Brandt 1992,.) არსებობს კვლევა ცალკეული პირების მოძრაობაზე უსახლკაროთა რიცხვებში.(Casey 2002) და პიროვნულობაზე მის ზემოქმედებას. (Zufferei , kerr , 2004) . მოგვიანებით მკვლევარემა ყურადღება მიაქციეს დიდხნიან უსახლკარობას, უსახლკარო მიგრანტებს ,აღმოსავლეთი ევროპიდან შემოსული მიგრანტების ჩათვლით. გამოკვლეულ იქნა სიღარიბის გამომწვევი სხვა ფაქტორებიც. ასევე სხვადასხვა თეორიული სისტემა და მეთოდია გამოყენებული მის შესასწავლად. ასე , მაგალითად, კვლევები დამყარებულია სოციალური კაპიტალის კონცეფციაზე (France) ,სოციალურ გამონაკლისებზე(Italy), ინტერპრეტაციის მეთოდზე - ურთიერთქმედითი და ეთნომეთოდოლოგიური სკოლები. (დანია, ნიდერნალდები,) (Quaglia 2005)

თუმცა, ნაკლები ყურადღება ექცევა უსახლკარობას სიღარიბის კულტურის ცნებაში, და ახლანდელ კვლევაში გვექნება მასთან საქმე. კვლევა შეიქმნა ,როგორც ლატვიაში არსებული უსახლკარობის ხარისხობრივი შესწავლა. ხარისხობრივი მეთოდოლოგია შეირჩა იმ მიზეზით, რომ აქამდე ამ საკითხის შესწავლაზე არ ყოფილა ინფორმაცია. ეს იყო საზოგადოებისთვის შედარებით ახალი, უცხო და შეუსწავლელი პრობლემა . ამრიგად, ხარისხობრივი კვლევითი შესწავლა უფრო შესაფერისი გახდა.

ლატვიაში სოციალური ანალიზისას ნათელი გახდა შეუსაბამობა :ერთი მხრივ, ჩამოყალიბდა სამართლებრივი საფუძვლები და სოციალური უსაფრთხოების სისტემა, სოციალურ დაწესებულებებს ჰქონდათ დიდი დიაპაზონი სოციალური პრობლემების გადასაჭრელად , მაგრამ , სხვა მხრივ , უსახლკარობა იზრდება და ხალხის ძირითადი საჭიროებები ვერ კმაყოფილდება.

ამ ნაშრომის მიზანია ლატვიაში უსახლკარობის გამოვლენა და უსახლკაოების თვალთახედვით მისი გამომწვევი მიზეზები. ასევე იმის გარკვევა სოციალური მომსახურების და დახმარების სისტემა თუ ითვალისწინებს უსახლკარო ხალხის განსხვავებულ ბუნებას.

მიზმის მისაღწევად შემდეგი ამოცანები დაისახა:

. თეორიული მიდგომის ანალიზი სიღარიბის გამოწვევისას-ინდივიდუალური, სტრუქტურული და კულტურული განმარტებები.

. ბევრმა ავტორმა გააანალიზა უსახლკარობის და უსახლკაროების შესახებ თეორიული ლიტერატურა და სწავლებები, ამ ცნებების შინაარსზე, ასევე უსახლკარობის გამომწვევ მიზეზებზე და ძირითად თავისებურებებზე ყურადების გამახვილებით.

. ლატვიის კანონმდებლობის მიხედვით დახმარების სისტემა ყურადღებას ამახვილებს უსახლკაროთა სოციალურ მომსახურებასა და დახმარებაზე.

. უსახლკარო ხალხის თვალთახედვით შევისწავლოთ უსახლკარობის პრობლემა ლატვიაში, როგორც სიღარიბის უმძიმესი ფორმა და გავარკვიოთ არის თუ არა დამახასიათებელი მათთვის სიღარიბის მდგომარეობა.

ჩამოყალიბდა სამი მნიშვნელოვანი საკვლევი კითხვა:

. რა არის უსახლკარობის მიზეზი ამავე ხალხის აზრით?

. უსახლკაროთა შორის თუ არიან ისეთი ადამიანები ვინც ეგუებიან სიღარიბეს?

. ლატვიაში უსახლკარობის პრობლემის გადასაჭრელად ითვალისწინებს თუ არა სოციალური დახმარების სისტემა უსახლკაროთა სპეციფიურ მახასიათებლებს და მათაც ვინც შეგუებული არიან სიღარიბის მდგომაეობას?

ქვემოთ მოცემული მეთოდები გამოყენებულია ამ მიზნის მისაღწევად და შესამოწმებლად.

. სიღარიბის , უსახლკარობის და უსახლკაროების თეორიული განმარტებების მოძიებული ლიტერატურის ანალიზი.

.დოკუმენტების ანალიზი - საერთაშორისო , ევროპული და ლატვიური დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ სოციალურ უფლებებს, მომსახურებებს და დახმარებებს.

. ნახევრად სტრუქტურული გასაუბრებები.

ნაშრომი შედგება ხუთი თავისგან. იმის გათვალისწინებით ,რომ სოციალური უსაფროთხოების სიტემაში უსახლკაროები მიჩნელია, როგორც ღარიბი ხალხი და არა როგორც განსაკუთრებული სამიზნე ჯგუფი. ნაშრომის პირველი თავი გვაცნობს სიღარიბის თეორიულ მეთოდებს. დასაწყისში სიღარიბის თითოეული განმარტება გაანალიზებულია - გენეტიკური არასრულფასოვნება , ფსიქოლოგიური პრობლემები, როგორც სიღარიბის გამომწვევი მიზეზი, ეკონომიკური ახსნა, ადამიანური კაპიტალის თეორიაზე ყურადღების გამახვილება. მომდევნო ქვეთავი ეძღვნება სიღარიბის სისტემურ განმარტებას, რომელიც ძირითადად გამომდინარეობს მარქსიზმიდან და კონფლიქტის თეორიიდან- კაპიტალიზმის დროს შრომითი ბაზრის ორგანიზებას და საზოგადოების კლასობრივ დაყოფას. ფუნქციონალიზმის მიდგომა ასევე მიემართება საზოგადოებაში სიღარიბის ფუნქციურ აუცილებლობას, რომლის თავიდან აცილებაც არ შეიძლება. ამ თავის ბოლო ნაწილი ეძღვნება სიღარიბის კულტურულ განმარტებას - კულტურის წართმევას , ღატაკების კლასს და სიღარიბის კულტურის თეორას.

ნაშრომის მეორე თავი ეხება უსახლკარობის განმარტებებს და ლიტერატურაში მათი არსებობის შესაძლებლობას, ისევე, როგორც უსახლკარობის გამომწვევი მიზეზები აქ განვიხილეთ -ინდივიდუალურად და სისტემურად. ასევე მოცემულია უსახლკარო ხალხის ძირითადი მახასიათებლები.

მესამე თავში მოცემულია ავტორის მიერ ამ ნაშრომში შესწავლილი საკითხების განხილვა. დახასიათებულია გამოყენებული მეთოდები და ნიმუშები.

მეოთხე თავი განიხილავს ლატვიის სოციალური უსაფრთხოების სისტემას და ნორმატიულ დოკუმენტებს, რომლებიც მას არეგულირებენ. ეს თავი გვიჩვენებს სისტემის სტრუქტურას და მის ძირითად მახასიათებელ ელემენტებს- სოციალური დაზღვევა და სოციალური მომსახურებები. აქ ასევე შევეხებით უსახლკარო ხალხთან მიმართებით

სოციალურ საქმიანობას და სოციალური მუშაკების მიერ შეთავაზებულ მომსახურებას და ღამის თავშესაფრებს.

ბოლო თავში განხილულია უსახლკარო ხალხთან გასაუბრებისას მიღებული მასალები. ყურადღება გამახვილებლია უსახლკარობაზე , ასევე, როგორ ჩანს უსლკაროებისგან როდესაც ხარ განსაკუთრებული სიღარიბის შემთხვევა . ამ თავში განხილულია ინდივიდუალური , სისტემური და კულტურული შემთხვევები. ეს კვლევა აჩვენებს, რომ მხოლოდ ღარიბები არ არიან უსახლკაროები. ასევე ისინი, ვინც რესურსების ნაკლებობას განიცდის , ის უსახლკაროებიც , რომლებიც გაბატონებული საზოგადოებისგან თავისი ცხოვრების წესით განსხვავდებიან.

ეს კვლევა შეიძლება მივიჩნიოთ იმ სფეროში გარკვეული წვლილის შეტანად , რომელიც, აქამდე ლატვიაში არ განხილულა. ეს ნაშრომი შეიძლება გვაჩვენებდეს უსახლკარობის , როგორც საწყის ასევე ფართო კვლევას. ასევე გვაწვდის სოციალური უსაფროთხოების სისტემებს და მათ მოქმედების საფუძვლებს, როგორც მთლიანი საზოგადოების, ასევე სოციალური მუშაკების დამოკიდებულებას, კერძოდ მიმართლს განსხვავებულისკენ. საზოგადოება არ არის ერთფეროვანი, ამ საკითხს უნდა მიექცეს ყურადღება სოციალური დახმარების სისტემის ჩამოყალიბებისას, რადგან ამ სისტემის მომსახურება საზოგადოების ყველა წევრისთვისაა განკუთვნილი. ამ საკითხზე გაამახვილა ყურადღება ევროპელმა კონსულმა -რომ გაადვილდეს ხელმისაწვდომობა ყველა რესურსზე, უფლებაზე , სიკეთესა და მომსახურებაზე. (Nice European Council .სითარიბის და სოციალური დაყოფის წინააღმდეგ ბრძოლა. 2000)

1. სიღარიბის თეორიული განმარტება

სიღარიბის ცნება მრავალგანზომილებიანი და კულტურულად განსაზღვრულია . აქამდე მკვლევარებმა ვერ შეძლეს სიღარიბის ზუსტი და საყოველთაოდ მიღებული განმარტების განსაზღვრა. განსხვავებული მიდგომა გამოიყენებოდა სხვადასხვა დროს სხვადასხვა საზოგადოებაში. სიღარიბის განმარტებები ორ ჯგუგფად ლაგდება. აბსოლუტური (საარსებო) და შედარებითი (ბენეფიციული ჩამორთმევა და ანულირება).

აბსოლუტური განმარტება განიხილავს მოთხობნილებების დასაკმაყოფილებლად არასაკმარის რესურსებს. შედარებითი განმარტება სიღარიბეს განიხილავს განსაზღვრულ სოციალურ კონტექსტში და საზოგადოების სხვა წევებთან ურთიერთობაში განსაზღვრავს მას. (უფრო დეტალური ანალიზისთვის იხ.: დობელნისი,1998)

სიღარიბის განმარტება, რომელიც ლატვიის სოციალურ სფეროში იხმარბა (პროგრამებსა და სამოქმედო გეგმებში, სიღარიბისა და სოციალური გამონაკლისების აღმოსაფხვრელად და სხვა)დამუშავებულია მსგავს საკითხებში და ამტკიცებს, რომ ღარიბია ის , ვისი შემოსავალი და რესურსები (ეკონომიკური , სოციალური და კულტურული) იმდენად შემცირებლია, რომ მათი ცხოვრების დონე საზოგადოებაში მიღებულზე უფრო დაბალია. (Latvijas nationalais ricibas plans nabadzibas…)

სიღარიბე შეიძლება განვიხილოთ, როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ პრობლემად. ვრაით მილსს უკვე ნაჩვენები აქვს პერსონალურ და საზოგადოებრივ პრობლემებს შორის განსხვავება. პირველი მათგანი მიემართება ინდივიდებს , მათ ხასიათს , პირდაპირ გარემოს და სხვა ხალხთან ურთიერთობებს, მეორე კი, პიროვნებებისა და მათი პირდაპირი გარემოს შემდგომ მოვლენას , რა არის ინსტიტუციონალური, სოციალურად სტრუქტურული და ისტორიულად განპირობებული მიზეზები.(მაილსი 1959). ეს დანაყოფი დაკავშირებულია საკითხის გამომწვევ , შემაგენელ და პრობლემის გადამჭრელ საკითხებთან. პირადი პრობლემის გამომწვევად ძირითადად მიიჩნევა არაადეკვატური ადამიანი და მისი საქციელი, დადანაშაულებულია მსხვერპლი თავისი მდგომარეობის გამო. საზოგადოებრივი პრობლემის გამომწვევ მიზეზებს და გადაჭრის გზებს უნდა შევხედოთ ადამიანისგან დამოუკიდებლად. მიუხედავად იმისა, რომ ის იტანჯება პრობლემის გამო, დამნაშავე სხვა არ არის, რადგან პრობლემა გამოწვეულია არაადეკვატური საზოგადოების მიერ.

სიღარიბის განმარტება ორ ძირითად კატეგორიად შეიძლება დაიყოს.

- პრობლემის ახსნა , რომელიც მიმართულია “მსხვერპლის დადანაშაულებისკენ”.
- პრობლემის ახსნა ,რომელიც მიმართულია “სისტემის დადანაშაულებისკენ”.

სინამდვილეში, ეს დაყოფა არ არის იმდენად სრულყოფილი, რამდენადაც ადამიანები, რომლებიც განიცდიან პირად პრობლემებს, ცხოვრობენ გარკვეულ

ინსტიტუციონალურ და საზოგადოებრივ გარემოში, რომელიც არა მარტო გარს ეკვრის, არამედ გავლენასაც ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე. პირად პორობლემებსა და საზოგადოების ძალებს შორის მუდმივად არსებობს მუდმივი ურთიერთობა. ამრიგად, ღარიბი ადამიანის ბედი ახლო კავშირშია იმ საზოგადოებასთან, რომელშიც ცხოვრობს. თუმცა, საზოგადოების უმეტესი ნაწილი ფიქრობს, რომ ვინც ღარიბია, თვითონაა დამანაშავე ამ სიღარიბეში.

1.1 სიღარიბე, როგორც პირადი პრობლემა

ეს მდგომარეობა, რომელიც ტიპურია დასავლური საზოგადოებისათვის, დაფუძვნებულია რწმენაზე, ადამიანს აქვს გადაწყვეტილებების მიღების, თავისი ცხოვრების მართვის და კონტროლის უნარი. "ადამიანი თვითონ ივიწყებს თავის ბედნიერებას" . ამას მოჰყვება ის, რომ მათ სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ თავიანთ საქციელზე და იმ გარემოზე, რომელშიც იმყოფებიან. ეს ხელს უწყობს საზოგადოებაში დომინირებლ სტერეოტიპს, რომელიც სიღარიბეს უკავშირებს ადამიანის პირად თვისებებს- მოტივაციის და დისციპლინის ნაკლებობას. არიან მწერლები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სიღარიბე შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის შეზღუდვამ, მისმა გონებაშეზღუდულობამ, ან არაადეკვატურობამ, ან სხვა პიროვნულმა ნაკლოვანებებმა. გარკვეულ დონეზე, ეს სტერეოტიპები აისახება პოლიტიკურ და იდეოლოგიურ შეხედლებებზე. აღიარებული ინსტიტუციონალური ან სტრუქტურული ნაკლოვანებები ჩანაცვლებულია სიღარიბის პათოლოგიზაციით- ადამიანის პათოლოგია მიჩნეულია სიღარიბის გამომწვევ მიზეზად.

იმ შემთხვევაში, თუ სიღარიბეს განვმარტავთ პირად პრობლემად, პიროვნებები შეისწავლება თავისი ბიოლოგიური თვისებებით, ეკონომიკური შესაძლებლობებით და ფსიქოლოგიური მახასიათებლებით. განიხილება, როგორც გენეტიკური და ეკონომიკური , ასევე პრობლემური პიროვნებები.(ჰოლმენი, 1978-55, 59).

გენეტიკური არასრულფასოვნება

ეს მიმართულება ემყარება რწმენას, რომ ქცევა და სოციალური სტატუსი, პირდაპირ და მნიშვნელოვნად განისაზღვრება ბიოლოგიურად მემკვიდრეობით გადაცემული მახასიათებლებით და ხასიათის ნიშნებით.

განმარტებების სამი ძირითადი ჯგუფი შეიძლება მოვიძიოთ, რომლებიც დაკავშირებულია მემკვიდრეობით გადაცემულ სიღარიბის მახასიათებლებთან:

- არაადეკვატურობის სინდრომი, ან პაუპერიზმი(იგივე სიღატაკე) გენეტიკურად გადაეცემა ერთი თაობიდან მეორეს.
- შემოსავალი დამოკიდებულია ინტელექტზე , მაგრამ ეს თავის მხივ თანდაყოლილია.
- გონებრივი დაავადებები და მერყევი ხასიათი თანდაყოლილია. ადამიანები ამ მახასიათებლებით მიდრეკილები არიან სოციალური უფლების შეზღუდვისაკენ. (ჰორმენი, 1978: 56)

გენეტიკური ნაკლოვანებების იდეას აქვს დიდი ისტორია, რომელსაც გადავყავართ სოციალურ დარვინიზმში, იმის მტკიცებით, რომ ის ხალხი ვინც დგას ეკონომიკის , საჯარო ადმინისტრაციის და პოლიტიკის მიღმა, შეუძლია მათში ჩართვა, რადგან თავიანთი ბიოლოგიური თვისებებით ზემდგომები არიან. ამრიგად, სოციალური დაყოფა აისახება პრინციპზე, “ყვლაზე მეტად მორგებადი გადარჩება”. შემოსავლების და ძალაუფლების განაწლება ააშკარავებს ბიოლოგიურ კანონებს და როგორც ბუნებრივი კანონები შეუცვლელია, უთანასწორობა შენარჩუნებულია საზოგადოების შემადგენელ ნაწილად. (როპერსი, 1991:117-120).

ბევრი საგულდაგულოდ დამუშავებული გენეტიკური ნაკლოვანებების თეორია ამტკიცებს, რომ სიღარიბე გამოწვეულია დაბალი ინტელექრით. ამას ამტკიცებს შემდგომი წინადადებები:

- “აი ქიუ” ტესტით ინტელექტის გაზომვა.
- ინტელექტი განისაზღვრება ბიოლოგიურად მემკვიდრეობით.
- ინტელექტი განსაზღვრავს განათლების, მომზადების, პროფესიის და შემოსავლის დონეს და სოციალურ სტატუსს.

არიან ავტორები, რომლებიც კამათობენ, რომ მემკვიდრეობით გააცემული განსხვავებები უფრო მნიშვნელოვანია წარმატების მისაღწევად, ვიდრე -გარემოში მიღებული. (იხ. ჰერმსტეინი,მურეი, 1994). ადამიანის სიმდიდრე ან სიღარიბე განისაზღვრება დაბადებიდან, როდესაც მემკვიდრეობით გადაეცემათ არა კაპიტალი არამედ გენები (იხ. ბოისონი ;1971). ასევე ეისენკი მხარს უჭერს აზრს, რომ "აი ქიუს" აქვს მნიშვნელივანი როლი ადამიანის სოციალური სტატუსის განსაზღვრისას და ფიქობს, რომ გონებრივი შესაძლებლობები ადამიანს შეიძლება გადაეცეს ბიოლოგიურად.(ეისეკი 1973:72). ამ მიდგომის მხარდამჭერების შეხედულებით ინტელეტუალური სხვადასხვაობა ძირითადად გამოწვეულია ბიოლოგიური განსხვავებებით : "აი ქიუს" 80% თანდაყოლილია , 20%-კი გარემოს ზეგავლენით შეძენილი და ეს "აი ქიუ" რჩება უცლელი მთელი ცხოვრების განმავლობაში. (იხ. როპერსი, 1991-121-125).

ადამიანები ძირითადად ქორწინდებიან თავიანთ სოციალურ კლასში, მაგრამ საზოგადოება მზადაა იმ კლასში ცვლილებებისთვის, რომელიც ეყრდნობა გონებრივ შესაძლებლობებს. ამრიგად, "აი ქიუს " სხვაობა მაღალ და დაბალ კლასებს შორის უნდა გაზრდილიყო სულ უფრო და უფრო დიდი სოციალური კიბის წარმოქმნით. (ჰერნსტეინი, 1973, 145) გენეტიკური და "აი ქიუ" შუალედი მაღალ და დაბალ კლასებს შორის უნდა გაზრდილიყო. ამ შეხედულებით, გენეტიკურმა ფაქტორებმა შექმენს სულ უფრო და უფრო მყარი, სოციალურად დაშრევებული საზოგადოება.

თანდაყოლილი გონებრივი ან ფსიქიკური არასრულფასოვნება იმდენად ხშირად არ არის ნახსენები სიღარიბის გამომწვევ მიზეზად, რამდენადაც ინტელექტუალური არასრულფასოვნება. თუმცა, ფსიქიკური დაავადებების წარმოშობის საკითხი მარტივი არ არის. მხოლოდ რამდენიმე ავტორი მიიჩნევს, რომ ისინი შეიძლება გამოწვეული იყოს ზოგიერთი გენეტიკური ფაქტორით. კიდევ ერთი სუსტი არგუმენტია ემპირიულ ცდაზე დაყრდნობილი სწავლების ნაკლებობა, რომელიც ამოწმებს გონებრივ დაავადებებსა და სიღარიბეს შორის ურთიერთკავშირს. ამგვარად, არ მტკიცდება, რომ სიღარიბე გამოწვეულია ფსიქიკური დაავადებებით, რომლებიც გენეტიკურად გადადის. (იხ. ჰორმენი, 1978-65-66).

გენეტიკური არასრულფასოვნების თეორია ბევრი ავტორის კრიტიკის

საგნად იქცა, გენეტიკური ნაკლოვანების ასპექტებზე ყურადღების გამახვილებით. კრიტიკა სხვადასხვა მიმართულებებს შეეხო და რამდენიმე მათგანი მოცემულია :

ინტელექტის შესამოწმებლად "აი ქიუ "ტესტის გამოყენება გაკრიტიკდა. არიან ავტორები რომლებმა უარყვეს ინტელექტის ცნება და მისი განმარტება. მკვლევარებმა ეჭვი შეიტანეს, რამდენად სწორად ზომავდა ინტელექტს "აი ქიუ " ტესტი, როგორც ცალკეული, თვლადი, თანდაყოლილი ობიექტი. კამათობენ, რომ ტესტები კულტურულად განსაზღვრულია და შესაძლებელია გამოაჩინოს კულტურული და კლასობრივი განსხვავებები, რომლებიც საბოლოოდ განმარტებულია ,როგორც პიროვნების ინტელექტუალური შესაძლებლობები და არა ინტელექტის გამზომი. (კოგენი, 1973, კნიჩერბოკი, 1979, ფიშერი 1996-42-49). მოწინააღმდეგეების შემდეგი ჯგუფი ამტკიცებს, რომ ინტელექტი არ არის თანდაყოლილი და მუდმივი, (ბრესლაუ, 2001 , რუთერი, 2002, 2005, რუთერი და მადგი1976, დუიმე 1999,შჩიფი 1982), რომ მასზე გარემო ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ. მაგალითად, ჯენკსმა გამოთვალა, რომ ინტელექტის 45% დამოკიდებულა მემკვიდრეობაზე, 35% -გარე ფაქტორებზე და დარჩენილი 20% არის კოვარიაციული. (ციტირებულია: ჰოლმენიდან 1978).

ასევე კრიტიკის საგანი გახდა იმ აზრის მტკიცება, რომ ინტელექტი (მისი წარმოშობის მიუხედავად) არის ერთადერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი სოციალური სტატუსის, კეთილდღეობის და სიღარიბის განსაზღვრისას. ამ დამოკიდებულებით ეისენგი მივიდა დასკვნამდე, რომ თუ შეფასების ერთადერთი კრიტერიული ინტელექტი იქნებოდა, მაცხოვრებლების 55% შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ეკუთვნიან საზოგადოების შესაფერის კლასს, 23% - უფრო მაღალს ,ვიდრე შეესაბამება, 22% კი- უფრო დაბალს. (ეისენკი, 1973, 140-141).

გენეტიკური არასრულფასოვნების თეორია პოპულარული გახდა გასული საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში, ამის შემდეგ თანდათანობით კარგავს თავის პოზიციას და სხვა მიდგომები ენაცვლება მას.

ფსიქოლოგიური პრობლემები

ბოლო საუკუნეში პოპულარული გახდა შეხედულება, რომ საზოგადოების პრობლემების უმრავლესობა კონცენტრირებულია საზოგადოების მცირე ნაწილზე. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადება ექცეოდა ამ საუკუნის 50-იან და 60-იან წლებში. შემდგომში გაჩნდა "პრობლემური ოჯახების" ცნება და სოციალური მუშაკების საქმიანობა გადაერთო ასეთ ოჯახებზე.

ცნება "პრობლემური ოჯახები" ჯერ ზუსტად არ არის განმარტებული, და ავტორები ცდილობენ სისტემურად განმარტონ, ყველა ტიპური მახასიათებლის და პრობლემის გათვალისწინებით. პრობლემურ ოჯახებში ძირითადად იგულისხმება ისეთი ოჯახები, რომლებიც გათანაბრებულია პაუპერიზმსა და სისხლის სამართლის დანაშაულებთან, გონებრივ და ფსიქიკურ შეზუდვებთან, ადამიანებთან, რომელთა წინააღმდეგ სასამართლოში საქმეა აღძრული, თავიანთი ბავშვების უყურადღებოდ დატოვების გამო. ისინი ძირითადად ყურადღებას არ აქცევენ თავიანთ საცხოვრებელ სახლებს, არასაკმარისად უვლიან შვლებს, არ არიან ჯანმრთელები, არ შეუძლიათ სოციალურ სერვისებთან თანამშრომლიბა და მათი მომსახურების გამოყენება. ყველაზე დამახასიათებელ ფაქტორად ნახსენებია ანომალური (ნორმებიდან გადახვეული) ან უკანონო საქციელი. მეტიც ასეთ ოჯახებს აქვთ დაბალი შემოსავალი, შეუფერებელი საცხოვრებელი პირობები და როგორც ბ. ვუთენი ამბობს, სიღარიბე მათთვის ჩვეულებრივ მვლენად არის ქცეული. ავტორები ყურადღებას ამახვილებენ უფრო მეტ მახასიათებლებზე- უმეტესად ასეთი ოჯახები არიან მრავალშვილიანები. ზოგიერთი ავტორი (, მაგალითად ვრაითი და ლუნი) ვითარებას შემაშფოთებლად მიიჩნევს, რადგან ცუდი მაგალითები შეიძლება ფართოდ გავრცელდეს. (ჰოლმენი, 1978, 86-87).

სინამდვილეში, სიღარიბე აღქმულია, როგორც შეუფერებელი ინტერპერსონალური ურთიერთობების შედეგი, ასეთი შეხედულება სიღარიბეს არ უკავშირებს დაწესებულებებს, მაგრამ, სრულ პასუხისმგებლობას აკისრებს ცალკეულ არაადეკვატურ პიროვნებებს.

1950-იან 60-იან წლებში ამ შეხედულების დასამტკიცებლად ბევრი კვლევა ჩატარდა. ემპირიულადაა დამტკიცებული, რომ პრობლემური ოჯახები ამოიცნობა დაბალი მორალური სტანდარტებით, ალკოჰოლის გადაჭარბებული მიღებით,

კრიმინალის დონით, უყურადღებოდ დატოვებული ბავშვებით, ეკონომიკური კეთილდღეობის და ფულთან დაკავშირებული პრობლემების მოუგვარებლობით და როგორც ერთ-ერთი არასადავო მახასიათებელი, სიღარიბე ყოველთვის ნახსენებია.(ჰოლმენი 1978:88).

ფსიქოლოგიასა და ფსიქიატრიაში აღმოჩნდა ამ მრავალპრობლემური მდგომარეობის ახსნა. ამ მიზნით ჯ. ბოულბაის ნამუშევარი-მიჯაჭვულობის თეორია- ამ საკითხთან შესაფერისი აღმოჩნდა, სადაც ის განმარტავს, რომ ზრდასრული ადამიანის ყოფაქცევაში ნაკლოვანებები გამოწვეულია ბავშვობაში მშობლებთან არასაკმარისი ემოციური ურთიერთობით, განსაკუთრებით დედასთან. (იხ: ჰოლმის 1982) ბავშვობაში დედასთან დაშორება იწვევს ღატაკ ზრდასრულებს ჭარბი პრობლემებით, რომელსაც მივყავართ სიღარიბემდე.

ეს იდეები სრულყო ე. ირვაინმა. მისი ფუნდამენტალური თეზისები შემდეგია: უქონელი ბავშვები, ვისაც არ აქვთ ოჯახთან ნორმალური ურთიერთობა ნორმალურად ვერ ყალიბდებიან. ზრდასრულობისას იქცევიან ბავშვივით, რათა აკონტროლონ თავიაანთი იმპულსები, რათა დაგეგმონ , დაიცვან და იზრუნონ თავიანთ კეთილდღეობაზე . შედეგად მათ არ შეუძლიათ ფინანსურად და საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ასევე არ შესწევთ უნარი ჩაერთონ მყარ საქმიან ურთიერთობებში. (ჰოლმენი, 1978:89-90) შეხედულება იმაზე, რომ ზემოთ ხსენებული პრობლემების გამომწვევი მიზეზია სიღარიბე და ინდივიდის უუნარობა , ჩამოაყალიბა შეხედულება, რომ ეს პრობლემა არ მდგომარეობს მხოლოდ ფულის ნაკლებობაში. შესაფერისი თანხის გამომუშავების შემთხვევაშიც შესაძლოა ეს პრობლემა არ გადაწყდეს, რადგან ფული შეიძლება დაიხარჯოს უმნიშვნელო ნივთებში და არა საჭიროემისამებრ და ოჯახი შეიძლება დაუბრუნდეს საწყის წერტილს, სიღარიბეს. შეხედულება იმის შესახებ, რომ ფლიქოლოგიური პრობლემების მოგვარების გარეშე სიღარიბე ვერ დაიძლევა გამყარდა.

ღატაკ, მორალურად მოუმწიფებელ და პიროვნულად ჩამოუყალიბებულ ადამიანების შესახებ შეხედულებას მხარს უჭერენ სოციალური მუშაკები. 60- იანი წლების შუა ხანებში ამერიკაში წარმოიშვა შემდეგი ტერმინები :“ პრობლემური ოჯახი”, “ ზანგების

ოჯახები” ან “შავკანიანების ოჯახები”, რომელიც შეიძლება დახასიათდეს მრავალი პრობლემის წარმომქმნელ ძირითად ფაქტორად. არასტაბილური ოჯახები შეიძლება იყოს ბევრი პრობლემის გამომწვევი ძირითადი მიზეზი. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით შავკანიანების ქორწინებების 1/4 სრულდებოდა დაშორებით, შავკანიანების ბავშვების ¼ იბადებოდნენ ისეთი მშობლებისგან , რომლებიც არ იყვნენ ოფიციალურ ქორწინებაში, შავკანიანი ოჯახების 1/4 იმართებოდა ქალების მიერ(ropers; 1991:142) ოჯახების გაძლიერების საკითხი გახდა ძალიან აქტუალური, ამ მიზნის მისაღწევად ურჩევდნენ ფსიქოთერაპიას, ამის შემდეგ შავკანიანები გაუთანაბრდებოდნენ თეთრკანიანებს, რითაც ბევრი სოციალური პრობლემა გადაწყდებოდა.

სიღარიბის ცნების ფსიქოლოგიური მიდგომა უნდა განვასხვაოთ, როგორც ჩანს მსგავსი ტერმინებისგან-სიღარიბის არ მქონე კულტურა, სადაც ყურადღება ექცევა ტრადიციულად ჩამოყალიბებულ ქცევით ნორმებს, რომლებიც განიმარტება სოციოლოგიური ცნებების დახმარებით. ყველა ოჯახის ინდივიდუალური ქცევა გამოდის წინა პლანზე, რომელიც იქმნება ადამიანთა შორის ურთიერთობებით და განიხილება ფსიქოლოგიური ტერმინებით.

მიუხედავად იმისა, რომ სიღარიბის ფსიქოლოგიურ ახსნას ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდა, განსაკუთრებით სოციალური მუშაკებს შორის და ეს მიდგომა დომინირებდა ომის შემდგომ პერიოდში, ის მაინც გახდა კრიტიკის ობიექტი:

- კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა აზრი, რომ ბავშვობის წლების დაკარგვა არის მნიშვნელოვნად დამოკიდებული მოგვიანებით წლებში ადამიანის არასრულფასოვან ფუნქციონირებასთან. ეს ჯერ კიდევ გარდაუვალი არ არის.
- არ არსებობს დამაჯერებელი არგუმენტები, რომლებიც დავაკავშირებენ პრობლემურ ოჯახებს პიროვნულ ჩამოუყალიბებლობასთან, ასევე არ არსებობს იმის დამარწმუნებელი მტკიცებულება, რომ ამის ნაკლებობა პრობლემების გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს.

- არ არსებობს იმის დამადასტურებელი სანდო მონაცემები, რომ ბავშვობაში დედისგან მიღებული სიყვარული ყოველთვის დაიცავს ადამიანს სიღარიბისა და სხვა პრობლემებისგან ცხოვრების მომდევნო ეტაპებზე.
- არსებული და დამწყები პრობლემები, რომლებიც ყოველთვის არ წარმოიქმნებიან ადამიანის პიროვნული ნაკლოვანებებით შეიძლება გაამარტივოს გარე გაქტორებმა. ქცევა, რომელიც მორალური ან ფსიქოლოგიური მიზეზების გამო მიჩნეულია არაადეკვატურად, შეიძლება განსაზღვრული იყოს გარე ფაქტორებით.(იხილ. Rutter, 2005 Rutter and Madge, 1976)
- ტიპურ პრობლემურ ოჯახებში არსებული პრობლემები შესაძლებელია საზოგადოების სხვა სეგმენტშიც არსებობდეს, რომლის წარმომადგენლებიც დახასიათებულია ბავშვობაში ემოციურად არამდგრად და შემდგომ ცხოვრებაში ჩამოუყალიბებელ ადამიანებად.

რ. როპერსის მიხედვით, იდეოლოგიაა და არა მეცნიერება, იმის მიჩნევა, რომ სიღარიბეს იწვევს პრობლემები, ან მაგალითად, უსახლკარობას- ავადმყოფობა. ის წერს, რომ აუცილებელია იყო ქალი იმისთვის, რომ დაორსულდე, მაგრამ ყველა ქალს არ შეუძლია დაორსულება. ამრიგად, მხოლოდ ქალად ყოფნა არ ნიშნავს დაორსულებას. საკმარისი მიზეზი არის ერთი, რომელის დადგომა, შესწავლის მიხედვით, აუცილებლად მიდის შედეგამდე. (Ropers; 1991:150).

ასევე, სოციალური საქმიანობის ფსიქოლოგიურად ორიენტირებული პრაქტიკა ამტკიცებს, რომ რეალობა თეორიისგან განსხვავდება. როდესაც, პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ფსიქოლოგიური მეთოდები სიღარიბეს ვერ დასძლევს, სიღარიბის ფსიქოლოგიურმა განმარტებამ თანდათან დაკარგა გავლენა. მათ, ვისაც ამ თეორიებმა იმედი გაუცრუა, ამჯერად ყურადღების გაამახვილეს გარე ფაქტორებსა და მათ ზემოქმედებას, იმის მტკიცებით, რომ პრობლემების უმრავლესობა აღარ შეიქმნებოდა, თუ გარემო "წესრიგში იქნებოდა"(Holman, 1978; 89) . თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანის როლი სრულიად გამოუსადეგარია და რომ ასევე უარყოფილია სიღარიბესა და პირად პრობლემებს შორის კავშირი. გამოითქვა აზრი, რომ სიღარიბის განმარტებას

სჭირდება უფრო ფართო კონტექსტი, ვიდრე ემოციური მომწიფება და პრობლემური ოჯახებია.

ეკონომიკური მიდგომები

სიღარიბის ცნების ჩამოყალიბებისას ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ თავისუფალ ვაჭრობის სისტემაში ცალკეული პირების როლს. ადამიანის შემოსავალი და ეკონომიკური განვითარება მეტყველებს მის ეკონომიკურ ღირებულებაზე. ადამიანი განხილულია, როგორც ეკონომიკური არსება, რომელიც სარგებლობს ეკონომიკური დამოუკიდებლობით. ამრიგად, ის თვითონ არის პასუხისმგებელი თავის ბედზე.

თავისუფალი ბაზრის სისტემაში მაღალი შემოსავალი აქვს ხალხს, ვინც ნიჭიერია, ინიციატივას იჩენს და ძალისხმევას არ იშურებს. ღარიბმა ადამიანმა შეიძლება თავი დაიდანაშაულოს არასაკმარისი ფსიქიკური და მორალური მდგომარეობის გამო. ფაქტობრივად, სიღარიბე აიხსნება შრომით ბაზარზე ცალკეული ინდივიდების დაბალი ღირებულებით, რაც მაღალი შეიძლება ყოფილიყო, მათ რომ არ დაეშურებინათ ძალისხმევა. არგუმენტირებულია, რომ თუ ადამიანმა თავისუფალი ბაზრის შეთავაზებები არ გამოიყენა, ეს მისი პასუხისმგებლობაა.

ეს აზრი განვითარდა სხვადასხვა კაპიტალის თეორიაში, განსაკუთრებით ადამიანური კაპიტალის მიდგომაში და მოგვიანებით ასევე სოციალური და კულტურული კაპიტალის მიდგომებში.

200-ზე მეტი წლის წინ, ეკონომისტი ა. სმიტი (A. Smith) თავის წიგნში “ ქვეყნების სიმდიდრე”, (1776) ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ განათლება უნდა მივიჩნიოთ ინვესტიციად, რადგან ის ეხმარება ადამიანს ჩამოიყალიბოს სამეწარმეო შესაძლებლობები და ამგვარად გაიზარდოს შემოსავალი (Hames, 2004). პირველად ცნება “ადამიანური კაპიტალი” გააანალიზა ამერიკელმა ეკონომისტმა ტ. სჩულტზმა (T. Schultz) 1961 წელს. მისი შეხედულებით, ცოდნა და უნარები ქმნის კაპიტალს, რომელსაც

ვერ უგულებელვყოფთ, ისევე როგორც, ფიზიკურ კაპიტალში ჩადებული ინვესტიცია, ნაკლებად მომგებიანია ადამიანებში ჩადებულ ინვესტიციაზე (Hunt, 2004).

ადამიანური კაპიტალი არის ცოდნა, უნარები და კომპეტენცია და სხვა ხალხში ჩადებული ინვესტიციები, შვილობილი ეკონომიკური აქტივობები და წარმატება (Schuller, 2000). ყურადღება ექცევა ინდივიდის ეკონომიკურ ქმედებას და განსაკუთრებით, იმას, თუ ადამიანი თვითონ როგორ დებს და აგროვებს ცოდნის და უნარების ინვესტიციას, იუმჯობესებს თავის ეკონომიკურ მდგომარეობას, სტატუსს და დიდ სარგებელს აძლევს საზოგადოებას.

პარალელი შეიძლება გავავლოთ ადამიანურ კაპიტალსა და ფიზიკურ კაპიტალს შორის: საწარმოების მსგავსად, რომლებიც ინვესტიციას დებენ კაპიტალში, ცალკეული პირები კი დებენ დროს , ენერგიას და ფულს ცოდნისა და გამოცდილების შესაძენად. ესენიც შეიძლება განვიხილოთ ინვესტიციებად. ეკონომიკაში ქმედებები ხორციელდება, რადგან ისინი ანაზღაურებადია. უფრო მეტიც, ფინანსური მოგებისათვის განათლება შეიძლება მოვიჩნიოთ, როგორც თვითონ სარგებელი, რომელიც იძლევა არამატერიალურ მოგებას, მაგალითად- პრესტიჟს (Snitnikovs, 2002: 3). ცალკეული პირების შეხედულებით, განათლებაში ჩადებული ინვესტიცია სასარგებლოა, რადგან შემოსავალი გაიზრდება სწავლის შემდეგ. ის საზოგადოებისთვისაც სასარგებლოა- განათლებული თანამშრომლები უფრო პროდუქტიულად მუშაობენ და ხელს უწყობენ ეკონომიკის განვითარებას.

კაპიტალის განსხვავებული თეორიები შედარებით ახალი მიდგომაა, მაგრამ ისინი პოპულარულია და სხვადასხვა ცხოვრებისეულ სფეროში ფასეული ხდება. ყველაზე ხშირად განხილულ - სოციალურ და ადამიანურ კაპიტალთან ერთად, ყურადღება ექცევა: კულტურულ, სიმბოლურ, ინტელექტუალურ, საორგანიზაციო, გარემოსთან დაკავშირებულ და სხვა კაპიტალებს. ბევრი მათგანი მსგავსია და ერთმანეთს მოიცავს.

კაპიტალი არის ნებისმიერი ფასეულობა, რომელიც შემოსავლის მომტანია მფლობელისთვის (Asmanis, 1999: 64), მიჩნეულია ინვესტირებად, განვითარებად და სარგებლის მომტან რესურსად. პ. ბორდიე (P. Bourdieu) შეიძლება მივიჩნიოთ კაპიტალის თეორიის ავტორად. ნაშრომში, “კაპიტალის სახეები” (1989) ის გამოყოფს კაპიტალის ოთხ

ყველაზე გამორჩეულ ფორმას- ეკონომიკურ, კულტურულ, სიმბოლურ და სოციალურ კაპიტალს, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კაპიტალის მოპოვების, დაგროვების, შესრულების, შეცვლის და გარდაქმნის სხვადასხვა ფორებს.(Schugurensky, 1986) კაპიტალი არის ანგარიშსწორების და გადახდის ისეთივე საშუალება, როგორც ფული. თანამედროვე სზოგადოება არის ბაზარი, სადაც სარგებლის სიმბოლური გაცვლა ხდება პირდაპირი ფულადი ეკვივალენტების გარეშე.

კულტურულ კაპიტალს ქმნის კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც ცალკეულ პირებს მემკვიდეობით ოჯახისგან ან ქვეყნისგან გადაეცემა (Bowles, Jensen). (P Bourdieu) პ. ბორდიე აყალიბებს აზრს, რომ სოციალიზაციის პროცესში ბავშვები ვერ სწავლობენ საზოგადოებრივი მთლიანობის ფასს. ისინი იმ კულტურაში არიან სოციალიზებულები, რომელიც შეეფერება მათ სოციალურ სტასუსს. სოციალიზაციის პროცესში შიდა კულტურულ გამოცდილებას, ღირებულებებს, ნორმებს, შეხედულებებს და სხვას შეიძლება ეწოდოს კულტურული კაპიტალი. ამ კაპიტალის მიხედვით ხალხი ერთვება თავისი საზოგადოების ცხოვრებაში. ნიჭი და შესაძლებლობები (P. Bourdieu) პ. ბორდიეს აზრით, პირველ რიგში, დამოკიდებულია ოჯახებში ინვესტირებულ კულტურულ კაპიტალზე. ის ასევე მოიცავს საგანმანათლებლო სფეროს. კულტურული კაპიტალი აყალიბებს განათლებისა და კვალიფიკაციის საფუძვლებს, რომლის შეძენაც სურს ხალხს. (Fowler, 1997; n23-24)

კულტურულ კაპიტალს აქვს სამი განზომილება. შეიძლება იყოს:

- განსახიერებული ცალკეული პირების ქმედებები.
- კულტურული ქონების ობიექტები (სტატიები, წიგნები ხელოვნებაზე და სხვა).
- ინსტიტუციონალიზება, როგორიცა არის აკადემიური ხარისხები და დიპლომები.

კულტურული კაპიტალის ზუსტად ეს განხრა მიუთითებს ფარგლებს, რაშიც ის გადაიქცევა მატერიალურ, ეკონომიკურ კაპიტალად. (Schugurensky, 1996)

ეს მიდგომა სიღარიბეს უკავშირებს კაპიტალის ნაკლებობას და განსაკუთრებული ყურადღებას აქცევს ღარიბი ადამიანების კაპიტალს. დღესღეობით, თავისუფალი ბაზარი არ არსებობს "სუფთა ფორმით", ბევრი სფეროს მსგავსად, სახელმწიფომ დაარღვია "ჩაურევლობის პოლიტიკის" პრინციპი. საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო

ამცირებს სიღარიბეს სოციალური უზრუნველყოფითა და მხარდაჭერით. თუმცა, ბევრი ავტორი (Friedman, 1963; Boyson(ed.), 1971; Murray, 1984,1996) სიღარიბის მიზეზს ხედავს ზუსტად სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში, ხალხზე ზრუნვაში. მათი გადმოცემით, წარმატებულ ქვეყნებში სიღარიბის გამზრდელი ფაქტორები შემდეგია:

ადვილად მოსაპოვებელი მხარდაჭერა ამცირებს მუშაობისა და ფულის გამომუშვების მოტივაციას, იმის ნაცვლად, რომ იმუშაონ თავიანთი შემოსავლისათვის, ღარიბი ხალხი ცხოვრობს სახელმწიფოსგან გაწეული სოციალური მხარდაჭერით, რაც ნიშნავს დაბალი შემოსავლების მქონე ფენის შკალაზე ყოფნას (Holman,1978; 72).

სოციალური მომსახურების სისტემა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მხარს უჭერს შეხედულებას, რომ სახელმწიფომ პასუხისმგებლობა უნდა აიღოს და საჭიროების მქონე პირებს გაუწიოს მატერიალური დახმარება, მაგრამ, დახმარების მიმღები ცალკეული პირი ან ოჯახი ვერ უნდა უზრუნველყოფდეს თავს, რამაც შექმნა დახმარებაზე დამოკიდებულება, რაც ოჯახს მორალურად ანადგურებს (Holman, 1978: 73).

არსებული სისტემა არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ადამიანს ინტერესი დაუკარგოს სოციალურ შემწეობაზე ყოფნის, და დაიწყონ სამსახურის ძებნა. ეს აძლიერებს მუშაობის გაუფასურებას, არამყარ მორალს და უკანონობას.

სოციალური შემწეობა იწვევს ინდივიდების კონტრკულტურებში გაერთიანებას, რაც ხელს უწყობს დამოკიდებულებას, ამუშავებს- მორიდებულობას და დანაშაულებრივ ქმედებებს (Morris, 1994).

სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო ქმნის ისეთ ადამიანებს, რომლებიც არ იჩენენ ინიციატივას, არ შეუძლიათ ბაზარზე კონკურენციის გაწევა, ამავდროულად, არ შეუძლიათ გაიუმჯობესონ მდგომარეობა. ინდივიდების ქცევის მოდელი (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვითონ ინდივიდები) არის სიღარიბის გამომწვევი მიზესი. თავისუფალი ბაზრის იდეის მხარდამჭერები მიიჩნევენ, რომ სიღარიბე არ დაიძლევა სოციალურად უზრუნველყოფილი სახელმწიფოს განვითარებით (Niskanen, 1996), რაც გამანადგურებელია. ამის საპირისპიროდ- ხალხი უნდა დაბრუნდეს თავისუფალ ბაზარზე, სადაც არჩევანს თვითონ ადამიანები აკეთებენ.

თავისუფალი ბაზრის დამცველები და მხარდამჭერები გააკრიტიკეს რამდენჯერმე (see Holman, 1978:78-84). მიდგომა ძალიან პირდაპირია, ყურადღებას ამახვილებს ცოდნის და ბაზრის მიერ შეფასებული უნარების ნაკლებობაზე და არ ითვალისწინებს უამრავ სხვა ფაქტორს. ის იდეაც გაკრიტიკებულია, რომელიც სიღარიბეს აკავშირებს პირად ნაკლოვანებებთან და ადამიანის თავისუფალი ბაზრის სისტემაში მოქმედების უუნარობასთან. კრიტიკა მიმართულია შეხედულებებისკენ, რომლებიც სიღარიბის მიზეზს უკავშირებენ თავისუფალ ბაზარში სახელმწიფოს ჩარევას (Dean, Taylor-Gooby, 1992). ეჭვის ქვეშაა დაყენებული მოსაზრება, რომ ადამიანი არის დამოუკიდებელი და პირველ ადგილზე მდგომი ეკონომიკური არსება. ამას კონტრარგუმენტიც ახლავს: ადამიანის საქციელი ყოველთვის გამიზნული არ არის მაქსიმალურ მოგებაზე; აქედან გამომდინარე ეს უნდა მოგვარდეს თავისი ეკონომიკური და სოციალური კონტექსტის პირობებში. არ არის გამართლებული თეზისი, რომ ვინც ბევრს მუშაობს, უფრო მეტს გამოიმუშავებს. (C. Boot) ს. ბუთსს და (S. Rowntee) ს. როუნტის უკვე ნახსენები აქვთ მაგალითი, რომელიც ეჭქვეშ აყენებს თავისუფალი ბაზრის მხარდამჭერების მთავარ შეხედულებას.

ადამიანის ნაკლოვანებები და უპირატესობები პირდაპირ არ უნდა დავუკავშიროთ მათ წარმატებას ან წარუმატებლობას. თუმცა, მათ ხელი უნდა შეუწყონ სათანადო პირობებს. ბაზარი იმდენად კარგად ვერ "მუშაობს" ბევრი ხელშემშლელი გარე ფაქტორის გამო, კერძოდ:

. კეთილდღეობა შეიძლება მემკვიდრეობით გადავიდეს, მაგრამ ინდივიდუალური ძალისხმევით არ მოიპოვება.

. განათლება, რაც ზრდის ადამიანის ღირებულებას შრომით ბაზარზე, საზოგადოების ყველა წარმომადგენელზე თანაბრად არ არის გადანაწილებული და ეს დანაწილება ყოველთვის არ შეესაბამება ადამიანის შესაძლებლობებს.

. თავისუფალ ბაზარზე ფართო სოციალური და ეკონომიკური პროცესები ჩარჩოში აქცევს ცალკეული პირების არჩევანს.

დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის არსებობა, რაც "წმინდა" თავისუფალ საბაზრო ქმედებებში გარკვეულ ცვლილებებს იწვევს, ვერ იქნება უგულებელყოფილი. სინამდვილეში, "ადამიანური კაპიტალის მიდგომა" ცვლის კითხვას: "რატომ აქვს

ადამიანების ნაწილს მცირე რაოდენობით ადამიანური კაპიტალი? “ კითხვით:“ რატომ არის ხალხის გარკვეული რაოდენობა ღარიბი?” (Popple, Leighninger, 1990: 189) ეს მიდგომა ორივე კითხვას პასუხობს.

სიღარიბეს, როგორც პირად პრობლემას, მისი გამომწვევი სხვა მიზეზების გრდა, აქვს რამოდენიმე ზოგადი დამახასიათებელი თვისება, რომელიც დაკავშირებულია გენეტიკურ ფაქტორებთან და ფსიქოლოგიურ, ან ფინანსურ ქმედებებთან. ეს ყველა მიდგომა ადანაშაულებს დაზარალებულს. მათი მიზანია შემცირება -ისინი მიმართული არიან შეცვალონ რთული სოციალური მოვლენები, როგორიცაა სიღარიბე, ისეთ მარტივ მოვლენად, როგორიცაა ინდივიდების არაადეკვატურობა და მათი პათოლოგიები. მონაცემებმა დაამტკიცა, რომ მიდგომები გამარტივებულია და ისინი მეცნიერულად არ არის სანდო. არსებობს მიზნობრივი ურთიერთობების შექმნის მცდელობები; თუმცა მათ არ აქვთ საკმარისი მტკიცებულებები. ზემოხსენებული ყველა მცირე ან დიდი მოცულობის განმარტება ემსახურება სოციალური და ეკონიმიკური უსამართლობის დამტკიცებას და განკუთვნილია “კონსერვატიული და რეაქციონერი მემარჯვენე პოლიტიკოსების მხარდასაჭერად” (Ropers1991: 153).

1.2 სიღარიბის სტრუქტურული განმარტება

სიღარიბე უნდა განიხილებოდეს უფრო ფართო კონტექსტში და არა მხოლოდ ცალკეული ადამიანების სისუსტეზე ან წარუმატებლობაზე დაყრდნობით. ამას აკეთებს სტრუქტურული განმარტება, რომელიც მიმართულია მთელი საზოგადოებისკე, ის მიიჩნევს, რომ სიღარიბეს სრულად ვერ გავიგებთ, თუ საქმეს დავიჭერთ მხოლოდ ცალკეულ წარუმატებელ პიროვნებებთან, ან ჯგუფებთან, რომლებიც იზოლირებული არიან დანარჩენი საზოგადოებისგან (Holman, 1978: 188). ეს მიდგომა ამტკიცებს, რომ სიღარიბეს იწვევს სოციალური ფაქტორების ნაკრები და ამგვარად ყურადღება უნდა გავამახვილოთ არა ისეთ ინდივიდებზე, რომლებიც დაარწმუნეს ემართათ თავიანთი ბედი, არამედ სოციალურ ფაქტორებზე, რომლებიც აყალიბებს მათ ბედს. პ. ალკოკი (P. Alcock) მას უწოდებს “ სოციალური მიზეზობრივობის სტრუქტურულ

ნიმუშს" (Alcock, 1997: 36), მაგრამ, ვ. რაიანი (V. Ryan) -"სისტემის დამადანაშაულებელ მიდგომას"(Ryan, 1971). სიღარიბის ახსნის ამ მიდგომას მხარს უჭერს ბევრი ავტორ (იხ. მაგ. Holman, 1978; Ferge and Millar, 1987, Ropers ,1991).

მწერლები, სიღარიბის გამომწვევ ფუნდამენტალური მიზეზზე შეთანხმებისას, რომ სიღარიბე არის ინდივიდისგან დამოუკიდებელი "გარე ფაქტორები", მის გამომწვევ მიზეზებს სხვადასხვა გზით ხსნიან, სოციალური მხარდაჭერის სისტემაში, საზოგადოების სოციალურ ფენებად დაყოფასა და შრომითი ბაზრის ორგანიზაციებში ამ პრობლემების ძიებით. ასევე წამოყენებულია შეხედულებაც, რომ სიღარიბე აუცილებელია საზოგადოების ფუნქციონირებისათვის.

ერთ-ერთ ყველაზე ნათელ განმარტებას ინდივიდზე მოქმედი სტრუქტურული ფაქტორების შესახებ, რაც მათი სპეციფიური ხასიათის გამოვლენას იწვევს, გამოთქვამს ლ. ბიგლი (L. Beeghley). ის სიღარიბის ხელშემწყობი სტრუქტურული ფაქტორების კლასიფიცირებას ახდენს ოთხ ძირითად ჯგუფად:

. გზა, რითაც სიღარიბის თანაფარდობა ქმნის მანკიერ წრეს, ხშირად იტყუებს ღარიბს და წინააღმდეგობას უწევს მდგომარეობის შეცვლაში.

. გზა, რითაც კლასობრივი სისტემა აღიდგენს თავს დროთა განმავლობაში.

. ეკონომიკის ფორმირება.

. ინსტიტუციონალური დისკრიმინაციის გაგრძელება შავკანიანებისა და ქალების წინააღმდეგ (Beeghley: 133).

სოციოლოგი ვ. ჯ. ვილსონს (W. J. Wilson (1987)) დამატებული აქვს სიღარიბის გამომწვევი კიდევ ერთი სტრუქტურული ფაქტორი- მზარდი სოციალური იზოლირება ქალაქის მიყრუებულ უბნებში. ეს ფაქტორები შემდეგში უფრო დეტალურადაა გაანალიზებული.

სოციალური უზრუნველყოფის სისტემა

იმ ავტორებმაც კი, რომლებიც "ადანაშაულებდნენ მსხვერპლს", პრობლემის გამომწვევი მიზეზები სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში დაინახეს. თუმცა,

სტრუქტურული განმარტების მომხრეების აზრი ამ საკითხში განსხვავებულია- პრობლემას არა სოციალური კეთილდღეობის მხარდაჭერის სისტემა ქმნის ადამიანის ცხოვრებაში და მის ბუნებრივ რიტმში, არამედ ამ სისტემის მოქმედების ხარვეზები (See: Devereux,2002; Kenworthy,1999; MacGregor, 1981, Spicker, 1993) . სიღარიბის ხელშემწყობი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია:

. ხალხის უმეტესობა არ იღებს მისთვის განკუთვნილ დახმარებას. მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგალითად, დახმარების მისაღებად რთულმა პროცედურებმა და სტიგმატიზებამ შეიძლება გადააფიქრებინოს მიმართვა ისეთმა ადამიანს, რომელსაც ძალიან სჭირდება დახმარება. რესურსების ნაკლებობის გამო შეიძლება ყველა მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდეს. მაგალითად, ლატვიის რესპუბლიკის ზოგადი რეგულაციების მიხედვით, ქვეყანაში ადამიანს შეუძლია მიიღოს სოციალური დახმარება LVL 21- (ეს იყო მისაღები გარანტირებული მინიმალური შემოსავალი 2005 წელს) და ეს არის საარსებო მინიმუმის დაახლოებით 20% (Metodiskais materials GMI pabalsta piskirsanai…; Iztikas minimums…). თუმცა, ხალხი ვერ იარსებებს ასეთი შეზღუდული რესურსებით, სიღარიბის დაძლევაზე ხომ საუბარიც ზედმეტია;

. დახმარება ძირითადად მოდის, როდესაც უკვე ძალიან დაგვიანებულია. თუ მთელი დანაზოგი დახარჯულია და სესხიც აღებული, მაშინ დახმარებას, რომელიც საარსებო მინიმუმის 1/5 -ს შეადგენს, არაფერი სიკეთე არ მოაქვს გაჭირვებული ხალხისთვის.

სიღარიბე აღქმულია, როგორც სატყუარა, ან "მანკიერი წრე". თუ ადამიანი გაღარიბდა, ეს ხდება მისთვის ხაფანგი, რომლისგან თავის დაღწევა ძალიან ძნელია.

სოციალური უზრუნველყოფის სისტემის, როგორც სიღარიბის გამომწვევი მიზეზის განხილვისას, შემდეგი ფაქტორებია მოყვანილი: სახელმწიფო და კერძო სექტორების საბინაო და ჯანდაცვის პოლიტიკა (Alcock, 1997:39). რ. ჰოლმენი (R. Holman) ამ ფაქტორებს ამატებს კიდევ ერთს - საგანმანათლებლო პოლიტიკას, რომელიც არის ძალიან მნიშვნელოვანი სიღარიბის გამომწვევი და შემანარჩუნებელი მიზეზი. ის აცხადებს, რომ სკოლები ხელს უწყობენ საზოგადოების კლასობრივ დაყოფას. სკოლაში ასევე არიან ისეთი ბავშვები, რომლებიც განწირულები არიან სიღარიბეში ცხოვრებისთვის. დიდი მნიშვნელობით, ამაში დადანაშაულებულია სისტემა, რადგან ის

არეგულირებს დასაქმებისთვის მომზადებას და თანამდებობაზე განაწილებას (Holman, 1978: 160-172, 215-217).

მანკიერი წრის სხვა მნიშვნელოვანი ელემენტია დანაშაული და კრიმინალური სამართალწარმოების სისტემა. დამტკიცებულია, რომ ღარიბი ხალხი უფრო ხშირად ხდება კრიმინალის მსხვერპლი, ვიდრე მაღალი შემოსავლის მქონე ხალხის ჯგუფი. მათ უფრო მეტი დრო და ენერგია სჭირდებათ, რომ დანაშაულისგან შორს დაიჭირონ თავი, ვიდრე სხვა მოქალაქეებს.

ამ მიდგომის მხარდამჭერები ამტკიცებენ, რომ სიღარიბის პრობლემის გადაჭრა საჭიროებს ფართო საზოგადოებრივ მხარდაჭერას და გაწეული დახმარების მასშტაბი არა მხოლოდ უნდა ამსუბუქებდეს ადამიანის მდგომარეობას, არამედ უნდა ეხმარებოდეს სიღარიბისგან თავის დაღწევაში.

ეკონომიკის ორგანიზაცია

ამ მიდგომის თანახმად, კაპიტალისტურ სისტემაში ეკონომიკა ისეა მოწყობილი, რომ ხალხის გარკვეული რაოდენობა სიღარიბისთვისაა განწირული. ამ მიდგომის ორი ვერსია არსებობს- ლიბერალური და რადიკალური (Popple, Leighininger, 1990:202). ლიბერალური ვერსია ეხება ორმხრივ შრომით ბაზარს, ამტკიცებს, რომ შრომითი ბაზარი არ არის ერთგვარი, არამედ დაყოფილია. ზოგიერთი მწერლის მიერ ეს პროცესი აღწერილია, როგორც ორმაგი შრომითი ბაზარი, სადაც ორი სექტორი ან ბაზარია წარმოდგენილი, ძირითადი და მეორეხარისხოვანი (Fields, 2005). ძირითადი შრომითი ბაზარი ხასიათდება, როგორც უკეთეს, უსაფრთხო, უკეთ ანაზღაურებად, სოციალურად უზრუნველყოფილ და სარგებლობის მომტან საქმიანობად. ძირითადად დაკავშირებულია დასაქმებად სახელმწიფო სექტორთან, ან კორპორატიულ, სტაბილურ კერძო კომპანიებთან. მეორეხარისხოვან შრომით ბაზარზე სამუშაო არის დაბალხარისხოვანი, საფრთხის შემცველი და ცუდად ანაზღაურებადი. ხშირად სოციალური შეღავათები მცირე რაოდენობით, ან საერთოდ არ აქვს ადამიანს. ასეთ

სამსახურს სთავაზობს პატარა, არც ისე უსაფრთხო კერძო კომპანიები. ამ ორ სექტორს შორის ცვალებადობა საკმაოდ იშვიათია.

მხოლოდ ადამიანის კვალიფიკაციაზე და შესაძლებლობებზე არ არის დამოკიდებული, თუ რა პოზიციაზეა ის შრომით ბაზარზე დასაქმებული. ამ მოვლენაზე შეიძლება გავლენას ახდენდეს სხვა ბევრი ფაქტორი, მაგალითად, გეოგრაფიული მდებარეობა. საკმაოდ ხშირად გადამწყვეტი ფაქტორი შემთხვევითია. თუმცა, არსებობს შეხედულება, რომ მეორეხარისხოვან შრომით ბაზარზე უფრო მეტი ქალია დასაქმებული (Alcock, 1997:140).

პრაქტიკაში, ეს დაყოფა უფრო რთული პროცესია, ძირითადი შეხედულება შემდეგია - ბევრი სასარგებლო და ნაკლებად სასარგებლო სამსახური ნამდვილად არსებობს. სიღარიბის წინააღმდეგ გარანტიას არ წარმოადგენს დაბალანაზღაურებადი და ისეთი სამსახურები, სადაც სოციალური დაზღვევა არ არის. კვლევის მონაცემების მიხედვით, ბევრი ადამიანი მუშაობს სრულ განაკვეთზე (Gosling et al,1994, ციტირებული Alcock-იდან,1997;Glassmann, 2000). ეს იმას ნიშნავს, რომ არიან მომუშავე ღარიბი ხალხი- ძირითადად ვისაც დიდი ოჯახი აქვს ან მცირე ანაზღაურება და მუშაობის მიუხედავად ღარიბია.

რადიკალური ვერსია მარქსიზმის იდეებიდან მომდინარეობს. ეს ვერსია ამტკიცებს, რომ კაპიტალისტური ეკონომიკის შრომითი ბაზარი ვერ უზრუნველყოფს დასაქმებას, სადაც ხელფასი სიღარიბის ზღვარს ასცდება და თავიდან აიცილებს სიღარიბეს. როგორც ნოვაკი (Novak)(1995) აცხადებს: "კაპიტალიზმში სიღარიბე არის საერთაშორისო და მას ქმნის კაპიტალისტური შრომითი ბაზრის ხელფასი. მისი ეფექტურობის დასამტკიცებლად, სიღარიბე არის საჭირო ფაქტორი".

სიღარიბესთანაა ასევე დაკავშირებული უმუშევრობა. რამდენიმე მწერალი უმუშევრობას მიიჩნევს კაპიტალისტური ეკონომიკის სისტემის შემადგენელ ნაწილად. სხვები, ვინც თავს არიდებენ კაპიტალისტური სისტემის პირდაპირ კრიტიკას, საუბრობენ საერთაშორისო ეკონომიკურ კრიზისზე (1930, 1970, 1980-იანები) და სიღარიბესთან მიმართებით მის შედეგებზე:

. უმუშევრობა იზრდება, შესაბამისად შრომისუნარიანი ადამიანები კარგავენ შემოსავალს.

. დაბალანაზღაურებადი ხალხის მზარდი რაოდენობა ქმნის სიღარიბეს დასაქმებულთა შორის;

. პენსიაზე გასვლის ასაკი და პენსიის რაოდენობა მცირდება, რაც ქმნის ღარიბ, მოხუც ადამიანთა ფენას.

. სახელმწიფოს ფინანსები სოციალური დახმარების მხრივ მცირდება, იმის მიუხედავად, რომ დახმარების საჭიროების მქონე ადამიანთა რიცხვი იზრდება (Alcock, 1997: 41).

სიღარიბესა და შრომით ბაზარს შორის კავშირი არსებითია, როგორც მისი გამონაკლისი ნიშნავს საარსებო საშუალებების დაკარგვას, თუმცა ეს კავშირი ყოველთვის არ ნიშნავს საპირისპიროს. შრომით ბაზარზე გამონაკლისი აუცილებლად გამოიწვევს სიღარიბეს, თუ სხვა დახმარება არ არსებობს ან ძალიან მცირეა.

საზოგადოების ფენებად დაყოფა

არიან მწერლები, რომლებიც სიღარიბის შემანარჩუნებელ ფაქტორად მიიჩნევენ საზოგადოების დანაწილებას. საზოგადოების დაყოფის იდეა განხილულია კ.მარქსის და მისი თანამოაზრეების ნაშრომებში. კ. მარქსი საუბრობდა ორ ანტაგონისტურ კლასზე, მუშათა კლასი და არისტოკრატია. რესურსებისა და ძალების გადანაწილება იყო კლასობრივი. მისი ბევრი თანამოაზრე ეთანხმება მის კლასობრივ დაყოფას, თუმცა ისინი არ ფიქრობენ, რომ ანტაგონიზმი არის შეუცვლელი ან საჭირო. ზოგიერთი მწერალი გამოთქვამს შეხედულებას, რომ ჩვენს საზოგადოებაში კლასებს შორის განსხვავება აღარ არის იმდენად მკაფიო, რადგან კლასები თანდათანობით ერთიანდებიან შემოსავლით, ცხოვრების სტილით, მისწრაფებებითა და შესაძლებლობებით. თუმცა, ჰოლმენის (Holman) მტიცებით, უმრავლესობა გოლდსროფი(Goldthrope) და ლოკვუდი (Lockwood), ვესტერგარდი(Westerguard), რისლერი(Riesler) და აშამი(Asham) -დარჩნენ თავის პოზიციაზე, რომ დღეს კლასებს შორის განსხვავება შემორჩენილია იმდენად მკაფიოდ, რამდენადაც ადრე იყო (Holman, 1978: 189-193).

დაყოფილ საზოგადოებაში რესურსების განაწილებაც კი განსხვავდება. შემოსავლის და წარმატების დიდი ნაწილი ეკუთვნის საზოგადოების მცირე ნაწილს, რადგანაც

კლასები ძალაუფლებასაც ფლობენ. არაფერი მომხდარა ამ რესურსების ახლიდან, უფრო სამართლიანად გადასანაწილებლად. არც ამ უსამართლობის კანონიერების საკითხი არ დამდგარა. ამ ხალხს არ აქვთ მატერიალური რესურსები, არც პოლიტიკური ძალაუფლება და არ შეუძლიათ შეცვალონ არსებული მდგომარეობა.

სიღარიბის არსებობაში მხოლოდ კლასები არ არის პასუხისმგებელი. ასევე მნიშველოვნ როლს თამაშობენ მცირე ერთეულები, როგორიცაა-ელიტა, მაღალი სოციალური სტატუსი, განსხვავებული ცხოვრების სტილი, კლასის წევრობის ძლიერი გრძნობა, ფუნქციონალური შესაძლებლობები, მორალური პასუხისმგებლობა და ძალაუფლება (Boyd,1973). ელიტა წარმოდგენილია მაღალი კლასის, კერძო სკოლების, ასევე "ოქსბრიჯი"-ს (ოქსფორდი და კემბრიჯი) უნივერსიტეტის წარმომადგენლებით. ელიტას შეუძლია დაიცვას და დააკმაყოფილოს მაღალი კლასის (ბურჟუაზიის) ინტერესები, საზოგადოების ძალიან მცირე ფენის შემადგენელ ნაწილად ყოფნით, ძალაუფლებისა და გავლენის ფლობით და მნიშვნელოვან თანამდებობაზე ყოფნით (Holman, 1978: 196-202).

კლასის სტრუქტურა დროთა განმავლობაში, თავისით ხელახლა წარმოიქმნება და გაუბედურებული ხალხის ფენაც მუდმივად იარსებებს. ეს განსაკუთრებით ეხება ყველაზე დაბალ და მაღალ ფენებს. კვლევებით დასტურდება, რომ ზედა, როგორც ტოპ, საზოგადოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფენისთვის, სოციალური მონაცვლეობა შედარებით დაბალია, მშობლის სოციოეკონომიკური სტატუსი დაშორებულია პიროვნების სტატუსის ყველაზე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელისგან (Popple, Leighninger, 1990: 202).

დაყოფილი საზოგადოება განწირულია სიღარიბისათვის. სიღარიბე აქ უნდა გავიგოთ, როგორც სიმდიდრის საპირისპირო მაჩვენებელი. თუ მივიღებთ პირველს, მეორეც უნდა მივიღოთ, როგორც მონეტის ორი მხარე, რომლებსაც ვერ დავაცალკევებთ და ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიღარიბე იარსებებს სანამ სხვადასხვა ფენები ან კლასები იარსებებენ.

სიღარიბის ფუნქციები

ზოგიერთი მწერალი სიღარიბეს განმარტავს მისი ფუნქციების მხრივ. მათი მოსაზრების თანახმად, სიღარიბე არა მხოლოდ დაყოფილი საზოგადოების გამოვლინებაა, არამედ ის ასევე ფუნქციონალურია საზოგადოებისთვის. სიღარიბე არ ნიშნავს იყო შეზღუდული ან გარიყული, მაშინაც კი, როდესაც საზოგადოებას აქვს ამისი შესაძლებლობა. ისევე, როგორც სიღარიბე არსებობს არა რესურსების ნაკლებობის გამო, არამედ საზოგადოებისთვის აუცილებელ გარკვეულ ფუნქციებს ასრულებს.

სიღარიბის ძირითადი ფუნქციების ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ჩამონათვალი შექმნა მკვლევარმა ჰ. ჯ. გენსმა. თავის ნაშრომში "სიღარიბის დადებითი ფუნქციები" ის ხაზს უსვამს, რომ სიღარიბე ძირითადად ემსახურება საშუალო და მაღალ კლასებს.

1. უზრუნველყოფს საზოგადოების ჭუჭყიანი საქმის შესრულებას

2. ღარიბები ფინანსურად უზრუნველყოფენ საშუალო და მაღალ კლასებს, დაბალ ხელფასზე მუშაობით და არაპროპორციული რაოდენობის გადასახადებით.

3.სიღარიბე ქმნის ბევრ პროფესიონალურ სამუშაოს, როგორიცაა, სამართალდამცველობა და მსგავსები.

4. ღარიბი ყიდულობს საქონელს და მომსახურებას, რომელიც სხვა შემთხვევაში გამოუსადეგარი იქნებოდა: მაგალითად, ერთი დღის პური, ნახმარი მანქანები და მოხუცი, ან არაკომპეტენტური "პროფესიონალების" მომსახურებები.

5. ღარიბები არიან წარუმატებლობის მაგალითი, რაც ემსახურება" ტრადიციული ნორმების ლეგიტიმაციის მხარდაჭერას".

6. სტერეოტიპული "თავისუფალი სექსუალური, ალკოჰოლური და ნარკოტიკული ქმედებები" ღარიბებს სთავაზობს " კომპენსატორულ მონაწილეობას" საშუალო კლასის დევიანტორული საქციელის ამგვარ ფორმებში.

7. სიღარიბეს აქვს კულტურული ფუნქციაც, რადგან საშუალო ფენა ხანდახან იღებს "გადაშენებულ ხალხთა კულტურის" ახირებას; მაგალითები მოიცავს მუსიკის ჟანრებს, ქანთრის, ბლუზს და ლურჯ ჯინსებს.

8. ღარიბი ხალხის არსებობა გამოიყენება, როგორც "საზომ ღერძი" სხვა კლასებისთვის, რათა გათვალონ თავისი მოძრაობა კლასობრივი დანაწევრების კიბეზე.

9. ღარიბების ეკონომიკური ექსპლუატაცია საზოგადოებაში მათზე მაღლა მდგომ წევრებს უმარტივებს სოციალურ კიბეზე ასვლას.

10. მაღალი და სშუალო კლასის წარმომადგენლები, ვისაც არ სჭირდებათ მუშაობა, თავს იკავებენ საქველმოქმედო საქმიანობებში ჩართვით.

11. პოლიტიკურად უუფლებო ღარიბები შეიძლება აიძულონ დაფარონ ამერიკის საზოგადოებაში ცვლილებებისა და ზრდის ხარჯები (Gans, 1972: 275-289).

სიღარიბე საჭიროა საზოგადოების დანარჩენი ნაწილის სარგებლობისთვის. მაშინ, როდესაც სიღარიბე კანონიერია, ზედა ფენის პოზიცია ასევე ლეგიტიმურია და არ არის საფრთხეში. ამრიგად, სიღარიბე არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების სტაბილურობას.

ინსტიტუციონალური დისკრიმინაცია

ზოგიერთი მწერალი მიიჩნევს, რომ ეს არის სიღარიბის ერთ-ერთი მთავარი სტრუქტურული კომპონენტი. ისინი განმარტავენ უმცირესობების არაპროპორციულად დიდ რაოდენობას: დისკრიმინაციის გამო გაღარიბებული ქალები და ხანში შესულები. ბიგლი განსაზღვრავს ამის ამხსნელ რამდენიმე მექანიზმს:

. დამასქმების მიერ გამოყენებული დასაქმების პროცედურები უპირატესობას ანიჭებს თეთრკანიან მამაკაცებს და არა სხვა ჯგუფებს;

. განქორწინების შესახებ კანონები, რომლებიც ბავშვის მზრუნველობას ძირითადად დედას ანიჭებენ, ხშირად არ ენიშნებათ საკმარის ალიმენტი; იმ შემთხვევაშიც კი, თუ შესაბამისი მხარდაჭერა დაენიშნა, მისი გადახდა მკაცრად არ არის მოთხოვნილი.

. ბავშვის აღზრდის მოდელი, რომელიც მიმართავს ქალებს უფრო დაბალ-ანაზღაურებადი სამსახურებისკენ, ან შესაბამისად ქმნის ქალის ქმარზე დამოკიდებულების მოლოდინს.

. ქალების რთულ მდგომარეობაში ყოფნით, მაშინ, როდესაც ქორწინება მთავრდება და ქალს თვითონ უწევს საკუთარი თავის შენახვა (Popple, Leighninger, 1990: 204).

მართლაც, რომ სიღარიბის სტრუქტურული განხილვა აჩვენებს, რომ სიღარიბე კაპიტალისტური საზოგადოების უთანასწორობის შედეგია. ასეთი შეხედულების თანახმად, პრობლემის გადაწყვეტა დაკავშირებულია საზოგადოებაში ცვლილებებთან. სიღარიბეს ვერ შევამჩნევდით და გამოვიკვლევდით სიმდიდრის გარეშე და უსაფუძვლოა იმის იმედი, რომ სიღარიბე შეიძლება დაიძლიოს დაყოფილი საზოგადოების მაღალ ფენებზე გავლენის მოხდენის გარეშე (Holman, 1978: 202-203).

სიღარიბის სტრუქტურულ განმარტებაში კრიტიკოსებმა იპოვეს რამდენიმე პრობლემატური საკითხი. ერთ-ერთი მათგანია საზოგადოების გამარტივებული შეგნება, საზოგადოების შემცირება, მისი სტრუქტურა და ფუნქციონირება სოციალურ ეკონომიკურ სტრუქტურაში . მომდევნო პრობლემა უფრო მეტადაა დაკავშირებული სიღარიბის შემცირებას ან აღმოფხვრასთან. სტრუქტურული განმარტება გამოსავალს ეძებს სტრუქტურულ ცვლილებებში, თუმცა, როგორც პ. ალკოკი (Alcock) აღნიშნავს, ასეთი მიზეზი არარეალური იქნება პროგრამისთვის "ქმედების პოლიტიკა"(Alcock, 1997:42).

სიღარიბის სტრუქტურული განმარტება დაკავშირებულია სტრუქტურულ დეტერმინიზმთან, რაც ცდილობს შეუზღუდველად წარმოადგინოს გარე ფაქტორების გავლენა. ადამიანი სხვა გარემოებებში ხდება მარიონეტი. არავის შეუძლია სტრუქტურისთვის წინააღმდეგობის გაწევა და ადამიანები უბრალოდ ეგუებიან მას. თუ ადამიანის ცხოვრებაში არაფერია მასზე დამოკიდებული, ის არ არის პასუხისმგებელი არც იმ მდგომარეობაზე, რაშიც ის იმყოფება და არც ამ მდგომარეობაში არსებულ ცვლილებებზე. ვინმეს დახმარების მცდელობას არ აქვს აზრი, როდესაც გარე ფაქტორები უფრო ძლიერია.

საკითხის სტრუქტურული განმარტებები ეთანხმება, რომ საზოგადოება დაყოფილია. განსხვავებები დამყარებულია სხვადასხვა ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ რესურსებზე, რომლებიც ამ ფენებს ეკუთვნის, თუმცა, მათ აქვთ საერთო ფუნდამენტური ღირებულებები, მისწრაფებები და მოტივაცია. აქ სიღარიბის გამომწვევი მიზეზები დაკავშირებულია საზოგადოების მრავალფენოვან ხასიათზე და მისი სხვადასხვა

ფენის წარმომადგენლების არათანაბარ შესაძლებლობებზე. საზოგადოებაში სხვადასხვა ფენის არსებობა არ ნიშნავს, რომ ისინი სხვადასხვა კულტურის მატარებლები არიან. თუმცა, სიღარიბის განმარტებაში არსებობს მიდგომა, რომელიც სიღარიბის გამომწვევ მიზეზებს ცალკეულ კულტურებში ეძებს.

1.3 კულტურული სიღარიბის განმარტება

ზემოთ მოცემულ ორ უკიდურესობას შორის, რომელიც ადანაშაულებს ადამიანის პათოლოგიას, სოციალურ სტრუქტურას და ფუნქციებს, არის სიღარიბის კულტურული განმარტება.

კულტურული განმარტებები, ინდივიდუალური განმარტებების მსგავსად, სიღარიბის მიზეზს ინდივიდუალისტურ მახასიათებლებში აქცევს. არსებობს შეხედულება, რომ ღარიბი ადამიანები, იმიტომ არიან ამ მდგომარეობაშ, რომ არ არიან წარმატებისთვის მოტივირებულები, არ აფასებენ მუშაობას, ითხოვენ საჭიროებების დაუყოვნებლის დაკმაყოფილებას და არ აფასებენ ქორწინებას, ან განათლებას. თუმცა, ინდივიდუალური განმარტებისგან განსხვავებით, კულტურული განმარტებები არ მიიჩნევენ, რომ ეს ინდივიდუალური მახასიათებლები ადამიანის თანდაყოლილი ნიშან-თვისებებით არის გამოწვეული. მიჩნეულია, რომ ინდივიდუალებს ეს მახასიათებლები იმ სოციალური მდგომარეობის გამო აქვთ, სადაც ისინი დაიბადნენ, აღიზარდნენ და განათლება მიიღეს.

კულტურული განმარტება სიღარიბეს აკავშირებს სპეციფიურ ღირებულებათა სისტემასთან და განსაზღვრულ სოციალურ მდგომარეობაში ჩამოყალიბებულ ყოფა-ქცევის მოდელთან. თუმცა, ამ კონტექსტზე ყურადღება არ არის გამახვილებული. ამის მიხედვით, ნამდვილად შესაძლებელია, რომ ზოგიერთი ავტორი არ განასხვავებდეს კულტურულ განმარტებებს და ადამიანის პათოლოგიისკენ მიმართულ მიდგომას. (იხილეთ, მაგალითად, ალკოკი,1997; როპერსი,1991) კულტურული განმარტების მიხედვით, ღარიბი ხალხი დანარჩენი საზოგადოებისგან განსხვავდება ცხოვრების ხარისხით და სიღარიბეც იმიტომ არსებობს, რომ სიღარიბეში მცხოვრები ოჯახები მომავალ თაობებს ასეთი ცხოვრების წესს ასწავლიან. სიღარიბის ინტერპრეტაციის ეს

მიდგომა ფესვგადგმულია ამერიკელი ავტორის ოსკარ ლევისის ნაშრომებში (Lewis, 1962, 1965,1998), რომლებშიც სიღარიბის კულტურის მისეულ ცნებასაც ვხვდებით. მოგვიანებით, სიღარიბის ქვე-კულტურის იდეამ მიიღო რასისტული ხასიათი აშშ-ში (იხილეთ:Wilson,1987;Jennings,1994). არსებობდა ფაქტი რომ, შავკანიანები უფრო ღარიბები იყვნენ ვიდრე თეთრკანიანები. ამ ფონზე შეხედულება გავრცელდა, რომ ისინი განსხვავებულები და გარიყულები იყვნენ საზოგადოების დანარჩენი ნაწილისგან.

1980-იან წლებში ეს მიდგომა აშშ-ში ისევ აქტუალური გახდა. მხოლოდ კულტურული სიღარიბის ცნება ჩაანაცვლა ახალმა ცნებამ, რაც არის - ღატაკები (Auletta, 1982, Murray, 1994).

დიდ ბრიტანეთში სიღარიბის კულტურული განმარტების მაგალითია, სახელმწიფო მინისტრის, ბატონი კ. ჯოზეფის სიტყვა (Joseph, 1972). მისი მთავარი შეხედულება იყო, რომ ღარიბ ხალხს არ გააჩნია კულტურულა, რაც შეუძლებელს ხდის გაბატონებულ კულტურაში მორგებას და კლასებში მათი არასაკმარისი ინტეგრაციის პრობლემა ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემა უქონლობის ციკლით.

კულტურული სიღარიბე

სიღარიბის შესწავლისას მკვლევარების უმეტესობამ დიდი ყურადღება გაამახვილა ეკონომიკურ გარემოზე. თუმცა, სიღარიბის განსხვავებული ახსნაც არსებობს, რაც უკავშრდება ცხოვრების სტილს და კულტურული სიღარიბის გარკვევას.

ცნება "სიღარიბის კულტურა" (რეალურად კი, ქვე-კულტურა) დაინერგა ამერიკელი ანთროპოლოგის ო. ლევისის მიერ 1960-იან წლებში. სიღარიბის მიზეზი ახსნილია ადამიანისთვის დამახასიათებელი სპეციფიური ნიშან-თვისებებით და მათი ქცევის მოდელით, რომლებიც ყალიბდება კონკრეტულ სოციალურ გარემოში. სიღარიბე არ არის მხოლოდ რესურსების სიმცირე; ის არის სპეციფიური ქვე-კულტურა, განსაზღვრული ღირებულებების სისტემით და ცხოვრების სტილით. კულტურული სიღარიბის პერსპექივა კამათობს, რომ ღარიბი უბრალოდ ეკონომიკური მდგომარების გამო კი არ რჩება

ღარიბად, არამედ კულტურული ღირებულებების და იმ ჩვეულებების გამო, რომლებიც სიღარიბემ გამოუმუშავათ, ქვე-კულტურა შედგება წესების და ღირებულებების კრებულისგან, რომლებიც ადამიანებს მიუთითებენ ყოფა-ქცევაზე (Lamont, Small, 2006). ამ თეორიამ ნდობა მოიპოვა, რადგან ღარიბი ხალხი მიდრეკილია გარკვეულ ადგილებზე კონცენტრირებას, განსაკუთრებით ქალაქზე, რადგან ის სთავაზობს მდიდრების და წარმატებულების დამხობის ელემენტებს და ასაჩივრებს მათ დანაკარგს (Townsend, 1993: 98).

უნდა აღინიშნოს, რომ ვერანაირი სიღარიბე ვერ იქნება დაკავშირებული კულტურულ სიღარიბესთან, რადგან ყველა ღარიბ ადამიანს არ აქვს ასეთი სპეციფიური ღირებულებები, რაც არ აძლევს საშუალებას გამოიყენონ დომინანტური კულტურის მიერ შეთავაზებული შესაძლებლობები. “ გაღატაკება და კულტურული სიღარიბე მკაცრად უნდა გავმიჯნოთ. ყველა ღარიბი ადამიანი ნამდვილად არ აყალიბებს, ან არ ცხოვრობს სიღარიბის მქონე კულტურაში. მაგალითად, საშუალო კლასის გაღარიბებული ადამიანები ავტომატურად არ ხდებიან კულტურის სიღარიბის წევრები, მიუხედავად იმისა, რომ მათ შეიძლება დროებით უწევდეთ მივარდნილ ადგილებში ცხოვრება (Lewis,1998:7). კულტურა იქმნება მაშინ, როდესაც კაპიტალისტური საზოგადოებისგან სოციალურად და ეკონომიკურად იზოლირებული მოსახლეობა, ქმნის ქცევით ნიმუშს, რათა გადალახონ თავიანთი დაბალი სტატუსი (Lamont, Small, 2006).

სიღარიბის კულტურაზე სასაუბროდ უნდა არსებობდეს აუცილებელი წინასწარი მოთხოვნები:

. საზოგადოებაში მონეტარული ეკონომიკა და ანაზღაურებადი შრომა უნდა იყოს დომინანტური .

. იყოს უმუშევრობის და ნახევარგანაკვეთიანი დასაქმების მაღალი დონე.

. დაბალი ხელფასების არსებობა, განსაკუთრებით არაკვალიფიციური შრომისას.

. საზოგადოების უძლურება უზრუნველყოს ადეკვატური სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანება ისეთი ხალხისთვის, ვისაც აქვს დაბალი შემოსავალი.

. არის ორმხრივი საერთო დამახასიათებელი ნიშნები ფოკუსირებული ნუკლეარულ პროგენეტიკურ ოჯახზე.

. დომინირებულ საზოგადოებაში ისეთი ღირებულებებზეა ყურადღება გამახვილებული, როგორიც არის სიმდიდრის დაგროვება და მზარდი დინამიკა.

. პიროვნული არასრულფასოვნება, უუნარობა და არაადეკვატურობა აიხსნება დაბალი ეკონომიკური მდგომარეობით (Lewis, 1966).

საზოგადოებაში, სადაც ზემოხსენებული წინაპირობები დომინირებს, ყველაზე ღარიბი ხალხის ნაწილის ცხოვრების სტილი მიუღებელი იქნება. განსხვავებები იმდენად მნიშვნელოვნადა არის მიჩნეული, რომ ისინი განიხილება, როგორც განსხვავებული კულტურის ჩამოყალიბების ნიშნები. თუმცა, სიღარიბეა, მაშინ, როდესაც იმ ნიშნებიდან ერთი მაინც შეესაბამისობაშია, ლევისმა გამოიყენა ის საერთო სისტემისთვის დასარქმევად, რადგან მას ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს. თუმცა, სხვა ნიშნებიც მნიშვნელოვანია (Lewis, 1998: 7). ლევისმა განსაზღვრა დაახლოებით 70 ნიშანი (Lewis,1966) (მოგვიანებით ავტორი საუბრობს მხოლოდ 50 ნიშანზე (Lewis, 1998)), რაც დამახასიათებელია კულტურული სიღარიბისათვის და დაჯგუფებული აქვს ოთხ განზომილებიან სისტემაში:

1. ქვე-კულტურასა და დომინანტურ კულტურას შორის ურთიერთობა.
2. ადგილობრივი მცხოვრებლები
3. ოჯახი
4. დამოკიდებულება, ღირებულებები და ინდივიდუალური ხასიათი.

ო. ლევინის შეხედულებით, სიღარიბის კულტურის ძირითად ელემენტად მიჩნეულია სოციალური ინსტიტუტების დაცალკევება. მისი მფლობელი ადამიანები ძირითადად არ მონაწილეობენ აქტივობებში; ისინი არ არიან არც ერთი ოფიციალური ორგანიზაციის წევრები. არ არიან ჩართულები შრომით ბაზარზე, პროფესიულ კავშირებსა (პროფკავშირებში) და პოლიტიკურ პარტიებში. ისინი უბრალოდ ჩართულები არიან სამუშაო ბაზარზე და ეს არის ძირითადი მიზეზი მათი მცირე ქონების. არასდროს, ან იშვიათად იყენებენ ბანკის და სამედიცინო დაწესებულებების შეთავაზებულ მომსახურებას. მათ შეეძლოთ საქმე ჰქონოდათ პოლიციასთან, ციხესთან, ჯართან და სოციალური დახმარების ინსტიტუტებთან, თუმცა მტრობა და უნდობლობა გამოუცხადეს ამ ინსტიტუტებს. აშკარაა ამ ხალხისთვის დამახასიათებელი არაინტეგრირების შიში, ეჭვის

შეტანა, უნდობლობა და აპათია. სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობა, არსებობის შემთხვევაში, მათში იწვევს დისკრიმინაციის და უმწეობის შეგრძნებას. უარყოფითი გამოცდილების მაღალი ტენდენცია ოფიციალურ დაწესებულებებთან კავშირის სურვილს უკარგავთ.

გარე სამყაროსთან მათ ურთიერთობებში დომინირებს უშუალოდ იმ გარემოში ორიენტირება, სადაც ისინი ცხოვრობენ: ხშირად მათ კავშირი მხოლოდ ოჯახის წევრებთან აქვთ. შემთხვევით თუ რაიმე ჯგუფი შეიქმნა, ის ძირითადად არამდგრადია და დიდხანს ვერ არსებობს, (გამონაკლისი შეიძლება იყოს ბანდები). საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრება მიმართულია ოჯახისკენ. შეიძლება განვიხილოთ არაფორმალური გირავნობის, ან სესხის ხშირი შემთხვევები. გამოყენებაში დომინირებს: ნახმარი ტანსაცმლი, ავეჯი და საოჯახო საგნები. კულტურული სიღარიბისას, ხალხი ქმნის პატარა ღირებულებებს და იმ მცირეს იღებენ უკან, რასაც გასცემენ. საზოგადოებაში დომინირებული ღირებულებები გამოიხატება სიტყვებით, ხალხი საუბრობს, მაგრამ სინამდვილეში ამ ღირებულებების მიხედვით არ ცხოვრობს. მათ ყველაზე გავრცელებული ღირებულებები არ შეითვისეს, ისინი დარჩა "გარეგანი" და უცხო.

ოჯახი ხასიათდება თანაცხოვრებით და არა ოფიციალურად რეგისტრირებული კავშირით. მამაკაცებს არ სჭირდებათ ქორწინებით კავშირი, რადგან მათ არ აქვთ ქონება, რაც შთამომავლობით უნდა გადაეცეს მათ მემკვიდრეებს. არარეგისტრირებული საქორწინო კავშირებით თავიდან აცილებულია საქორწინო და შესაძლო განქორწინების ხარჯები. ქალებისთვის სხვა მიზეზია, ერთ-ერთი ძირითადი ისაა, რომ არ სურთ დააკანონონ ურთიერთობა ჩამოუყალიბებელ მამაკაცთან, ვისაც არ შეუძლია ოჯახის მატერიალურად უზრუნველყოფა. თუმცა, თავისუფალი თანაცხოვრებაც არამდგრადია, ამიტომა არის, რომ ოჯახი კონცენტრირებულია დედაზე და მის ნათესავებთან ურთიერთობაზე. ოჯახის ერთიანობა სიტყიერად კი გამოცხადებულია, თუმცა ოჯახის წევრებს შორის შეჯიბრი სახსრების უქონლობის გამო შეიმჩნევა. საყურადღებოა, რომ კულტურულ სიღარიბეში მცხოვრები ხალხი ბავშვობას არ აღიქვამს ცხოვრების სპეციფიურ ეტაპად, რომელიც საჭიროებს მზრუნველობას და დაცვას. ბავშვის აღზრდა არის იმპულსური და ავტორიტარული. ადრეულო ბავშვობის ასაკის გადავლის შემდეგ,

ბავშვებს თავის ნებაზე უშვებენ მზრუნველობის და კონტროლის გარეშე; ისინი საკმაოდ ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლი.

ამ ხალხისთვის დამახასიათებელია მარგინალობის (ზღვრული მიდგომის პრინციპი) ძალიან ძლიერი გრძნობა, ისევე როგორც, სასოწარკვეთილება, დამოკიდებულება და დაბალი თვითშეფასება. ეს მახასიათებლები აერთიანებს: უდედობის მაღალი კოეფიციენტი და საკუთარი "მე-ს"-სტრუქტურის სისუსტე, თავშეკავების და ქცევის კონტროლის ნაკლებობა, რაც მიემართება დღევანდელობაზე ორიენტირებულობას, არ ფიქრობდეს მომავალზე და მის დაგეგმვაზე. წარუმატებლობა მომავლის დაგეგმვისას და მომავალი კეთილდღეობისთვის წუთიერ სიამოვნებაზე უარის თქმის უძლურება. ეს ხალხი ცხოვრობს დღევანდელობისთვის. მათ არაფერი იციან იმ მოვლენებზე, რაც მათ პირადად არ ეხებათ. არ შეუძლიათ ზოგადი დასკვნის გაკეთება, საკუთარი თავისთვის, როგორც ფართო საზოგადოების ნაწილისთვის ანგარიშის გაწევა, ან სხვა სიტყვებით, ისინი ვერ აღიქვამენ კლასობრივი ცნობიერების გრძნობას.

ო. ლევისი (O. Lewis) აცხადებს, რომ კულტურული სიღარიბის ყველაზე შესაძლო წარმომადგენლები მოდიან სწრაფად ცვალებადი საზოგადოების ყველაზე დაბალი ფენიდან. ეს ქვე-კულტურა ყველაზე მეტად მისაღები შეიძლება იყოს დომინანტური კულტურისგან დაშორებული ხალხისთვის.

სოციალური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებები გადაეცემა ერთი თაობიდან მეორეს. ისინი წარმოადგენენ რწმენას, დამოკიდებულებას და ღირებულებებს, რაც ფუნდამენტალურად განსხვავდება ამ უფრო ფართო საზოგადოებისგან. ლევისი (Lewis) ამბობს: "კულტურული სიღარიბის მფლობელი ხალხი გათვიცნობიერებული არიან საშუალო კლასის ღირებულებებს, საუბრობენ მათზე და ზოგ მათგანს თავისადაც კი მიიჩნევენ. მაგრამ, მთლიანობაში არ ცხოვრობენ ამ ღირებულებების მიხედვით. ამდენად, მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გავარჩიოთ, რას ამბობენ და რას აკეთებენ ისინი (Lewis, 1965: xlvi).

სიღარიბე არ არის მხოლოდ რაიმეს ნაკლებობა და კულტურული სიღარიბე ასევე, მხოლოდ არაორგანიზებულობა ან უქონლობა. ეს არის სპეციფიური ქვე-კულტურა, თავისი ტრადიციული მნიშვნელობით, რომელიც განსაზღვრავს ხალხის ცხოვრების

ნიმუშს და აწვდის პრობლემიდან მზა გამოსავალს. კულტურულ სიღარიბეს აქვს დადებითი მხარეებიც. შეიძლება ითქვას, რომ მას აქვს მნიშვნელოვანი შეგუების ფუნქცია. ის ჩამოყალიბდა, უკიდურესი სიღარიბის და გარიყულობისგან ადამიანების გადასარჩენად. ასეთ მდგომარეობაში ის ფუნქციურია, როგორც ო. ლევისი (O. Lewis) მიუთითებს: ის წარმოადგენს უსახლკარობის და სასოწარკვეთის გრძნობის დაძლევის მცდელობას, რომლებიც ყალიბდება წარმატების მიღწევის დაუჯერებლობის გავრცელებითმ (Lewis, 1965, xliii- xliv). ისინი ნებას აძლევენ საქმე ჰქონდეთ სპეციფიურ "დეფორმირებულ" ცხოვრების წესთან, კულტურული სიღარიბის მატარებლები არ აღიქვამენ როგორც "დეფორმირებულს", რადგან ის შეესაბამება ამ ხალხის ღირებულებათა სისტემას. ისინი ეგუებიან თავიანთ ცხოვრებას მისი შეცვლის სურვილის გარეშე.

ინდივიდუალები უმკლავდებიან ან ეგუებიან ვითარებას, იმის მაგივრად, რომ შეუპირისპირდნენ ან შეებრძოლონ მას. ისინი არ არიან მიმართულები თავიანთ მდგომარეობაში საზღვრებს გადააბიჯონ აქტიური წინააღმდეგობით. კულტურული სიღარიბე მოითხოვს სიღარიბის დაძლევისთვის კომპეტენციას და უნარებს. მისი დაძლევა ნაწილობრივ დამოკიდებულია მრავალი ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური შესაძლებლობით, უნარით, რომლებიც შესწავლილია სოციალიზაციის პროცესში. ეს ნიშნავს კულტურული სიღარიბის აზრს, რომ "სიღარიბის გამომწვევი არასასიამოვნო მიზეზი, მიესადაგება იმას, თუ რამდენად დახელოვნებულია ღარიბი ხალხი მის მოპოვებაში"(Gilliatt, 2001: 44).

თუმცა, რწმენა , დამოკიდებულება და ქცევის ნიმუშები, რომლებიც ეხმარებიან ადამიანს ცხოვრება შექმნან სიღარიბეში, სავარაუდოდ ადამიანის სიღარიბიდან დახსნის შეუძლებლობის ნიმუშს ემთხვევა. სპეციფიური ნიშნები არ აძლევს ადამიანს დაიმედების საშუალებას, რომ ოდესმე შეძლებენ თავი დააღწიონ მას. შეიქმნა მანკიერი წრე, რომელიც ადამიანს ითრევს მასში და აღარ აძლევს მისი დატოვების საშუალებას. ყველაზე შემაწუხებელი ფაქტორი ის არის, რომ ეს სპეციფიური ქვე-კულტურა გადაეცემა მომავალ თაობას. ის ნებას რთავს ბავშვებს, გაერთიანდნენ კულტურული სიღარიბის მქონე ოჯახში, მოითხოვს განსაზღვრულ ღირებულებებს, ცხოვრების წესს, ასწავლის

როგორია იყო ღარიბი და თავი გაართვა მას. სოციალიზაცია სიღარიბის ქვე-კულტურებში აყალიბებს დეფორმირებულ იდენტობას- რომელიც თან სდევს ყველა მდგომარეობაში.

რადგანაც სიღარიბე მოიცავს ქვე-კულტურას, ის ეხება არა მარტო ფულს და მის ნაკლებობას, არამედ- უფრო მეტს. ამ თეორიის მიხედვით, თუ კულტურული სიღარიბის წარმომადგენლებს მიეცემოდათ საკმარი ფული საჭიროებების შესაბამისად დაკმაყოფილებისთვის, მათი ცხოვრება დიდად არ შეიცვლებოდა.

ისინი, სავარაუდოდ " ფულს გაფლანგავენ", რათა დაიკმაყოფილონ წუთიერი საჭიროებები და გახდებიან ისეთივე ღატაკები, როგორიც მანამდე იყვნენ. (Popple,Leighninger, 1990: 192.

სიღარიბე ხდება აქტიური ფაქტორი, რომელიც მოქმედებს უფრო დიდი ეროვნული კულტურის წევრებზეც კი და მასში ქმნის ქვე-კულტურას. შეიძლება განიხილეოდეს სიღარიბის კულტურა, რომელსაც აქვს თავისი ზემოქმედების საშუალებები და განსხვავებული სოციალური და ფსიქოლოგიური შედეგები თავისი წევრებისთვის. ჩემი თვალთახედვით, სიღარიბის კულტურა გავლენას ახდენს რეგიონალურ, საქალაქო და-სასოფლო და ეროვნულ საზღვრებზეც კი. მაგალითად, მე მოხიბლული ვარ ოჯახის სტრუქტურების მსგავსებებით, ნათესაობის კავშირის, ცოლ-ქმრული და მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობის ხარისხით, დროის ორიენტირებით, გამოყენებული ნიმუშებით, ღირებულებათა სისტემის და საზოგადოებრიობის მნიშვნელობით დაბალ კლასობრივ დასახლებებში (Lewis, 1962: 2).

მიუხედავად კრიტიკისა, სიღარიბის კულტურის თეორიას თავისი ადგილი უკავია სიღარიბის განმარტებისას. ეს მიდგომა დაკავშირებულია ფართოდ გავრცელებულ "ქვე-კლასის" მიდგომასთან, რომელიც ეხება ღარიბებსა და საზოგადოებაში დომინირებულ კლასს შორის განსხვავებებს და ყურადღებას ამახვილებს ამ განსხვავებების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში სოციალური დახმარების როლზე.

საზოგადოების ქვე-კლასი

ბოლო დროს ქვედა კლასზე ინტერესი გაიზარდა, თუმცა ეს მოვლენა არ არის ახალი. შეხედულება წარმოიშვა 19-ე საუკუნის ბოლოს, როდესაც ჰ. მეთიუმ (H. Methew) განსაზღვრა "უმუშევართა" სამი ჯგუფი:

. ფიზიკურად უნარშეზღუდულები

. გონებრივად და ინტელექტუალურად შეზღუდულები

. მორალური ნაკლოვანებების მქონე ადამიანები (Vagrant, criminals) (Dean and Taylor-Gooby, 1992: 30)

ს. ბუთი (C. Boot) თავის კვლევებში გამოყოფს სპეციფიურ ჯგუფს- " დანალექს". ეს არის ჯგუფი, რომელიც არ ფლობს დანარჩენი საზოგადოების მსგავს ღირებულებებს, მიზნებს და თავიანთ სიღარიბეს გადასცემს მომდევნო თაობებს. თუმცა, არც ერთ მათგანს არ გამოუყენებია ტერმინი "ქვე-კლასი". ეს ტერმინი ასოცირდება კ. აულეტას (K. Auletta) სახელთან.

იმის მიუხედავად, რომ დიდი ყურადღება დაეთმო ტერმინს "ქვე-კლასი", მასთან დაკავშირებით ცალსახოვანი განმარტება მაინც არ არსებობს. რადგანაც განზოგადებული განმარტება არ არსებობს, ამ ტერმინის მომხმარებლებს შეუძლიათ თავისუფლად განმარტონ თვითონ. თუმცა, ქვე-კლასის ყველა განმარტებას აქვს საერთო მახასიათებლები:

. დაბალშემოსავლიანობის სიჭარბე, შრომითი ბაზრის მიმართებით;

. უფრო მეტი უქონლობა, ვიდრე მომუშავე კლასში; და

. განსაზღვრული ქვეკულტურა.

ისინი ვინც ამ ცნებებს იყენებენ, თავისუფლად შეუძლიათ აქცენტი გააკეთონ ერთ, ან რამდენიმე მახასიათებელზე.

როგორც კ. აულეტა(K. Auletta) ამტკიცებს, ღარიბი ხალხის უმრავლესობისთვის სიღარიბე არ არის მუდმივი მდგომარეობა და ერთ ან ორ თაობაში დაიძლევა. მაგრამ მოცემულია 9 მილიონი ამერიკელი, ვინც არ არის ინტეგრირებული საზოგადოებაში. ისინი ეკუთვნიან ღარიბ -ღატაკებს, რომლებიც იყოფიან ოთხ კატეგორიად:

. პასიური ღატაკები, ვინც იღებენ გრძელვადიან სოციალურ დახმარება.

. მტრულად განწყობილი ქუჩის კრიმინალები, რომლებმაც სკოლა მიატოვეს და ნარკოტიკების მოხმარება დაიწყეს და ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობას საფრთხის ქვეშ აყენებენ.

. ბანდიტები, ვისაც მოსწონთ ქუჩის კრიმინალი, ისინი შესაძლოა ღარიბები არ აღმოჩნდნენ, რადგან ფულს გამოიმუშავებენ მიწისქვეშა ეკონომიკით, მაგრამ იშვიათად სჩადიან დანაშაულს.

. ტრავმული ალკოჰოლიკები, მოხეტიალეები, მაღაზიის ჩანთებით მოსიარულე უსახლკარო ქალები და საავადმყოფოდან გამოსული ფსიქიური ავადმყოფები, რომლებიც დახეტიალობენ და ხშირად შეგხვდება ქალაქის ქუჩებში. (Auletta, 1982: XVI).

ღატაკების ცნების არსი უფრო ფართოდ განავითარა ს. მურეიმ (C. Murray) (1984, 1996), ამერიკაში და დიდ ბრიტანეთში კვლევისას. ის ასევე განიხილავს ღარიბ ხალხს შორის სეგმენტაციას. არსებობენ ორი სახის ღარიბები. პირველი მათგანია, ის ადამიანები, ვისაც უბრალოდ დაბალი შემოსავალი აქვთ და მეორე ნაწილი ამოიცნობა საქციელით. სახლები მოუვლელი აქვთ, მამაკაცებს არ შეუძლიათ სამსახურის შენარჩუნება, ხშირია ალკოჰოლის მიღება, მათი შვილები კარგი განათლების გარეშე იზრდებიან და უყალიბდებათ ცუდი ქცევები, ისინი ხშირად წვრილმანი ხულიგნების ძირითად ნაწილს წარმოადგენენ (Murray, 1996: 23). მურეი (Murray) მიიჩნევს, რომ სოციალურმა დახმარებამ ხალხში შექმნა დამოკიდებულების კულტურა, რომელსაც ისინი ღატაკის სტატუსამდე მიჰყავს. ღატაკები არ განისაზღვრებიან სიღარიბის ხარისხით, არამედ სიღარიბის ტიპით. სხვა ხალხთან შედარებით ესენი ცხოვრობენ განსხვავებულ სამყაროში და თავის შვილებსაც ამ სამყაროსთვის ზრდიან. ეს არის კულტურული უქონლობა, რომელიც გადაეცემა მომავალ თაობებს. ამდენად, წარმოიშვა გარიყულების კლასი, რომლებიც სოციალურ დახმარებას იღებენ.

ღატაკების წრის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ისეთ ოჯახებთან, სადაც მხოლოდ ერთი მშობელია, განსაკუთრებით მარტოხელა დედა და ვისაც მუშაობა შეუძლია, მაგრამ სურვილი არ აქვს. სიღარიბის გამომწვევი სხვა ფაქტორებიცაა ნახსენები, მაგალითად კრიმინალური დანანაშაულები, მაგრამ ძირითად ფაქტორებად მაინც ისინია მიჩნეული, რომლებსაც ადამიანი სოციალურ დახმარებამდე მიჰყავს. სოციალური დახმარების

მიღებით ხალხი განირჩევა საზოგადოების სხვა ნაწილისგან და მათი სხვაობა გამოიხატება იმით, რომ ისინი დამოკიდებულების კულტურის წარმომადგენლები არიან. ეს შეხედულება ემთხვევა სიღარიბის კულტურისას, მაგრამ მსგავსად ამისა, მასაც აკრიტიკებენ მკვლევარები. ამტიცებენ იმასაც, რომ ეს არასწორია და მაშასადამე არ შეიძლება იყოს გამოსადეგი (Dean and Taylor-Gooby, 1992, 123). მსგავსი შეხედულებები გამოთქვეს სხვა ავტორებმაც, რომ, მაგალითად, ღატაკთა სულ მცირე ურთიერთობამ საზოგადოების დანარჩენ ნაწილთან შეიძლება უფრო მეტი ცუდი შედეგი მოიტანოს, ვიდრე- კარგი (Nolan and Whelan, 1996, 201).

კულტურული უქონლობის თეორია

სიღარიბის ამგვარი მიდგომა ახლო კავშირშია კულტურული სიღარიბის თეორიასთან. თუმცა დიდ ბრიტანეთში მნიშვნელოვანი ყურადრება ექცევა ზუსტად კულტურულ უქონლობას. ძირითადი ცნება, რაზეც ეს თეორია დაფუძვნდა არის სოციალიზაცია. თუ სოციალიზაციის მთავარ მოქმედ ძალას- ოჯახს- არ შეეძლება უზრუნველყოს თავისი შვილების სწორი აღზრდა, ისინი ჩამოყალიბდებიან ისეთ ზრდასრულებად, ვისაც არ შეეძლება დომინირებულ კულტურაში ინტეგრირება და მისგან შეთავაზებული შესაძლებლობების გამოყენება. ბევრი ადამიანი რჩება ღარიბი, რადგან არ იციან ისეთი ქცევები, რომლებიც გზას გაუხსნიან სხვა სეგმენტში, ან/და არავინ ეხმარებათ ამისაში (Pearson,2003:6). კულტურული სიღარიბის საპირისპიროდ, სოციალიზაციის დაუსრულებელ პროცესში გაბატონებული ღირებულებების სისტემის ფარგლებში არის სიღარიბე მოგვარებული, როდესაც კულტურული სიღარიბე ხაზს უსვამს “არასწორი” ღირებულებების სისტემაში წარმატებულ სოციალიზაციას. ამრიგად, წინა პლანზე წამოვიდა შეხედულება, რომ ღარიბებზე გავლენას ახდენს დომინანტური კულტურა, მაგრამ სოციალიზაციის ნაკლებობა შესაძლებლობას არ აძლევთ, რომ გამოიყენონ ამ კულტურის უპირატესობები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კულტურული ასპექტები, რომლებიც საზოგადოების სხვა წევრებს სიღარიბის თავიდან აცილების შესაძლებლობას აძლევს, ღარიბებისათვის ხელმისაწვდომი არ არის (Holman, 1978;111).

შესაძლებელია, რომ კულტურის უქონლობის ყველაზე ცნობილი ვერსია იყოს კ. ჯოსებსის (K. Joseph) “ უქონლობის ციკლი”. ის მიიჩნევს, რომ სიღრიბის აუცილებელი წინაპირობაა ბავშვების არასწორი აღზრდა, მათ განვითარებაზე ზემოქმედება. ამიტომ ბავშვები ვერ ვითაედებიან საკმარისად და არ არიან მზად სკოლისთვის, სადაც წარუმატებლობას განიცდიან. არასაკმარისად განვითარებული ემოციური შესაძლებლობები და ურთიერთობების ჩამოყალიბების უუნარობა, მყარი ქორწინებისთვის ქმნის დაბრკოლებას . იმის გამო, რომ მშობლების დამოკიდებულება სამსახურსა და წარმატებასთან არასწორია, მათი შვილები ვერ შეძლებენ კარიერულ წინსვლას. სინამდვილეში ისინი განწირულები არიან სიღარიბისთვის, როგორც ჯოზეფი(Joseph) მიუთითებს, ყველაზე მეტად მათ შვილების აღზრდა გაუჭირდებათ გამოცდილების უქონლობის გამო. შესაბამისად, მოსალოდნელია სიღარიბის ხელახალი წარმოქმნა.



წყარო:ჰოლმენი, 1978: 117

ფიგურა 1. უქონლობის ციკლი

ავტორი ყურადღებას ამახვილებს ღირებულებების გადაცემის მექანიზმზე, ვიდრე თვითომ ამ ღირებულებების ბუნებაზე. ასევე ხაზს უსვამს, ბავშვების აღზრდის პროცესში მშობლების ნაკლებ მხარდაჭერას. ზოგიერთი ბავშვის აღზრდის მეთოდი იწვევს ინდივიდუალური თვისებების და იმ უნარ-ჩვევების ჩამოუყალიბებლობას, რომელიც საჭიროა ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად და ამაგვარი აღზრდის მეთოდი გადაეცემა თაობიდან თაობებს.

ამ მდგომარეობიდან გამოსავალი შეიძლება იყოს დომინანტურ კულტურაში ღარიბი ხალხის ინტეგრირება, როგორც მისი შემადგენელი და სრულად ფუნქციონალური ნაწილი. უქონლობის ციკლი აუცილებლად უნდა დაირღვეს. ამის გასაცნობად სამი ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორია მოყვანილი:

. მშობლების ახლანდელი შესაძლებლობების და უნარების გაუმჯობესება ბავშვების აღზრდაში. ეს შეიძლება განხორციელდეს განათლებული მშობლებით, მათი კონტროლით და რჩევების მიცემით.

. უქონელი ბავშვების ფინანსური დახმარება. სპეციალური პროგრამა შემუშავდა 5 წლამდე ბავშვებისთვის. ეს ითვალისწინებს იმ სოციალური უნარების შესწავლას ღარიბებისა და უქონელი ბავშვებისთვის, რომლებიც არ უსწავლიათ მშობლებისგან. ამის მისაღწევად ძალიან კარგი საშუალება იყო ბაღებში დასწრება, სოციალური განსხვავებების შემცირება კულტურულად და ეკონომიკურად უქონელი ბავშვებისთვის. სპეციალურად შეირჩა ადგილი სკოლისთვისაც.

. ბავშვების სწავლება, თუ როგორ გახდნენ კარგი მშობლები. ამასთან ერთად, სკოლაში უკვე სწავლობენ როგორ დააფასონ თამაშისა და ენის განვითარების როლი
და სხვა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია ბავშვის აღსაზრდელად (Holman, 1978:119-122).

სიღარიბის კულტურის განმარტება ძალიან პოპულარულია (Popple, Leighninger, 1990:193) და იმოქმედა როგორც აზროვნებაზე, ისე პრაქტიკაზე, (Holman ,1978, 123)
თუმცა, ის კრიტიკის საგანი გახდა. ეს კრიტიკა მიემართებოდა შემდეგ განხრებს:

. კვლევა, რომელიც ამ მიდგომის საფუძველზე ჩამოყალიბდა, გაკრიტიკდა.

. სხვა მკვლევარებს ბოლომდე უნდა მიეყვანა იმის მტკიცებ, რომ ღარიბები საზოგადოების დარჩენილი ნაწილისგან არ განსხვავდებიან.

ამ მიგომის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტიკა მოიპოვება ჩარლზ ვალენტინის(Charles Valentine) ნაშრომში. (1972) ის ამტკიცებს, რომ კულტურული იღარიბის თეორია დაფუძვნებულია დეფექტურ კვლევაზე და ლევისის კვლევა ნამდვილად არ სცნობს კულტურული სიღარიბის ცნებას. ის ასევე მიუთითებს ნიმუშის რეპრეზენტატიულობის ნაკლებობას.

“ყველაზე რთულია მასალის სისწორის და მისი სანდოობის დადგენა” (Valentine, 1972:56).ის ლევისს (Lewis) საყვედურობს მასალის ტენდენციური შერჩევის გამო - ლევისი ავტორის წინადადებების დამტკიცებას ცდილობს და არა მათ შემოწმებას მეცნიერულად სწორი გზით. ვალენტინი წერს: “ლა ვიდას” თემები არჩეული იყო არა მისი

გამომსახველობის გამო, პირიქით, რადგან ისინი ამჟღავნებდნენ ანომალურ უკიდურესობებს.(Valentine, 1972: 53) სხვა მკვლევარები ამტკიცებენ, რომ სწავლება არ ითვალისწინებს კულტურის სიღარიბის ნიშნებს.(იხ: "სიღარიბის თეორიები", See:Theories of Poverty) და წარუმატებელი აღმოჩნდა მისი ძირითადი შეხედულების მტკიცება. ღარიბებისთვის დამახასიათებელი "განსხვავებები" ისწავლებოდა ისეთ სფეროებში, როგორიცაა პროფესიისადმი მიდგომა, დანაზოგები, ბავშვებთან დამოკიდებულება, სოციალური უნარები და ენა. კვლევის შედეგი არის შესანიშნავი ნიმუში, ლევისისგან განსხვავებით, რომელიც არ ეთანხმება თეზისს, რომ ღარიბები დანარჩენი სზოგადოებისგან ხარისხის კუთხით განსხვავდებიან.

კვლევის შედეგები აჩვენებს კულტურული სიღარიბის განმარტების ძირითად პოსტულატებს, ამტკიცებს, რომ ღარიბები საზოგადოების განსხვავებული ნაწილია. კვლევარები კი ხაზს უსვამენ, რომ ღარიბები არიან დანარჩენი საზოგადოებისნაირი, მსგავსი კულტურითა და მისწრაფებებით, მაგრამ მათი რესურსები ზედმეტად შეზღუდულია ,რომ მონაწილეობა მიიღონ ისეთ აქტივობებში და ქონებაც ისეთი დააგროვონ, როგორიც საზოგადოების დანარჩენ ნაწილს აქვს. ყველა ნეგატიური ნიშანი შეიძლება იყოს მუდმივი უქონლობის შემადგენელი ნაწილი და უკავშირდებოდეს იმ გზას, რომლიც ღარიბებს აგუებს თავიანთ მდგომარეობას.

განსაკუთრებით სიღარიბის სტრუქტურული განმარტების მომხრეების კრიტიკა მიუთითებს ფაქტს, რომ კულტურული სიღარიბე არის უფრო სიღარიბის შედეგი, ვიდრე მიზეზი. ზოგიერთი მათგანი უფრო შორს წავიდა იმის მტკიცებით, რომ "სიღარიბის კულტურის განმარტებები არის უბრალოდ ყალბი მცდელობები სიღარიბის რეალური მიზეზს დასაფარად"(იხ. Popple, Leighninger 1999, 199. კრიტიკა ასევე შეეხო კულტურის უქონლობის თეორიას.

უქონლობის ციკლი მიემართება ახლანდელ მდგომარეობას, მაგრამ არ აჩვენებს როგორ ხვდებიან ისეთი ოჯახები ამ ციკლში, რომლებსაც არ აქვთ უქონლობის მონაცემები. არ არსებობს ისეთი განმარტება, რომელიც დაასაბუთებს, თუ რატომ შეუძლია ინდივიდების ნაწილს თავი დააღწიოს კულტურულ უქონლობას.

არსებობს კვლევები, რომლებიც ეჭქვეშ აყენებს სიღარიბის მემკვიდრეობით გადაცემის აზრს: ღარიბი ოჯახებიდან წამოსული ბავშვების უმრავლესობა, მომავალ ცხოვრებაში არ არიან ღარიბები და ღარიბებს ხშირად არ აქვთ უქონლობის ისტორია (Brown and Madge ,1982).

მოკვლეული მასალა ადასტურებს, რომ ღარიბები არ არიან საზოგადოებისგან გარიყული და განცალკევებული და რომ მათ არ აქვთ განსხვავებული კულტურა ან მათი საქციელი არ განსხვავდება, თუ რესურსების სიმცირე არ გამოიწვევს ამას. ღარიბ ადამიანებს აქვთ იგივე ღირებულებები, დამოკიდებულებები და მისწრაფებები ,რაც საზოგადოების დანარჩენ ნაწილს (Walker,1996:68).

რომ შევაჯამოთ, გამოკვლეულ ლიტერატურაში სიღარიბის განმარტების სამი ძირითადი მიდგომაა ნაპოვნი, რომლებიც განსხვავდებიან პრობლემის გამომწვევი მიზეზის ადგილმდებარეობით. სიღარიბის გამომწვევი მიზეზი დაკავშირებულია ცალკეულ ინდივიდებთან, ის არის პიროვნული პათოლოგიები. საზოგადოების შემადგენლობა და ფუნქციონირების მხრივა არის სტრუქტურული განმარტებები და სპეციფიური კულტურის მხრივ- კულტურული განმარტებები. სიღარიბის მკვლევარების და პოლიტკოსების შეხედულება ამ პრობლემასთან მიმართებაში არ არის ერთსულოვანი. თითოეულ მიდგომას ჰყავს მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც.

თვითონ საზოგადობასაც არ აქვს ერთსულოვანი შეხედულება, იმათ ჩათვლით ვინც შეიძლება სიღარიბის გამო დავადანაშაულოთ, ისევე, როგორც მისი გამომწვევი მიზეზეი. თანდათანობით იზრდება იმ ხალხის რაოდენობა, ვინც სიღარიბეს სტრუქტურულ მიზეზებს უკავშირებს, თუმცა მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ თვითონ მსხვერპლს ადანაშაულებს ამაში(Golding, 1995:222).

გარკვეულ საზღვრებში ყველა ძირითადი მიდგომა უკიდურესია. მხოლოდ ერთი მიდგომა ვერ დამტკიცდა სრულიად ჭეშმარიტად, რომელიც სხვებს უარყოფს. სიღარიბე არის რთული, მრავალგაზომილებიანი მოვლენა, ამრიგად მისი მიზეზებიც შეიძლება იყოს რთულად, ინდივიდუალურად და კულტურულად დაკავშირებული ერთმანეთთან.

რთული მიდგომის ანალიზისას საკმარისი არ არის მხოლოდ ერთი მიდგომის გამოყენება, რადგან შეიძლება წარმოშვას არასწორი აზრი და არასწორი დასკვნები ამ

მრთულ მოვლენასთან-სიღარიბესთან დაკავშირებით.

2.უსახლკარობა და უსახლკაროები

ამ თავში განხილულია უსახლკარობის და უსახლკაროების სხვადასხვა განმარტებები, რომლებიც სხვადასხვა მიდგომით განიმარტება: ვიწრო და ფართო, პერსონალური ან სტრუქტურული, აბსოლუტური ან შედარებითი, ობიექტური (პირდაპირი) ან სუბიექტური. ასევე მოკლედ განმარტავს უსახლკარო ხალხის ტიპოლოგიას და თავიებურებებს. უსახლკარობის გამომწვევი მიზეზები ორ მთავარ ჯგუფადა არის დაყოფილი- პერსონალური (ინდივიდუალური) და სტრუქტურული. ეს თავი ეწინააღმდეგება ამ საკითხის მიმართ მკვლევარების შეხედულებებს.

2.1 უსახლკარობის ტერმინის განმარტება

უსახლკარობა არსებობს ცივილიზაციის ადრეული დასაწყისიდან. მისი საზღვრები იზრდება სოციალური წინააღმდეგობების, ომების, სტიქიური უბედურებების, ეკონომიკური ან პოლიტიკური კრიზისის ფონზე. უსახლკარობა არსებობს, როგორც ინდუსტრიულად და ეკონომუკურად განვითარებულ, ასევე განვითარების პროცესში მყოფ ქვეყნებში. ფართო მასშტაბის და დიდი ხნის ისტორიის მიუხედავად, მკვლევარებმა ვერ ჩამოაყალიბეს ამ მოვლენის ერთსახოვანი განმარტება.

დასავლურ ქვეყნებში დიდხანს განიხილებოდა უსახლკარობის განმარტება. მეცნიერების შეხედულებები განსხვავდება არა მხოლოდ ტერმინის განმარტებისას, არამედ ვარაუდობენ საერთოდ თუ შეიძლება ზუსტად განიმარტოს ის. ასეთი შეხედულებები გვხვდება ავსტრალიელი მეცნიერების ნაშრომებში, მაგალითად სუკვილის (Suckville) და ფილდის (Field)(See:Chumberlain,2001).

სხვა მკვლევარები არ არიან ამ საკითხისადმი ასეთი რადიკალურები და თვლიან, რომ ტერმინი შეიძლება განიმარტოს, თუმცა უსახლკარობას ძალიან რთულ მოვლენად მიიჩნევენ, რომლის განსაზღვრაც არ არის მარტივი. უსახლკარობა თავს არიდებს ზუსტ განმარტებას, თავისი სირთულისა და მზარდი მრავალმხრივობის გამო (Burke,1998:35;

Dail et al, 2000: 423), ისევე როგორც, დროსა და ადგილებში მისი მუდმივი ცვალებადობის გამო (Kore et al, 2006:300). თუმცა, ცდილობენ უსახლკარობის საზოგადოდ მიღებული ტერმინის შექმნას (Speaker, 2004:465). დღემდე ამგვარი განმარტება არ შექმნილა. უფრო ხშირად კამათობენ, რომ „მოლოდ ერთი განმარტება ვერ ასახავს ამ მოვლენას" (Anderson, Christian, 2003:106) და შესაძლოა საჭირო გახდეს განმარტებების კრებული (Speaker, 2005: 337; Tipple,Speaker, 2000; Hutson,Clapham, 1999).

განმარტება აუცილებელია სხვადასხვა მიზეზების გამო-უსახლკარო ხალხის გარკვეული რაოდენობა დამოკიდებულია ტერმინის განმარტებაზე, ვისაც უსალკაროებად მივიჩნევთ განსაზღვრავს, როგორ დავითვლით მათ რაოდენობას (Perressini et al 1995, cited from Tipple, Speaker, 2004). ასევე განმარტება განსაზღვრავს სოციალური პოლისის მოქმედებას (Kore et al, 2006: 300).

ბევრ ქვეყანას არ აქვს უსახკლარობის და უსახლკაროების ოფიციალური განმარტება , ასევეა ლატვიაშიც. მოგვიანებით ტერმინის აღქმა დაეფუძვნა მეცნიერების კარგად დამუშავებულ განმარტებებს.

სხვადასხვა ლიტერატურის მიხედვით არსებობს უსახლკარობის რამოდენიმე განმარტება, ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევარების სხვადსხვა მოსაზრების გამო. შეხედულებები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. დეფინიციების განსხვავებულობა დამყარებულია 3 ფაქტორზე: არსებობს თუ არა კანონმდებლობა უსახლკაროთა შესახებ, კავშირი სოციალურ საცხოვრებლებში განთავსებულთა და უსახლკაროთა შორის და ასევე უნდა მივიჩნიოთ თუ არა უსახლკარობა მულტიდისციპლინურ განმარტებად ან ყურადღება გავამახვილოთ სოციალურ საცხოვრებლებზე. (Research on homelessness in Comparative perspective)

განმარტება შეიძლება იყოს ფართო და მრავლისმომცველი - განისაზღვრება, როგორც უსახლკაროები, რომლებიც ცხოვრობენ დაბალი ხარისხის სოციალურ სახლებში და დეფინიცია ასევე შეიძლება იყოს ვიწრო გაგების და მოიცვდეს, მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებსაც არ აქვთ საცხოვრებელი. რამდენად ფართოა უსახლკარობის, როგორც ტერმინის გაგება და რამდენად მრავლისმომცველია მისი განმარტება, ეს არის „ ერთ-ერთი ფუნდამენტური საკითხი უსახლკარობის განხილვისას" (Tosi, Torri, 2005).

დეფინიციის სხვადასხვა მაგალითები და განმარტებები მოცემულია შემდგომში. ერთ-ერთი ყველაზე ზოგადი და ფართო გაგება უსახლკარობის არის ის ადამიანები, რომლებსაც არ აქვთ მუდმივი საცხოვრებელი. (Shlay, Rossi, 192:129). უსახლკაროდ მიიჩნევიან ისეთი უღარიბესი ადამიანები, რომელთაც არ აქვთ მუდმივი საცხოვრებელი, ეწევიან მარტოსულ მოხეტიალე ცხოვრებას, ან სხვა ადამიანებთან, მეგობრებთან ან ოჯახის წევრებთან ცხოვრობენ, შემოწირულობით და /ან საკვების ნარჩენებით. (Sullivan, Thompson, 1991: 160). შელტერი (Shelter) თავის კვლევაში ინგლისის უსახლკაროთა შესახებ, განმარტას მათ როგორც ხალხს სახლ-კარის გარეშე, მიაკუთვნებს მათ ქუჩაში მცხოვრებ ხალხს, ვინც რჩებიან სასტუმროში, თავშესაფრებში, სკვერებში და ასევე ადამიანებს, რომლებიც ღამეს ათევენ მეგობრების ბინებში. უსახლკარობის მსგავსი განმარტება შემდეგია: ადამიანი რეგულარული ღამის გასათევის გარეშე, მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიების გამო, ასევე ადამიანები, რომელთა საკუთრებაშიც არაფერი არ არის, ხშირად არ აქვთ მისამართი, სახლის ტელეფონის ნომერი (Grimm, Maldonado, 1195: 20). (Scarpitti)სკარპიტი და (Andersen) ანდერსონი განმარტავენ უსახლკარო ადამიანებს, როგორც ინდივიდებს, რომლებიც რჩება თავშესაფრის გარეშე და ვერ სარგებლობენ სოციალური მხარდაჭერით.

უსახლკაროები არიან ადამიანები, რომელთაც არა აქვთ სახლი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან ადამიანები, რომლებსაც შეუსაბამო პირობებში უწევთ ცხოვრება. მაგალითად, ძალადობის სხვერპლ ქალებს და ბავშვებს, შეიძლება ჰქონდეთ მუდმივი საცხოვრებელი, მაგრამ ისინი იქ თავს კარგად ვერ გრძნობდნენ, მათ სჭირდებათ საცხოვრებლად სხვა ადგილი. ასევე ადამიანები, რომელთაც სურთ გადავიდნენ მშობლების სახლიდან, მაგრამ ამის შესაძლებლობა არ აქვთ, მიეკუთვნებიან ამ კატეგორიას. (Homelessness in EU, 1998:69). EU-ს (ევროკავშირის) უსახლკაროთა შესახებ დოკუმენტში, უსახლკაროები განიხილებიან, როგორც ხალხი ვისაც არ შეუძლია პირადი მუდმივი და საცხოვებლად შესაფერისი სახლის, ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ქონა სხვადასხვა სოციალური ბარიერების თუ ფინანსური ზეწოლის გამო, რომელსაც ვერ უმკლავდებიან. ამ ადამინებს არ შეუძიათ თავიანთი

თავის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, მაშასადამე, მათ სჭირდებათ ზრუნვა და ყურადღება, თუმცა არა ინსტიტუციონალურ გარემოში (Council of European…1998). განმარტება ჩამოყალიბდა FEANTSA-ს (European Federation of National Organizations Working with the Homeless-უსახლკარობის თემაზე მომუშავე ეროვნულ ორგანიზაცია-თა ევროპული ფედერაცია) მიერ ოთხი კომპონენტის ჩათვლით : ღია ცის ქვეშ ყოფნა, უსახლკარობა, ისინი ვინც უსაფრთხოდ არ ცხოვრობენ და ვინც საცხოვრებლად შეუფერებელ სახლებში არიან. (Tripple, Speak, 2004 , Edgaret al, 2001)

ევროპული კვლევარების მიერ შემოთავაზებული უსახლკარობის მრავალი განმარტება შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად:

. საცხორებელ პირობებზე დაფუძვნებული განმარტებები (ირლანდია, გაერთიანებული სამეფო, შვედეთი და ბოლოს გერმანია). ეს განმარტებები ფართოა
და მიეკუთვნება საცხოვრებლის ხელმისაწვდომობას.

. ცვალებადობას და მუდმივი მისამართის ნაკლებობას დაფუძვნებული განმარტებები (აღმოსავლეთი ევროპის ქვეყვების უმრავლესობის საკანონმდებლო განმარტებები).

. სოციალურ პრობლემებზე დაფუძვნებული განმარტებები (საფრანგეთი, ნიდერლანდები, გერმანია), ეს განმარტებები ვიწრო და არაზუსტია. ჩვეულებისამებრ, ისინი უსახლკაროებად მიიჩნევენ, სოციალურად უზრუნველყოფილი ბენეფიციარების განსაკუთრებულ კატეგორიას (The production of data…,2004, 17-19). სხვა კვლევების უმეტესობა უსახლკარობას აღიქვამს, როგორც ცხოვრების განსაკუთრებულ მდგომარეობას. ეს განმარტებები ეხება სხვადასხვაგვარ მდგომარეობებს, რომლებსაც ფიკპატრიკი (Ficpatrick et al) აჯამებს (200: 8).

1. ყველაზე ვიწრო განმარტება არის ” სახურავის გარეშე ყოფნა”-იგულისხმება თავშესაფრის გარეშე მყოფი ნებისმიერი ადამიანი (უსახლკაროები, ახლად ჩამოსული იმიგრანტები, ხანძრით დაზარალებულები და წყალდიდობის მსხვერპლები.)

2. “უსახლკარობა”- მოიცავს მათ, ვინც ცხოვრობენ უსახლკაროთათვის შეთავაზებულ დროებით საცხოვრებლებში, (ღამის გასათენებლები, სასტუმროები,
ლტოლვილთა თავშესაფრებში) და მათ, ვინც მუდმივად გრძელვადიან დაწესებულებებში ცხოვრობს(ფსიქიატრიული საავადმყოფოები).

3. ხალხს ვისაც აქვს არასაიმედო ან დროებითი უძრავი ქონება- რჩებიან მეგობრებთან ან ნათესავებთან დროებით ადგილებში, ბინის დასატოვებლად გაფრთხილებული დამქირავებლები და უკანონოდ შესახლებულები.

4. საშინელი საცხოვრებელი პირობები-ბევრი მაცხოვრებლით ან საცხოვრებელად შეუფერებელი ადგილები, საფრთხეში მყოფი პირადი და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა.

5. გრძელვადიანი "საცხოვრებლის სურვილის საწინააღმდეგოდ გაზიარება", რადგან მათ არ შეუძლიათ ცხოვრების დამოუკიდებლად უზრუნველყოფა, შესაძლოა ასევე მივიჩნიოთ "ფარულ ოჯახებად" და შესაბამისად უსახლკაროებად.

ბევრი მკვევარი უსახლკარობის განმარტებისას ხუთივე კატეგორიას მოიცავს, მაგრამ ყველა მათგანი არ ეთანხმება მის ასეთ ფართო განმარტებას, მაგალითად დაწესებულებებში მცხოვრები ხალხი უმჯობესია მივიჩნიოთ , როგორ უსახლკარობის რისკის ქვეშ მყოფ კატეგორიად და არა უსახლკაროებად. (Homelessness…1993:24). ზოგიერთი შეხედულებით ცუდი საცხოვრებელი პირობები და უსახლკარობა არ არის თანაბარი მდგომარეობა- ცუდ პირობებში ცხოვრება ცალკე საკითხია და დასარჩენი ადგილის უქონლობა სხვა (Pleace et al, 1997: 8). საცხოვრებელი პირობების კლასიფიკაცია იყოფა ოთხ განზომილებად: საცხოვრებლის ტიპი, ფლობის სტატუსი, ცხოვრების პირობები, კომფორტი და სტაბილურობა/დაუცველობა.(Marpsat, 2005;6) უსახლკარობის განმარტების უფრო დეტალურო მიმოხილვა შემოგვთავაზა მერთმა(Meert), ედგარმა(Edgar) და დოჰერტიმ(Doherty) (2004). მხარი დაუჭირეს და განავითარეს მარპსატმა(Marpsat), (2005) და სმიტმა(Smith) (2005) . უსახლკარობის ეს განმარტებები დაფუძვნებულია განსხვავებულ საცხოვრებელ მდგომარეობაზე და ავტორებმა განასხვავეს უსახლკარობა, რომელიც მოიცავს: ღია ცის ქვეშ ყოფნას, უბინაობას, დაუცველ, შეუფერებელ და აკრძალულ საცხოვრებელებს, რომლებიც ხასიათდება - გამოსახლების, ძალადობის, დაუცველობის, ან დროებითი ცხოვრების შიშით.

		სქემატური კატეგორია		სამუშაო კატეგორია
	1	თავშესაფრის გარეშე ყოფნა	1 2	საზოგადოებრივ ადგილებში ცხოვრება ღამის თავშესაფრებში დარჩენა (საზოგადოებრივ ადგილებში დღის უმეტესი ნაწილის გატარება)
უ ს ა ხ ლ კ ა რ ო ბ ა	2	უსახლკარობა	3	მომსახურების ცენტრში მყოფები ან ლტოლვილები .სასტუმროები უსახლკაროთათვის .ქალთა დავშესაფრები
			4	დროებით საცხოვრებლებში ცხოვრება .დროებითი საცხოვრებლები (დაფინანსებული საზოგადოებისგან) .შუალედური საცხოვრებელი (შეფასების მოლოდინში) .დროებითი საცხოვრებელი ადგილები მოკლევადიანი ქირით. .დაბალფასიან სასტუმროებში ცხოვრება (საწოლი და საუზმე)
			5	იმიგრანტებისათვის დაჯავშნილი დროებითი საცხოვრებლები (თავშესაფრის მაძიებლებისათვის ან რეპატრიანტებისთვის) დაწესებულებებში ცხოვრება:
			6	ციხე სათნოების ცენტრი, ადამიანები ვისაც უწევთ საავადმყოფოს 3 თვეში დატოვება და ვისაც საცხოვრებელი არ გააჩნია
			7	განსაზღვრული მხარდაჭერის მქონე საცხოვრებლებში ცხოვრება (კანონიერი საკუთრების კონტრაქტის გარეშე ან სადაც საჯიროა მფლობელობისათვის მხარდაჭერა)
	3	დაუცველი და შეუსაბამო საცხოვრებელი პირობები	8	ცხოვრება მოძრავ/ქარავანში (რაც არ არის დასასვენებელი საცხოვრებელი ადგინი ან კანონიერი ადგილი)
			9	ისეთ საცხოვრებელში ცხოვრება რომელიც (ქვეყნის) კანონით საცხოვრებლად შეულაბამოდაა მიჩნეული
	4	არადამაკმაყოფილებები საცხოვრებელი პირობები და საზოგადოებისგან იზოლირება კანონიერ საცხოვრებლებში	10	ისეთ საცხოვრებლებში ცხოვრება სადაც უკიდურესად ბევრი ხალხი ცხოვრობს (ნაციონალური სტატოტარული განმარტების მიხედვით)

ცხრილი.1 უსახლკარობის და საცხოვრებლიდან გამოძევების ფუნქციონალური განმარტებები.

ხშირად დამსახურებულად უსახლკაროდ დარჩენილი ღარიბების შესახებ იდეოლოგია დაუმსახურებულად უსახლკარო ღარიბების წინააღმდეგ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს უსახლკარობის პრაგმატულ განსაზღვრებებს. ამგვარად, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში უსახლკარობა განისაზღვრება სტატუტით (კანონით) (ფიცპატრიკ და სხვები, 2000: 8; ანდერსონი, ქრისტიანი, 2003:106)- ადამიანები

უსახლკაროდ ოფიციალურად აღიარებული არიან მხოლოდ იმ კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც განსაზღვრულია ხელისუფლების ორგანოების მიერ, განსაზღვრავენ ჯგუფებს, რომლებიც საჭიროებენ საცხოვრებელს ან პოტენციურად გააჩნიათ დახმარების შესაძლებლობა საცხოვრებელთან დაკავშირებით. მათ უნდა დაამტკიცონ, რომ უსახლკაროდ რიან არა განზრახ, არამედ საკუთარი ბრალეულობის გარეშე (ავრამოვი, 1995: 69).

უსახლკარობის სხვა ზოგიერთი უფრო ვრცელი განსაზღვრება ამკვეთრებს იმას, რომ სახლი (და ამიტომაც უსახლკაროობა) არ არის მხოლოდ საცხოვრებელზე დაფუძნებული კონცეფცია, არამედ მას აქვს მნიშვნელოვანი ემოციური, სოციალური და ფსიქოლოგიური განზომილებები (სომერვილი, 1992, ციტირებულია ფიცპატრიკ და სხვები, 2000: 8). სახლი ნიშნავს არა მხოლოდ ფიზიკურ საცხოვრებელს, არამედ სოციალურ ურთიერთობებს, მათ შორის ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და მეზობლებთან, ვისთანაც ინდივიდი რეგულარულ კონტაქტებს ინარჩუნებს. უფრო მოცულობითი ახსნა-განმარტების თანახმად, უსახლკარო არიან არა მარტო ქუჩებში, პარკებში, სადგურებში, ხიდების ქვეშ და დანგრეულ შენობებში მცხოვრები ადამიანები, რომლებიც არ არის საცხოვრებელი ადგილისთვის შესაფერისი, არამედ ის ადამიანებიც, რომლებსაც აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, მაგრამ იზოლირებული არიან და ცხოვრობენ საზოგადოებისგან გარიყულად.

აქ ჩნდება კიდევ ერთი ასპექტი - უსახლკარობა შეიძლება განხილულ იქნას სხვადასხვა სახის დისკურსში: სიღარიბე და სოციუმიდან გარიყვა, ხშირ შემთხვევაში კი, ორივე, რადგან მათი განხილვა ცალ-ცალკე შეუძლებელია. უსახლკარობას უკიდურეს სიღარიბეს უკავშირებენ, მაგალითად, Sullivan სულივან, Thompson ტომპსონი (1991), Avramov ავრამოვი (1995) და სხვა მკვლევარები. უსახლკარობის განსაზღვრისას ხაზს უსვამენ სოციუმიდან გარიყვას, მაგალითად, Pleace ფლიისი (1998), Pleace and Quilgars ფლიისი და ქუილგარსი (2003), Brandt ბრანდტი (1992) და სხვები.

არიან ავტორები, რომლებიც უსახლკარობას განიხილავენ, როგორ სოციალური გარიყულობის შედეგს - უსახლკარობა შეიძლება გავიგოთ, როგორც იმ შედეგების ნაკრები, რომელიც წარმოიქმნება სოციალური გარიყულობის დროს იმ კონტექსტში,

რომლის ფარგლებშიც მათთვის, არავითარი დახმარება არ გაწეულა (Pleace. ფლისი, 1998). თუმცა, საკმაოდ ხშირად, სოციალური იზოლაცია არ არის მოხსენიებული განმარტებაში, რომელიც ტრადიციულად განსაზღვრავს უსახლკარობის შედეგს. ეს აშკარად ჩანს შემდეგ მაგალითში - ადამიანი უსახლკაროდ ითვლება, თუ მას არ გააჩნია მინიმალური სტანდარტების შესაბამისი მუდმივი საცხოვრებელი. ამიტომ, ასეთ ადამიანს საზოგადოების წევრებთან ან საერთოდ არ აქვთ კონტაქტი, ან აქვს შეზღუდული რაოდენობით (Tosi, ტოსი, 1999 წელი 105).

კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია - საცხოვრებლის ხარისხი და მისი შეფასება, ამ განმარტებშია ასახული: უსახლკაროდ ითვლება ინდივიდი ან ოჯახი, რომელიც სოციალურად მოკლებულია ვარგისი, ანუ სუბიექტურად და სოციალურად მისაღები პირადი საცხოვრებელი ადგილის ხანგრძლივად დაკავების შესაძლებლობას (უსახლკარობა 1993: 20). კვლევის ავტორები მიიჩნევენ, რომ საცხოვრებლი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სოციალური რეალობა, არ შეიძლება იყოს განხილული, თუ სუბიექტური და თვისობრივი ელემენტები არ არის შესაბამისი. ვარგისი და მისაღები საცხოვრებლის ბუნება შეიძლება განისაზღვროს მასთან კავშირის მქონე პირის შეხედულების საფუძველზე (უსახლკაროობა 1993: 18-19).

ლიტერატურაში შეიძლება შეგვხვდეს შესამჩნევ და შეუმჩნეველ უსახლკარო ადამიანებს შორის განსხვავება. (უსახლკარობა ევროკავშირში, 1998, Pleace et al ფლიისი და სხვ., 1997, Fitzpatric et al ფიცპატრიკ და სხვ.). მოხეტიალე და მაწანწალა ადამიანები *შესამჩნევ* უსახლკაროთა ნაწილში არიან მოხსენიებული. შეუმჩნეველი ნაწილი ჩამოყალიბებულია იმ ადამიანებით, ვინც ქუჩაში არ ხეტიალობენ. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ისინი არ არიან უსახლკაროები (უსახლკარობა ევროკავშირში, 1998: 69). ეს გაგება ძალიან გამარტივებულია, რადგან ჭერის უქონლობა შეიძლება დამალული იქნას, თუ ისინი დასაძინებლად იყენებენ ცნობილი ადგილებიდან დაშორებით მყოფ ადგილებს და არ არიან კონტაქტში დამხმარე სააგენტოებთან. „შესამჩნევი უსახლკაროები" არიან ისინი, რომლებიც ოფიციალურ სტატისტიკაში არიან აღრიცხული და უსახლკაროთა სააგენტოებთან არიან დაკავშირებულნი, ან სძინავთ თვალსაჩინო ტერიტორიებზე ან ცნობილ ადგილებში (Fitzpatric et al ფიცპატრიკ და სხვები, 2000: 9).

განხილვებში სხვა განზომილებები დაკავშირებულია შეფარდებითი და აბსოლუტური უსახლკარობის იდეასთან. ამ კონცეფციების გაგება ასევე განსხვავდება. ასე რომ, Cooper კუპერი აბსოლუტურ უსახლკარობას უკავშირებს სიტუაციას, როდესაც არ არსებობს არც თავშესაფრის და არც სახლის ელემენტების ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა. შეფარდებითი უსახლკარობა არის სიტუაცია, როდესაც პიროვნებას შეიძლება ჰქონდეს თავშესაფარი, მაგრამ არა -სახლი (Tipple, Speak ტიპლი, სფიიქ 2004). განსხვავებულ აზრს გვთავაზობს Chamberlain ჩემბერლეინი. ავსტრალიელმა მკვლევარმა C. Chamberlain ჩემბერლეინმა განავრცო იდეა და შემოგვთავაზა უსახლკარო ადამიანების სამი განსხვავებული განსაზღვრება:

• პირდაპირი

• სუბიექტივისტური

• კულტურული

პირდაპირი განმარტება უსახლკარობას ათანაბრებს „ჭერის უქონლობასთან", რაც ნიშნავს, რომ უსახლკარო ადამიანები არიან უშუალოდ „ვარსკვლავების ქვეშ", ან უკანონოდ აქვთ დაკავებული მიტოვებული ნაგებობები (Chamberlain, ჩემბერლეინი. 2001:36). ასეთი გაგება ფართოდაა გავრცელებული და ასევე გამოყენებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ, რომლებიც უსახლკარო ადამიანებზე საუბრობენ, როგორც საცხოვრებელი ადგილის გარეშე მყოფ ადამიანებზე და რომლებიც საკმაოდ ხშირად ღამეებს ათენებენ სახლების სარდაფებში, სხვენებსა და მსგავს ადგილებში. საკმაოდ ხშირად ასეთი გაგება ასოცირდება ინდივიდუალურ პათოლოგიასთან და გაბატონებული სტერეოტიპი უკავშირდება უსახლკარო ადამიანის, როგორც აბურძგვნილი მოხუცის სურათს, რომელიც ცხოვრობს ღია ცის ქვეშ და შეიძლება იყოს ფსიქიკური ან ალკოჰოლური პრობლემის მქონე. ეს მიდგომა ჭარბობდა 1960-1980 წლებში, თუმცა დღესდღეობითაც არსებობს (იხ .: Chamberlain, 2001, Pleace, Quilgars, 2003).

სუბიექტივისტური განსაზღვრება ემყარება შეხედულებებს, რომ სოციალური კონცეფციების განმარტებები უნდა ასახავდეს სოციალურ საქმიანობაში ჩართული ადამიანების მოსაზრებებს და გაგებას. ამის ნათელი წარმომადგენელია Watson

ს.ვატსონი, რომელიც აცხადებს, რომ ადეკვატური საცხოვრებლის აღქმა შეიძლება განსხვავდებოდეს ისევე, როგორც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული საჭიროებები და მოლოდინები. ამგვარად, უსახლკარობა არის ასევე სოციალურად კონსტრუირებული კონცეფცია, და უსახლკარობის განსაზღვრისას ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ იმ ადამიანების აღქმა, რომლებიც შესწავლის საგანია (იხ.Watson, 1984).

კულტურული დეფინიცია ამტკიცებს, რომ „უსახლკარობა“ და „არაადეკვატური საცხოვრებელი პირობები“ სოციალურად კონსტრუირებული, კულტურული ცნებებია, რომელიც აღიქმება მხოლოდ კონკრეტულ თემში მოცემულ ისტორიულ პერიოდში. იმ საზოგადოებაში, სადაც კონკრეტული ადამიანების დიდი რაოდენობა ცხოვრობენ ტალახიან ქოხებში, სტანდარტი იქნება ის, რომ ტალახიანი ქოხები ადეკვატური საცხოვრებელი პირობებია. მაშინ როცა ეს პრინციპი აღიარებულია, შესაძლებელია უსახლკარობის ცნება განისაზღვროს. პირველ რიგში, აუცილებელია მინიმალური საცხოვრებელი პირობების შესახებ საზოგადოების საერთო სტანდარტების იდენტიფიცირება, რომ ადამიანს აქვს უფლება, სურდეს ცხოვრება კონკრეტული კულტურის ჩვეულებებისა და მოლოდინების მიხედვით, და მეორე, აუცილებელია იმ ჯგუფების იდენტიფიცირება, რომლებიც არიან მინიმალური სათემო სტანდარტის ქვემოთ.

კულტურული განსაზღვრა ახდენს უსახლკარო ადამიანების სამი სეგმენტის იდენტიფიკაციას:.

- პირველადი უსახლკარობა, ადამიანები ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლის გარეშე, მცხოვრები ქუჩებში, უკაცრიელ შენობებში, მანქანებში, ხიდების ქვეშ, დროებით საცხოვრებლებში და ა.შ.
- მეორე ტიპის უსახლკარობა: დროებით თავშესაფრებში, მათ შორის მეგობრებთან, ნათესავებთან, საგანგებო საცხოვრებლებსა და პანსიონატებში მცხოვრები ადამიანები.
- მესამე სახის უსახლკარობა: კერძო პანსიონატებში ერთ ოთახში გრძელვადიან პერსპექტივაში მცხოვრები ადამიანები, რომელთაც არ გააჩნიათ საკუთარი აბაზანა, სამზარეულო და უსაფრთხოება. ისინი არიან უსახლკაროები, რადგან მათი

საცხოვრებელი პირობები არ შეესაბამება მინიმალური სათემო სტანდარტით განსაზღვრულ მახასიათებლებს.

როგორც ცალკე სეგმენტი, იდენტიფიცირებულია ადამიანების ჯგუფი, რომლებიც ბინებში და სახლებში ცხოვრობენ, მაგრამ არიან მისი დაკარგვის რისკის ქვეშ (Chamberlain ჩამბერლინი, 2001; 38-39).

უსახლკარო ადმიანების სხვადასხვა განმარტებების შედარებისას ცხადი ხდება, რომ ხშირ შემთხვევაში, ყველა მათგანის გამაერთიანებელი ფაქტორია საცხოვრებელი ადგილის ან საცხოვრებელი სახლის ნაკლებობა (კონკრეტული საბინაო სიტუაცია). მოსაზრებები განასხვავებენ ადეკვატურობისა და განსახლების ხარისხს, თუმცა ამ მოსაზრებებზე დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების კეთილდღეობის ზოგადი სტანდარტები. განმარტებების ნაწილი ხაზს უსვამს აგრეთვე რესურსების ნაკლებობას და ადეკვატური საცხოვრებლის შენარჩუნების უუნარობას. განმარტებების ნაწილი უსახლკარობას უფრო ფართოდ განსაზღვრავს, რაც მოიცავს არაადეკვატურ სოციალურ კონტაქტებს, სოციალურ გარიყვას და იზოლაციას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში ეს ფენომენები აღინიშნება, როგორც საცხოვრებელი ადგილის ნაკლებობის შედეგები. ზემოაღნიშნული განმარტებებიდან გამომდინარე, უსახლკარობის განსაზღვრა ხდება როგორც სიღარიბის, ისე სოციალური გარიყვის მიზეზით. სიღარიბის მსგავსად, უსახლკარობა შეიძლება ასევე განიხილებოდეს, როგორც აბსოლუტური ან შეფარდებითი კონცეფცია (Chamberlain ჩამბერლეინი, 2001:47).

უსახლკაროობის აბსოლუტური ინტერპრეტაცია აკავშირებს მას მის პირდაპირ დეფინიციასთან ან უსახლკარობის ძირითად კულტურულ განსაზღვრებასთან, რომელიც წარმოადგენს სიტუაციას, როდესაც პიროვნება არის ფაქტიურად საცხოვრისის გარეშე. უსახლკარობის შეფარდებითი ინტერპრეტაცია შეეხება უსახლკარობას კონკრეტულ საზოგადოებაში განსაზღვრული დროის პერიოდში. იმის მსგავსად, თუ როგორ განისაზღვრება შეფარდებითი სიღარიბე კონკრეტული საზოგადოების ცხოვრების სტანდარტებთან დაკავშირებით, შეფარდებითი უსახლკარობის გაგება ითვალისწინებს საზოგადოების მოლოდინს სათანადო საცხოვრებელი ადგილის შესახებ და ის ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ იგი, ითვლებიან უსახლკაროდ. ამგვარად,

მაგალითისთვის, ყველა საზოგადოება არ განიხილავს იმ პირებს უსახლკარო ადამიანებად, რომლებიც შეესაბამებიან კულტურული განსაზღვრების მეორად და მესამეულ სეგმენტს.

სირთულის გამო, არსებობს უსახლკარობის მრავალფეროვანი დეფინიცია. რომელი მათგანია "სწორი" და რომელი უნდა იყოს გამოყენებული? შეუძლებელია ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, ერთი კონკრეტული განმარტების მთითება. ნაცვლად ამისა, უსახლკაროობის კონცეფცია იცვლება დროთა განმავლობაში და ექვემდებარება იდეოლოგიურ გავლენას, რესურსების ხელმისაწვდომობას და მთავრობისა და პოლიტიკოსების მხრიდან მოწყალების მოლოდინს (Hutson, Clapham, ჰატსონ, კლაპჰამ 1999). კვლევებმა განსაზღვრეს განმარტებების სპექტრი, ხოლო კონკრეტული განსაზღვრების არჩევანი ეფუძნება"კვლევის ფარგლებს, ბუნებას და მიზანს" (Anderson, Christian ანდერსონი, ქრისტიანი, 2003: 106).

2.2. **უსახლკარო ადამიანების დახასიათება**

უსახლკარო ადამიანები არ არიან საზოგადოების შესაფერისი სეგმენტი, თუმცა, არსებობს ერთობლივი ელემენტი წარმოადგენილი თავშესაფრის ან საცხოვრებელი ადგილის დეფიციტის სახით. ეს თვალსაზრისი წარმოდგენილია მრავალი ავტორის ნამუშევარში (იხ. მაგალითად,Koch- Nielson and Stax, კოჩ-ნილსონი და სტაქსი, 1999; Grimm and Maldonado გრიმი და მალდონადო, 1995, Cooper 1995; Speak სფიიქ 2004). მიუხედავად ამისა, ასევე არსებობს განსხვავებული აზრი - პიროვნებები, რომლებიც უარყოფენ საცხოვრებელს და სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობას, ქმნიან ერთგვაროვან კატეგორიას, თუმცა ასაკობრივი, სქესის, ოჯახის, დასაქმების და სხვათა პარამეტრები განსხვავდება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნებს შორის და იცვლება დროთა განმავლობაში ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეზე, სტრუქტურულ ცვლილებებსა და ციკლურ ფაქტორებზე დამოკიდებულებით (უსახლკარობა, 1999 წ. : 32).

ავტორები, რომლებიც მხარს უჭერენ უსახლკაროთა მრავალფეროვნების შესახებ მოსაზრებას, მიიჩნევენ, რომ განსხვავებული აზრის საფუძველზე შეიძლება უსახლკარო ადამიანების რამდენიმე კატეგორიის იდენტიფიცირება. თითოეულ კატეგორიას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული საჭიროებები და პრობლემები, ასევე შიძლება იყოს აუცილებელი დახმარების გაწევაც. ამდენად, უსახლკარო ადამიანთა ტიპოლოგია აუცილებელია იმისათვის, რომ შეძლონ თავიანთი საცხოვრებლისა და სოციალური მომსახურებების საჭიროების იდენტიფიცირება (Grimm and Maldonado, გრიმი და მალდონადო, 1995: 21), პრობლემების უკეთესად გადაწყვეტა. ასევე უსახლკარო ადამიანების ტიპოლოგია ეხმარება მთავრობებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს უსახლკარო ადამიანების საცხოვრებელი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად რესურსების გამოყოფისთვის (Speak, 2004: 469). ტიპოლოგია უკეთესად აჩვენებს უსახლკარობის ბევრ სახეობას და ამით იძლევა უფრო ეფექტიანი პოლიტიკის ფორმულირების საშუალებას (Koch-Nielson, Stax, 1999: 433).

ტიპოლოგია შეიძლება შემუშავდეს სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით. ერთ-ერთი ყველაზე ზოგადი დაყოფა შეიძლება ეფუძნებოდეს უსახლკარობის ძირითად გაგებას, როგორც ფენომენს- ადამიანები, რომლებიც უსახლკაროდ არიან თავიანთი არჩევანით და რომლებიც უსახლკაროდ არიან არა სურვილით, არამედ სიტუაციის ზეწოლის გამო. თუმცა, კლასიფიკაცია შესაძლებელია მოხდეს სხვა საფუძველზეც.

FEANTSA European Federation of National Organizations Working with the Homeless) (1999) გვთავაზობს ტიპოლოგიას მაღალი და დაბალი ხარისხისა და უსაფრთხოების საფუძველზე. ძირითადი კატეგორიას წარმოადგენს თავშესაფრის გარეშე მყოფი ქუჩაში მძინარე ადამიანები და ისინი, ვისაც გააჩნია სხვადასხვა ტიპის თავშესაფარი. ასევე Cooper კუპერი (1995) გვთავაზობს უსახლკაროობის ტიპოლოგიას საცხოვრებლის ან თავშესაფრის საფუძველზე. ეს კატეგორიები განსხვავდება "აბსოლუტური უსახლკაროობიდან", რომელიც მოიცავს ქუჩაში, ხიდების ქვეშ, უკაცრიელ შენობებში მცხოვრებ ადამიანებს, "არასათანადო საცხოვრებლის მქონე პიროვნებებამდე". Hertzberg ჰერცბერგმა შექმნა უსახლკარო ხალხის ტიპოლოგია, იმის მიხედვით, თუ როგორ აღიქვამენ ისინი თავის უსახლკარობას და რა უნდათ მომავალში. ის უსახლკარო

ადამიანებს სამ ჯგუფად ჰყოფს: "რეზისტორებად" - უსახლკარობის წინააღმდეგ მებრძოლებად, „მერყევ, მოჭოჭმანე ადამიანებად“ - რომელთაც უსახლკარობის მიმართ წინააღმდეგობრივი ამბივალენტური დამოკიდებულება აქვთ და „საცხოვრებლით უზრუნველყოფილებად “- რომელთაც მიღებული აქვთ ის (Speak, 2004: 469).

ბოლო გამოკვლევებისა და საკითხის შესწავლის მიხედვით შესაძლებელია, შეიქმნას უსახლკარო ადამიანთა ტიპოლოგია, რომელიც დაკავშირებულია ურთიერთობრივ კავშირებთან და მიკრო დაშლების ზომებთან (იხ. Koch-Nielsen, Stax, 1999: 433-436). ამ ტიპოლოგიაში გამოვლინდა უსახლკარო ადამიანების ოთხი ძირითადი ჯგუფი.

ქუჩის ბავშვები. იმის გამო, რომ ბავშვები არ არიან მიმდინარე კვლევის სამიზნე ჯგუფი, აქ წარმოდგენილი იქნება მხოლოდ ამ ჯგუფის მოკლე და ზოგადი აღწერა. ლატვიაში ეს ფენომენი ვითარდება საბაზრო ეკონომიკისკენ გარდამავალი პერიოდის პირობებში, როდესაც ოჯახები და ბავშვები ექვემდებარებიან რისკების ფართო სპექტრს - უმუშევრობას, დაბალ ხელფასს, არასაკმარის რესურსებს, კომუნალური მომსახურების მაღალ გადასახადებს და ა.შ. და მათ არ აქვთ მიღებული საკმარისი მხარდაჭერა. გასული საუკუნის 90-იან წლებში ლატვიის პატარა და დიდ ქალაქებში გამოჩნდნენ ბავშვები, რომლებიც მათხოვრობდნენ, დახეტიალობდნენ და სკოლაში არ ესწრებოდნენ. ერთის მხრივ, ეს იყო სიღარიბის შედეგები, რომელშიც ბავშვებიანი ოჯახები ჩავარდნენ. მეორეს მხრივ, საბჭოთა კავშირის დროს არსებულ ოჯახებს, სკოლას, საზოგადოებას და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის არსებული კავშირები გაწყდა, (Berni un gimenes,ლატვია, 1999:23). არ არის შესაბამისი ქუჩის ბავშვების სასიცოცხლო საჭიროებები, ადეკვატური ჯანდაცვა, არ არის უზრუნველყოფილი განათლება. არ აქვთ პოზიტიური ქცევის ნიმუში, მათი სოციალიზაცია ხდება გარემოში, სადაც ისინი ქმნიან დომინანტური საზოგადოებისგან განსხვავებულ ღირებულების სისტემას, რის გამოც მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში გართულებულია. ქუჩის ბავშვები ხვდებიან მრავალფეროვან არახელსაყრელ ფაქტორებს, როგორიცა არის - სტრესი, ფიზიკური, ემოციური და სექსუალური ძალადობა . ისინი შეიძლება ჩათრეულ იქნან უკანონო ქმედებებსა და კრიმინალურ ჯგუფებში. გარდა ამისა, ეს

ბავშვები საზოგადოებისგან გარიყულები არიან და შესაბამისად, მნიშვნელოვნად მცირდება მათი შესაძლებლობები, რომ მომავალში წარმართონ სოციალურად აღიარებული, ფინანსურად მხარდაჭერილი და სრულფასოვანი ცხოვრება.

ტრადიციული უსახლკარო ხალხი. ეს ჯგუფი ხასიათდება ოჯახური კავშირების დანგრევით, სავარაუდოდ, ძალადობის, ალკოჰოლური დამოკიდებულებისა და რიგი პრობლემის გამო. შრომის ბაზარზე კავშირების დაკარგვით, ადრე ეს კავშირი მეტ-ნაკლებად სტაბილური იყო, მაგრამ მუშაობა ხშირად უკავშირდებოდა მობილობის მაღალი მაჩვენებლით. მათ ჰქონდათ სამუშაო ადგილები, რომლებიც მოითხოვდა არა მაღალი დონის განათლებას, არამედ ფიზიკურ ძალას და სიცოცხლისუნარიანობას. ამ კატეგორიაში უსახლკარობა დიდწილად უკავშირდება დაავადებების, უბედური შემთხვევებით და ა.შ გამოწვეულ უმუშევრობას. განქორწინება ასევე უნდა აღინიშნოს, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ფსიქიური პაციენტები. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან ადამიანები, რომლებსაც არასდროს ჰქონიათ სტაბილური კავშირები. ოჯახებთან მათი მყიფე კავშირი გაწყვეტილია. მათ არ შეუძლაით, იცხოვრონ მარტო, დამოუკიდებლად. აქედან გამომდინარე, მაშინაც კი, როდესაც მათ აქვთ საცხოვრებელი ადგილი, მათ არ შეუძლიათ გამოიყენონ იგი და ადრე თუ გვიან კარგავენ. ამ ჯგუფის ყველაზე აშკარა ნაწილია *ჩანთიანი ქალბატონები.* ისინი დღეებს ატარებენ სადღესასწაულო ადგილებში, სადგურებში, პარკებში და ა.შ., ღამეებს კი-ღამის თავშესაფარში. მათთან კომუნიკაცია არაპროფესიონალებს არ შეუძლიათ. ისინი არიან მარტოხელები, ყურადღებას იპყრობენ, მაგრამ არ იწვევენ შიშს.

ნარკომანები. ეს ჯგუფი ყველაზე განცალკევებულად მდგომია და სოციალური უზრუნველყოფის სისტემისთვის რთულია მასთან მიწვდომა. მათი ოჯახური კავშირები მრავალი წლის წინ იქნა დარღვეული. მათ აქვთ სოციალური კონტაქტები სხვა ნარკომანებთან. ხშირად ჩათრეული არიან დანაშაულებრივ საქმიანობასა და პროსტიტუციაში. ეს ადამიანებს უწევთ ნაცნობებთან ან მეგობრებთან დარჩენა, რადგან მათი ცხოვრება ღამის თავშესაფარში მიუღებელი საქციელის გამო დროებითია.

ზემოთ მოყვანილი ტიპოლოგია შეიძლება დაკავშირებული იყოს მეტ-ნაკლებად განვითარებულ დასავლურ ქვეყნებთან. ისინი არ შეეფერებიან განვითარებად ქვეყნებს,

რადგან ძალიან ბევრი ადამიანი შევა ერთ კატეგორიაში და შემდეგ არ გამოჩნდება უსახლკაროთა კონკრეტული თვისებები და საჭიროებები, შესაბამისად, ასეთი კლასიფიკაცია უაზროა. ამის გადასალახად შემუშავებულია განვითარებადი ქვეყნების სპეციფიკური ტიპოლოგია. ცხრა განვითარებად ქვეყანაში უსახლკარობის შესწავლისას, არჩევანისა და შესაძლებლობის საფუძველზე შეთავაზებულია ტიპოლოგია:

- დამატებითი უსახლკარობა - ის ვითარდება, როდესაც ადამიანები, ძირითადად, მარტოხელა მამაკაცები, ტოვებენ თავიანთ სოფლებს, ქალაქში დასაქმების მიზნით. ღია ცის ქვეშ ძილი შეიძლება იყოს საკუთარი არჩევანი იმისათვის, რომ სახლში გააგზავნონ ფული დამატებითი საარსებო საშუალებებისთვის;
- უსახლკარობა, როგორც გადარჩენის სტრატეგია - ის ქმნის უსახლკარო ადამიანების ჯგუფს, რომლებიც თავდაპირველად დასაქმების მიზნით ემიგრაციაში წავიდნენ, მაგრამ ვერ შეძლეს საკმარისი თანხის გამოგზავნა სახლში, რათა გაუმჯობესებულიყო მათი მდგომარეობა. მათი კავშირები სოფელთან შესუსტებულია, საბოლოოდ ისინი ქმნიან ახალ სოციუმს, თვითნებურად მოწყობილ ბანაკებში ან ქუჩებში.
- კრიზისული უსახლკარობა - ეს არის სიტუაცია, როდესაც ადამიანები უსახლკარონი ხდებიან პირადი უბედურების შედეგად, როგორიცაა ოჯახის დანგრევა, დიდი დანაკლისი, უბედურება ან გამოსახლება (Speak, 2004).

ბოლო წლებში ცვლილებები მიმდინარეობდა რაოდენობრივ და ხარისხობრივ სტრუქტურაში. მათი რიცხვი იზრდება და ახალი ჯგუფები ჩნდება. ევროპაში უსახლკაროთა ძირითადი კატეგორიები არის შემდეგი :

- ადამიანები საცხოვროვრებელი ადგილის გარეშე, რომელთა ცხოვრება სავსე იყო წინააღმდეგობებით, ზეწოლითა და წარუმატებლობებით ოჯახში, სკოლაში, ქორწინებაში და სამსახურში;
- ადამიანები, რომელთა საზოგადოებიდან გარიყვა და იზოლირება მოხდა გვიან ასაკში, სოციალური ინტეგრაციის შედარებით ნორმალური და დამაკმაყოფილებელი პერიოდის შემდეგ;

- ადამიანები კრიზისის პირობებში - ძირითადად ზრდასრული ქალები, ასევე ბავშვები და ახალგაზრდა ადამიანები, რომლებიც ძალადობის მსხვერპლნი არიან და რომელთა ოჯახები დანგრეულია.
- პოლიტიკური ლტოლვილები და უკანონო ემიგრანტები;
- ფსიქიური აშლილობის მქონე ადამიანები;
- ნარკომანები (Brandt, Myrthue, ბრანდტი, მირთიუ, 1999: 32-33)

ლატვიაში ადამიანები, რომლებიც ბოროტად იყენებენ ალკოჰოლს, უსახლკაროების მნიშვნელოვან ჯგუფს ქმნიან. იგივე ხდება ესტონეთშიც (Kore კორი და სხვები, 2006). სავარაუდოდ, მალე გაიზრდება აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანების რაოდენობა.

მიუხედავად იმისა, რომ უსახლკარობა- არ არის ერთფეროვანი ჯგუფი, საერთო მახასიათებლები შეიძლება მოიძებნოს, როგორც უსახლკარობის შესწავლისას მითითებული აქვს მკვლევარებს. ამ საერთო მახასიათებლების უმრავლესობა ასახულია უსახლკარობის განსაზღვრებებში. ტრადიციულად, უსახლკაროები აღწერილია, როგორც საზოგადოების ყველაზე ღარიბი ნაწილი - ყველა განიცდის ფინანსურ უქონლობას, რომელსაც ხშირად თან ერთვის გრძელვადიანი უმუშევრობა (Shlay, Rossi,შლეი, როსი, 1992). მიუხედავად ამისა, უსახლკარო ადამიანები ხშირად ბევრად უფრო მძიმე მდგომარეობაში არიან, ვიდრე სხვა ღარიბები, რადგან სიღარიბე შესაძლებლობების ნაკლებობაა, უსახლკაროობა კი- ყველა შესაძლებლობის დაკარგვა (Avramov, ავრამოვი, 1995: 145). უსახლკარობის შემსწავლელი ბევრი ავტორი ხაზს უსვამს არა მარტო სიღარიბეს, არამედ სოციალურ გარიყვას და მარგინალიზაციას, რასაც მივყავართ იმ გაგებამდე, რომ ვინც მარგინალიზებულია, საზოგადოების ძირითად ფენასთან შედრებით აქვთ განსხვავებული მახასიათებლები (Pleace, Quilgars, 2003: 194). ხშირად უსახლკაროები განიხილება, როგორც გამოუსადეგარი, უპასუხისმგებლო და მორალურად სუსტი ადამიანები, რომელთაგან ბევრმა აირჩია ნორმებიდან გადახვეული ცხოვრების სტილი. ამ შეხედულებას მხარს უჭერს ასევე ძირითადი სამაუწყებლო მედია (Pleace, 2000: 582).

როგორც წესი, უსახლკარო ადამიანთა შორის მამაკაცების თანაფარდობა მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე ქალების (მაგალითად,Gutov and Nikiforov გუტოვი და ნიკოფოროვი, 2004წ. 70) კერძოდ, ორჯერ მეტია, ვიდრე ქალების. ეს აიხსნება სოციალური მომსახურების მისაღებად ქალთა გახსნილობით (Grimm, Maldonado, გრიმი, მალდონადო, 1995:20) და ცხოვრების ადაპტირების და საცხოვრებელი ადგილის მოძებნის უკეთესი უნარით. (Завьялов, Спиридонова, 2000: 64).

უსახლკაროები არიან სხვადასხვაგვარი ადამიანები, განსხვავებული პრობლემებით. არიან ავტორები, რომლებიც "მრავალი პრობლემის მქონე ადამიანები„ -ს კონცეფციას იყენებენ (იხ.Leo, 1993) უსახლკარო ადამიანების დასახასიათებლად და იმის გამახვილებით, რომ უსახლკარობა არ არის მხოლოდ საცხოვრებლის ნაკლებობა. უსახლკაროების ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი თვისებაა სუსტი ჯანმრთელობა (Pleace, 2000; Glarke et al გლარკე და სხვები, 1995, Shlay, Rossi, შლეი, როსი, 1992), რომელიც ხასიათდება მძიმე ქრონიკული დაავადებების, ფიზიკური და ფსიქიკური დარღვევებისა და ნაადრევი სიკვდილის მაღალი ალბათობით. რამდენიმე ავტორი აღნიშნავს ასევე დამოკიდებულებას - ალკოჰოლის და ნარკოტიკების პრობლემას(Fichter et al, 2000; Grimm, Maldonado, გრიმი, მალდონადო, 1995; Shlay, Rossi შლეი, როსი, 1992; Bassuk, Rosenberg ბასუკი, როზენბერგი, 1988). კვლევების მონაცემებით, უსახლკაროების 80-% ალკოჰოლის მომხმარებელია (Завьялов, Спиридонова, 2000: 64), დაახლოებით ერთი მესამედი ქრონიკული ალკოჰოლიზმით იტანჯება და 1/10 ალკოჰოლის გარდა, ბოროტად იყენებს ნარკოტიკებს (Homeless, The Essays… უსახლკარო, ესსეები... 2000-2005). შედარებითი კვლევები გვიჩვენებს, რომ უსახლკარო დედებს შორის ნარკოტიკების და ალკოჰოლური სასმელების მიღების სიხშირე უფრო დიდია, ვიდრე სახლში მცხოვრებ დედებს შორის (Bassuk, Rosenberg, ბასუკი, როზენბერგი, 1988).

უსახლკარო ადამიანების უმრავლესობას აქვს კრიმინალური ისტორიები. კვლევის მონაცემებით, უსახლკაროთა 27% ამ ჯგუფს მიეკუთვნება (Ford et al, 2003: 875). ბევრ მათგანს აქვს ინსტიტუციონალური ფონი და საოჯახო თავშესაფარშია გაზრდილი.

უსახლკარო ადამიანებს ხშირად არ გააჩნიათ საიდენტიფიკაციო დოკუმენტები (Trapenciere ტრაპენსერი, 2003: 4; Gutov and Nikiforov. გუტოვი და ნიკოფოროვი 2004 წ.

69-70). მათ გარეშე მათ არ შეუძლიათ საკუთარი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაცია, სამსახურის მიღება და ოფიციალურად დასაქმება, სოციალური დახმარების და სარგებელის მიღება და სხვა. სტატისტიკის და საჯარო პოლიტიკის პერსპექტივაში ისინი ოფიციალურად არ არსებობენ.

ადამიანი არავინაა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე. ხშირად საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ნაკლებობა ხელს უშლის ძირითადი პრობლემის - უსახლკარობის და მასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების გადაწყვეტაში.

უსახლკარო ადამიანების საერთო პრობლემაა ჰიპოთერმიით დაავადება - სხეულის არასაკმარისი ტემპერატურა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი. ლატვიის ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2005 წელს ჰიპოთერმიით დაავადებული 278 ადამიანი დაიღუპა (Ledzivotaji un socialie procesi). ყოველწლიურად ჰიპოთერმიით ასობით უსახლკარო ადამიანი იღუპება მოსკოვში, რუსეთი. ათასობით მათგანი იტანჯება ავადმყოფობით, ყინვებით, მუდმივი უუნარობით, ზამთრის თვეებში ყინვებით გამოწვეული ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად (Ford et al, 2003:875). იგივე პრობლემებია დამახასიათებელი უსახლკაროებისთვის სხვა ქვეყნებშიც, სადაც ტემპერატურა დაბალია.

უსახლკარობა გავლენას ახდენს არა მხოლოდ ფიზიკურ მდგომარეობაზე, არამედ ფსიქოლოგიურ შედეგებზეც. უსახლკარო ადამიანი მარგინალიზებულია და ეს იმას ნიშნავს, რომ მას არ აქვთ კონტროლი ყოველდღიური ცხოვრების ძირითად გადაწყვეტილებებსა და ჩვეულებრივ ქმედებებზე: როდის და რას ჭამს, სად და როდის დაიბანს და ა.შ... უსახლკაროდ ყოფნა ქმნის პირადი მარცხის გრძნობას. უსახლკარობა ქმნის დაუცველობის განცდას და იწვევს საკუთარი თავის პატივისცემის დაკარგვას. (Homelessness , უსახლკარობა, 1993: 43-44).

არსებობს აზრი, რომ უსახლკარო ქალებს აერთიანებს რამდენიმე თვისება, რომლითაც მათი ცხოვრება განსხვავდება ქუჩაში მცხოვრები მამაკაცების ცხოვრებისგან (იხილეთ:Grimm, Maldonado, გრიმი, მალდონადო, 1995: 20-21). ავტორები ყურადღებას ამახვილებენ შემდეგზე:

- ძალადობა და შეურაცხყოფა. ქალების 40-70 პროცენტი განიცდის ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას. ეს მაჩვენებელი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებს შორის.
- ფსიქიკური დაავადება. ფსიქიკური ავადმყოფობის შემთხვევები ქალებში უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებში.
- არაადეკვატური ჯანდაცვა. უსახლკარო ქალები უფრო განიცდიან ქრონიკულ ჯანმრთელობის პრობლემებს, მწვავე ავადმყოფობას და დაზიანებებს, ვიდრე მამაკაცები, მაგრამ მათთან ნაკლებია ალკოჰოლის ან ნარკოტიკების გამოყენება.
- შეზღუდული განათლება ან სამუშაო გამოცდილება. განათლების დონე ერთნაირად დაბალია, როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში, მაგრამ ქალებს ნაკლები სამუშაო გამოცდილება აქვთ.
- სოციალური მხარდაჭერის არარსებობა. ქალები მიიჩნევენ, რომ მათი რესურსები მთლიანად ამოწურულია, რადგან ისინი არიან უსახლკაროები, ვინაიდან ჩვეულებრივ ისინი აქტიურად იყენებენ თავიანთ კავშირებს და ებრძვიან უსახლკარობას.

ამ მახასიათებლების გადახედვისას, ჩანს, რომ ისინი შეეხება უსახლკარო მამაკაცებსაც. ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ განსხვავებები მხოლოდ გარკვეულ საზღვრებში, რამდენადაც ზემოთ მოყვანილი მახასიათებლებით უფრო ხშირად ქალებს მიმართავენ.

ბევრ უსახლკარო ადამიანს არ შეუძლია უზრუნველყოს ადეკვატური საცხოვრებელი პირობები, მათი ნაწილი ვერ შეძლებს დამოუკიდებელ ცხოვრებას და მათ ესაჭიროებათ ზრუნვა, ნაწილი შეიძლება იყოს უსახლკარო გარკვეული დროის განმავლობაში, რადგან ისინი კონკრეტულ სიტუაციაში არიან და მხარდაჭერის მიღების შემდეგ, შეუძლიათ დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყონ.

2.3. უსახლკარობის გამომწვეწვი მიზეზები

უსახლკარობის განსაზღვრასთან დაკავშირებით უთანხმოების ანალოგიურად, მკვლევართა მოსაზრებებიც განსხვავდება მის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით.

უსახლკარობის მიზეზების ახსნა-განმარტებები გადაიზარდა ორ ძირითად აზროვნების სკოლაში. ზოგიერთი ავტორის აზრით, უსახლკარობა გამოწვეულია სტრუქტურული ფაქტორებით; სხვები უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებენ ინდივიდუალურ ფაქტორებზე. ძნელია მათ შორის სათანადო ბალანსის პოვნა (Main,1998). რომელი ფაქტორებია დომინანტური, ამის გნსაზღვრა დიდწილადაა დამოკიდებული სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტზე. როგორც Anderson and Christian ანდერსონმა და ქრისტიანმა აღნიშნეს, კვლევა უსახლკარობის მიზეზებთან დაკავშირებით პირდაპირ და არაპირდაპირ უკავშირდება პოლიტიკას (Anderson and Christian ანდერსონი და ქრისტიანი, 2003: 107).

Pleace ფლისმა თავის ნამუშევრებში გამოიკვლია დიდი ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში უსახლკარობის განსაზღვრების ცვლილება, რომელიც ხასიათდება ინდივიდუალურიდან სტრუქტურულზე და სტრუქტურულიდან, უკან ინდივიდუალურზე გადანაცვლებით, რომელიც ურთიერთკავშირშია უსახლკარობის სტრუქტურული ელემენტების განმარტებებთან. ის ამტკიცებს, რომ უსახლკარობის ადრეული განმარტებები ყურადღებას ამახვილებენ ინდივიდუალურ მიზეზებზე - უსახლკარო ადამიანების ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობის მიღების და საკუთარი თავის უზრუნველყოფის სურვილის არქონაზე. მოგვიანებით- ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობის უუნარობაზე. თავდაპირველი განმარტებები ხაზგასმით აღნიშნავს ინდივიდუალურ პათოლოგიას იმის თაობაზე, თუ რატომ ვერ შეეძლოთ უსახლკარო ადამიანებს ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა. 1981 წელის კვლევით უსახლკაროებს არ შეეძლოთ მონაწილეობის მიღება, მაგრამ პირველად იქნა შემოთვაზებული აზრი იმის შესახებ, რომ ეს იყო მათი მდგომარეობა, ვიდრე მათი მახასიათებლები. 90-იან წლებში განმარტებებმა გადაინაცვლეს უკან ინდივიდუალური პათოლოგიისკენ, მაგრამ უსახლკარობის მიზეზობრიობაში სტრუქტურული ელემენტის განზომილების დამატებით (Pleace, 1998 :50).

სამეცნიერო ლიტერატურაში უთანხმოება არსებობს უსახლკარობის ძირითადი მიზეზების გამო. თავს იჩენს უსახლკარობის მიზეზებზე დებატები, უნდა იყოს თუ არა კვლევა ფოკუსირებული სტრუქტურულ ძალებზე, რომლებიც უსახლკარობის არსებობის

საშუალებას იძლევა, თუ დაუყოვნებლივ მიზეზებზე, თუ რატომ ხდება ხალხი უსახლკარო (Shlay, Rossi, 1992: 129).



წყარო: Pleace 1998; ნახ. 2: უსახლკარობის საფუძვლების ახსნა

ინდივიდუალური ფაქტორები, რომლებიც იწვევენ ადამიანის უსახლკარობას, ან ფაქტორები, რომლებიც არ არის დამოკიდებული პიროვნებაზე, უკავშირდება ინდივიდის პათოლოგიას, ან არჩევანს. ასეთ შემთხვევაში, ზოგადი ტენდენციით, უსახლკარო ადამიანები არიან ისინი, ვინც თვითონ გამოიწვია არსებული მდგომარეობა. ეს მიდგომა უსახლკარობასთან აკავშირებს ადამიანების ისეთ ინდივიდუალურ მახასიათებლებს და ქცევას, როგორიცაა, მაგალითად, ალკოჰოლის და ნარკოტიკის ბოროტად გამოყენება, ფსიქიკური დარღვევები, სიტუაციის ადაპტირების უნარის არქონა, უმუშევრობა და ა.შ. და ცდილობს მათ შორის შემთხვევითი კავშირები მოძებნას. არსებობს აზრი, რომ უსახლკაროების უმეტესობა გახდა უსახლკარო, რადგან მათ არ სურთ ვალდებულებების შესრულება მუშაობისა და მუდმივი საცხოვრებლის შენარჩუნებისთვის. უსახლკარობა გამოწვეულია პირადი პასუხისმგებლობის ნაკლებობით, ამტკიცებს Carnachio კარნაჩიო (Homelessness. The Essays…,უსახლკარობა ... ესეები ..., 2000-2005). თუმცა, ყველა ავტორი

უსახლკარობის მიზეზების განხილვისას ინდივიდუალურ პათოლოგიაზე არ აკეთებს ასეთ მკვეთრ ხაზგასმას.

ინდივიდუალური ფაქტორები, რომლებიც იწვევენ უსახლკარობას, ქმნიან სამ ჯგუფს :

- მახასიათებლები - ფართო დემოგრაფიული პროფილი, მათ შორის: ოჯახური მდგომარეობის ტიპი, ასაკი, სქესი, რასა, საცხოვრებელი ადგილი (ურბანული-სასაოფლო)
- რისკის ფაქტორები-გარემოებები და გამოცდილებები, რომლებიც იწვევენ განსაკუთრებულად დაუცველი ადამიანების უსახლკარობას.
- გამომწვევი ფაქტორები - კონკრეტული მოვლენები, რომლებიც ხშირად "უსახლკარობის" "დაუყოვნელივ მიზეზებს" წარმოადგენს (Fitzpatrick et al, 2000: 26).

უსახლკარობა შეიძლება იყოს გამოწვეული ადამიანების გარკვეული მახასიათებლების გამო, რადგან, ისინი განსაკუთრებულად განსაზღვრავენ ინდივიდის მოქმედებებს სხვადასხვა სიტუაციებში. აქ, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უნდა აღინიშნოს, არის ინტელექტის დონე, ემოციური სტაბილურობა/არასტაბილურობა, რაზეც დიდ გავლენას ახდენს ალკოჰოლიზმი და ნარკოტიკების მოხმარება, ფსიქიკური დაავადებები და მარგინალური დამოკიდებულება (Avramov, 1995: 139). უსახლკარობის მაღალ რისკს ასევე განსაზღვრავს ადამიანების მიერ მუშაობის ეთიკის ნაკლებობა (Main,1998), განათლების დაბალი დონე, დაბალი პროფესიული უნარ-ჩვევები; ხალხი, ვინც ვერ პოულობს პერმანენტულ, რეგულარულად ანაზღაურებულ სამუშაოს; ისინი ვინც ღატაკი ოჯახებიდან არიან, ვისაც აქვს სუსტი ნათესაური კავშირები. ძირითადი რისკის ქვეშ არიან ნარკოტიკების მომხმარებლები, ალკოჰოლიკები და კლინიკური ფსიქიკური დარღვევების მქონე ადამიანები (Avramov, 1999 a: 161). კვლევის მონაცემების მიხედვით, უსახლკარობის უფრო დიდი რისკის ქვეშ მყოფნი არიან შედარებით ახალგაზრდა ადამიანები, ქალაქების მკვიდრნი ((Fitzpatrick et al, ფიცფატრიკი და სხვები, 2000: 26-27), მარტოხელა ადამიანები, რომლებიც არ ცხოვრობენ ოჯახთან, ისევე როგორც მამაკაცები (Avramov, 1999 b: 15).

ყველა ავტორს არ აქვს ერთიანი აზრი, რომ ალკოჰოლიზმი ან ნარკოდამოკიდებულება უსახლკარობის მიზეზია. მათი აზრით, უსახლკარობას და

ნარკოტიკებზე დამოკიდებულებას შორის ურთიერთობები რთული და საკამათოა. მიუხედავად იმისა, რომ ალკოჰოლური სასმელების და ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების მაჩვენებლები უსახლკარო მოსახლეობაში არაპროპორციულად მაღალია, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში უსახლკარობის ზრდა არ შეიძლება მხოლოდ ნარკომანიით განისაზღვროს. ბევრი ადამიანი, რომელიც ალკოჰოლური სასმელებსა და ნარკოტიკებზე დამოკიდებულნი არიან, არასოდეს გახდებიან უსახლკარონი, მაგრამ ადამიანები, რომლებიც ღარიბები და ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულნი არიან, მკაფიოდ გამოირჩევიან უსახლკარობის მაღალი რისკით (Why are people homeless? 2002 რატომ არიან ადამიანები უსახლკაროები? 2002).

არსებობს რისკის ფაქტორების დიაპაზონი, რომლებიც ზრდიან უსახლკარობას. ძირითადი რისკ- ფაქტორებია სიღარიბე და უმუშევრობა (Fitzpatrick et al, ფიტცპატრიკ და სხვები, 2000:28) ან უმუშევრობის გამო არაადეკვატური შემოსავალი (Avramov, ავრამოვი, 1995: 137).

სხვა რისკ-ფაქტორებია: სექსუალური და ფიზიკური შეურაცხყოფა, ოჯახური კონფლიქტები ან მისი დანგრევა, ადგილობრივი ხელისუფლების ზრუნვის ფონი, შეურაცხმყოფელი ქცევა ან/ და ციხის გამოცდილება, შეიარაღებულ ძალებში მუშაობის გამოცდილება, სოციალური მხარდაჭერის ქსელის ნაკლებობა, ვალები, განსაკუთრებით იჯარის ან იპოთეკის დავალიანება, მეზობლების მიერ მიყენებული ზიანი, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლური სასმელების ბოროტად გამოყენება, სკოლიდან გამორიცვა და კვალიფიკაციის ნაკლებობა; ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემები (ფიცფატრიკი და სხვ., 2000: 28).

გამომწვევი ფაქტორები ან კრიზისული სიტუაციები (Fitzpatrick et al, ფიცპატრიკი და სხვები, 2000: 28) ან ტრავმული მოვლენები (Avramov, 1995: 138) მოიცავს: კამათის შემდეგ მშობლების სახლიდან წასვლას; ქორწინებისა და ურთიერთობის დანგრევას; ქვრივობას; შეიარაღებული ძალებიდან განთავისუფლებას; ზრუნვის მიტოვებას; ციხის დატოვებას; ფსიქიკური ჯანმრთელობის მკვეთრ გაუარესებას და ალკოჰოლის ან ნარკოტიკების მოხმარების გაზრდას; ვალების მქონეთა ფინანსურ კრიზისს; ნაქირავები ან კუთვნილი სახლიდან გამოსახლებას (Fitzpatrick et al, ფიცპატრიკ და სხვები, 2000: 28). უსახლკარო

არ ხდება ყველა, ვინც განიცდის ამ სიტუაციებს, თუმცა ისინი ხელს უწყობენ უსახლკარობას, განსაკუთრებით კომბინაციაში. ერთი-ერთი უსახლკარობის გამომწვევი კომბინაციაა სამუშაოს დაკარგვა და ჯანმრთელობის ან ოჯახური პრობლემები (Clarke et al, 1996).

უსახლკარობის კვლევებმა გამოავლინა სქესს შორის არსებული განსხვავებები. ქალებისთვის, როგორც წესი, უსახლკარობის მიზეზი ხდება გამოსახლება, ოჯახური ძალადობა ან სხვა მსგავსი პრობლემები, მამაკაცები უფრო ხშირად უსახლკარონი ხდებიან ალკოჰოლის და ნარკოტიკული ნივთიერების ბოროტად გამოყენების გამო. თუმცა არსებობენ ავტორები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ასეთ მიდგომას - ამგვარი მახასიათებლები საბოლოოდ არ აჩვენებენ არაფერს, რადგან ამ მახასიათებლების მქონე ყოველი ადამიანის უკან ძირითად მოსახლეობაში დგას კიდევ ათი ადამიანი, მსგავსი მახასიათებლებით, რომლებიც არ გახდნენ უსახლკარონი. უსახლკარობის გამომწვევი მიზეზი ფაქტიურად შეუსაბამოა; შეუძლებელია პირდაპირი პროფილიდან დასკვნების გამოტანა (Neale, 1997, cited from Pleace, Quilgars , 2003:193, ნეალი, 1997, ციტატა ფლისიდან ქვილგარს 2003: 193).

ზოგი ავტორი მიუთითებს უსახლკარობის "პროქსიმალურ (მიახლოებით) მიზეზებსა" და "ძირითადი მიზეზების" შორის განასხვავებაზე. "პროქსიმალური“ მიზეზებში უფრო ხშირად იგულისხმება პიროვნული ფაქტორები და ინდივიდუალური ქმედებები, რომლებმაც შეიძლება განსაზღვრონ, ვინ ხდება უსახლკარო ძირითადი (სტრუქტურული) არასასურველი ფაქტორების გავლენით, რომლებიც უზრუნველყოფენ ფაქტს,რომ კონკრეტული პირები ვერ ახერხებენ თავიანთი წინააღმდეგობრივი ცხოვრებისეული მოვლენებიდან თავის დაღწევას (Structural trends…სტრუქტურული ტენდენციები ...).

სტრუქტურული განმარტებები უსახლკარობის მიზეზებს განათავსებენ ფართო სოციალურ და ეკონომიკურ სტრუქტურებში. უსახლკარობის მიზეზები დიდწილად ამ მიდგომით არის დაკავშირებულია საზოგადოების კეთილდღეობის ზოგად დონესთან.

კვლევის შედეგებმა აჩვენეს, რომ უსახლკარობა რამდენიმე მიზეზითაა წახალისებული: იაფი ბინების დეფიციტი, უმუშევრობა და შემოსავლის დაბალი დონე, რის გამოც რთულია, რომ ადამიანმა გადაიხადოს ქირა და კომუნალური გადასახადები,

საზოგადოების სოციალური ჯანმრთელობა, ფსიქიკური დარღვევების მქონე ადამიანების დიდი რაოდენობა და მათზე ზრუნვა, ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულება და მათთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება, ოჯახში არასასურველი ურთიერთობები, ციხიდან გათავისუფლებულთა დიდი რაოდენობა და მათი პრობლემების მოგვარება, სოციალური პროგრამების არაეფექტური განხორციელება, რომლებიც მიზნად ისახავენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარებას, დაბალი შემოსავლისა და სხვა რისკის მქონე ოჯახების ჯგუფები, სათანადო სოციალური დაცვის ნაკლებობა (იხ. Shlay და Rossi, 1992; H... 1993, Avramov, 1995; Fitzpatrick et al, 2000; Anderson და Christioan, 2003). ზოგიერთ წყაროში ნახსენებია ფიზიკური და სოციალური განსხვავებები, რომლებიც სტრუქტურულ ფაქტორებს მიეკუთვნება და ხელს უწყობენ უსახლკარობას.

სტრუქტურული ფაქტორები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგ ძირითად კატეგორიებად, რომლებიც არ გამორიცხავენ ერთმანეთს, მაგრამ შესაძლოა მათი ერთმანეთისთვის დამატება:

- სიღარიბე.
- შრომის ბაზარი (დასაქმება და გადახდილი თანხის რაოდენობა),
- განსახლების პოლიტიკა,
- სოციალური დახმარების სისტემის ქმედებები.

უსახლკარობა და სიღარიბე განუწყვეტელ კავშირში არიან ერთმანეთთან. ღარიბ ადამიანებს ხშირად არ შეუძლიათ სახლის, საკვების, ჯანმრთელობის მოვლისა და განათლებისთვის საჭირო თანხის გადახდა. მათ უწევთ რთული არჩევანის გაკეთება, როდესაც შეზღუდული რესურსები ფარავს მხოლოდ ამ საჭიროებების ნაწილს. ხშირად ეს არის სახლის გადასახადი, რომელიც შთანთქავს შემოსავლის დიდ ნაწილს, რომელიც უნდა იქნას დაცემული. (Fitzpatric et al, 2000 :21, Why are people homeless? 2002)

ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს სიღარიბის ზრდას, არის დასაქმების დამანგრეველი შესაძლებლობები და შრომის ბაზრის რესტრუქტურირება. დამახასიათებელი ტენდენციებია დიდი მასშტაბების მწარმოებელი ინდუსტრიებისა და არაკვალიფიციურ სამუშაოებზე მოთხოვნის შემცირება (Fitzpatric et al, 2000 :21). ამას

შეიძლება დაემატოს შემოსავლების შემცირება და ნაკლებად უსაფრთხო სამუშაო ადგილები, რომელიც სთავაზობს ნაკლებ სარგებელს. შემცირებული შემოსავლები ბევრ მუშას არ აძლევს საცხოვრებელი ადგილის ქონის საშუალებას, ვინაიდან ერთ ან ორ საძინებელიანი ბინა მოითხოვს მინიმალურ ხელფასზე მეტ გადასახადს (Why are people homeless?2002). ასევე უმუშევრობა გავლენას ახდენს საცხოვრებლისთვის გადასახადის გადახდის შესაძლელობას. არათანაბარ შემოსავლის ზრდის გამო უმუშევრობა, გავლენას ახდენს საბინაო ბაზარზე იმ ადამიანების შემცირებას, რომლებიც შეძლებენ გადაუხადონ ყველაზე დაუცველ საცხოვრებელში და შემდეგ დარჩნენ უსახლკაროდ (Homelessness, 1993:51).

უამრავი კვლევა, რომელიც ცდილობს ახსნას უსახლკარობის ზრდა, ყურადღებას ამახვილებს საბინაო სისტემაზე, როგორც მის მოთხოვნილებაზე, ისე მის უზრუნველყოფაზე. ძირითადი ტენდენციაა ის, რომ იზრდება საცხოვრებელი ადგილების მოთხოვნა. ეს აიხსნება ერთსულიანი ოჯახების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდით, რაც განქორწინებების რაოდენობის, ხანდაზმულთა და მარტო მცხოვრები დაუქორწინებელი მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ტენდენციის შედეგადადაა გამოწვეული (Fitzpatric et al, 2000 : 19-20). საცხოვრებლით უზრუნველყოფის ანალიზში ყურადღება ექცევა ქონების მფლობელობის სტრუქტურასა და მის ცვლილებებს.

მნიშვნელოვანი ფაქტორებია საცხოვრებელი ადგილის ფლობის შესაძლებლობა და ხელმისაწვდომობა. შესაძლებლობაში იგულისხმება მოსახლეობისთვის მისაღები ხარისხის საკმარისი საცხოვრებელის არსებობა, ასევე პოტენციურად უსახლკარო ოჯახებისთვის. კვლევა გვიჩვენებს, რომ უსახლკარობა შეიძლება მოხდეს, შესაფერისი საცხოვრებელის გაქირავების აბსოლუტური დეფიციტით, ან შეიძლება იყოს, მაგრამ გარკვეული ტიპის საყოფაცხოვრებო პირობები სოციალური მფლობელებისგან შეიძლება იყოს დაბალი პრიორიტეტი, ან შესაძლოა, კერძო მფლობელმა თავიანთი თავშესაფრის გამოყენებაზე უარი უთხრას გარგვეული ტიპის დამქირავებელს. არსებობს კიდევ ორი პრობლემა შესაძლებლობასთან დაკავშირებით - განსახლება იმ ადგილებში, სადაც ხალხს არ სურს ცხოვრება, ან ცუდი ხარისხის საცხოვრებელი. უსახლკარობა შეიძლება წარმოიშვას, თუ საცხოვრებელი არ არის ხელმისაწვდომი, ადამიანების ძალიან

დაბალი შემოსავალი გამო. მათ არ შეუძლიათ გადაიხადონ ქირა დაბალი შემოსავლების, უმუშევრობის ან დახმარების (თუ იღებენ მას) სიმცირის გამო (Structural Trends… სტრუქტურული ტენდენციები).

უსახლკარობას ასევე შეუწყო ხელი გაქირავებულ მუნიციპალურ და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საცხოვრებლების პრივატიზებამ, შედარებით იაფი გაქირავებული სექტორის შემცირებით და ქირის გაზრდით (Homelessness, 1999; Trapenciere , 2003; Marana and Zakis, 2004).

ამან მნიშვნელოვნად შეამცირა მოსახლეობის ეკონომიკურად ცუდ მდგომარეობაში მყოფი კატეგორიებისთვის საცხოვრებელი ადგილის ქონის შესაძლებლობები.

დაბალი შემოსავლის, უმუშევრობისა და საცხოვრებელის შენარჩუნებისათვის საჭირო მზარდი ხარჯების გამო, სულ უფრო ძნელი ხდება ხელმოკლე და სოციალურად დაუცველი კატეგორიის უფრო და უფრო მეტი ადამიანისთვის საცხოვრებელი ადგილის ხელმისაწვდომობა. ბევრი მათგანი იძულებულია, მიენდოს სოციალური უსაფრთხოებისა და სოციალური დაცვის სისტემას. მაგრამ ლიტერატურის მონაცემებით, სოციალური დახმარება ძალიან მცირეა. შემწეობა უფრო დაბალია, ვიდრე სიღარიბის ზღვარი, ამდენად სოციალური დახმარება ვერ უზრუნველყოფს სიღარიბისგან გათავისუფლებას. ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები იძულებული არიან იბრძოლონ საბინაო პირობების მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის, ბევრ მათგანს ემუქრება უსახლკაროდ დარჩენის რისკი (Why are people homeless? რატომ არიან ადამიანები უსახლკაროები? 2002).

უსახლკარობის სტრუქტურულ მიზეზებზე საუბრისას, ბევრი ავტორი მოიხსენიებს ისეთ ფაქტორს, როგორიცაა დეინსტიტუციონალიზაცია (Anderson, Christian, 2003;,ანდერსონი, ქრისტიანი, 2003; Homelessness უსახლკაროობა, 1993; Structural Trends...სტრუქტურული ტენდენციები ..), ეს ძირითადად შეეხება ფსიქიატრიული კლინიკების ყოფილ პაციენტებს, მათ, ვინც დაიწყეს დამოუკიდებლად ცხოვრება დაწესებულებებში გატარებული პერიოდის შემდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარების უმრავლესობა არ განიხილავს

დეინსტიტუციონალიზაციას, როგორც უსახლკარობის გამომწვევ მიზეზს, უსახლკარობის ხელშემწყობია საკმარისი სოციალური დახმარებისა და ზრუნვის ნაკლებობა.

აღნიშნულია მოქმედი ფსიქიატრიული საკონსულტაციო მომსახურების, სამუშაოსთვის შესაბამისი გადამზადების პროგრამების, კონკრეტული ფინანსური დახმარების ღონისძიებების, დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობისთვის სპეციალურად შექმნილი თავშესაფრების ნაკლებობა (homelessness, 1993: 46). ფაქტიურად, შეიძლება ითქვას, რომ უსახლკარობის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი დეინსტიტუციონალიზაციასთან დაკავშირებით საჭიროების შემთხვევაში მხარდაჭერის ნაკლებობაა. უსახლკარობის სტრუქტურული ფაქტორები მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილ 2-ში.

ცხრილი 2.უსახლკარობის გამომწვევი სტრუქტურული ფაქტორები

საცხოვრებელი რესურები და მოთხოვნილებები	დასაქმება	სიღარიბე	დეინსტიტუციონალიზაცია
.ახალი დასაქირავებელი სახლების ნაკადი .ბინით უზრუნველყოფის საბჭოს მომლოდინეთა რაოდენობა. .ბინის მფლობელობის პოლისების განაწილება და ექპლუატციის წესები	. უმუშევრობა დაბალკვალიფიციური სამსახურების არსებობა	. ანაზღაურება .სოცილური დახმარების დონე	.ფსიქიატრიული საავმყოფოებიდან გამოწერილები . გონებრივი დაავადებების საზოგადოებაში მკურნალობის პირობა .მზრუნველობამოკლებული ბავშვები .ციხიდან გამოსული დმნაშავეები .შეიარაღებული ძალებიდან წამოსული

.ახალი ოჯახების შექმნა და დნგრევა. .ქირავნობის დონე/ბინის ფასები . პრივატიზაცია			ხალხი

წყარო: სტრუქტურული მიმართულებები და უსახლკარობა: შედარებითი ანალიზები,უსახლკარობა, 1993:46-51.

ნეალი Neale უსახლკარობის და თეორიის შესახებ მიმოხილვაში აკრიტიკებს უსახლკარობის არსებულ განმარტებებს, რომლებიც ფოკუსირებულია ინდივიდუალურ პათოლოგიასა და სტრუქტურალიზმზე, რომელთაც იგი უწოდებს ათეორეტიკულს და მარტივს. "არავითარი სტრუქტურული ფაქტორი ან ფაქტორები, ინდივიდუალური მახასიათებლებისა და გამოცდილების არავითარი ერთობლიობა არ შეიძლება იყოს ნაჩვენები უსახლკარობის „გამომწვევ მიზეზად“, და „უსახლკარობის “ წინაპირობა ჰეტეროგენულია (Neale, 1997, ციტირებული Pleace- გან , 2000:589)

რამოდენიმე ავტორი უსახლკარობის გამომწვევ მიზეზებთან, მის ფესვებთან დაკავშირებით მსჯელობისას არ აკეთებს მკაცრ განსხვავებას ინდივიდუალურ ან სტრუქტურულ მიზეზებს შორის. ავტორების ნაწილი მიიჩნევს, რომ უსახლკარობის შემთხვევა არ უნდა აიხსნას მხოლოდ ინდივიდუალური ან სტრუქტურული მიზეზით, რადგან უსახლკარობა ჩამოყალიბებულია იმ ადამიანებისგან, რომლებიც განსაკუთრებულად დაუცველნი არიან უსახლკარობის გამომწვევი სტრუქტურული ძალების წინაშე (იხ. Pleace, 2000; Pleace, Quilgars, 2003: 192). უსახლკარობის უკიდურესი მდგომარეობა შეიძლება უფრო ზუსტად იქნას აღწერილი, როგორც ფენომენის წარმომშობი მრავალი ფაქტორის შერწყმის შედეგი, მათ შორის საბინაო ბაზრის დინამიკის, საბინაო და დახმარების პოლიტიკის, ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის და შრომის ბაზრის, და ასევე პერსონალური უნარშეზღუდულობის კონვერგენციის შედეგი (Shlay, Rossi, 1992: 129 შლეი, როსი, 1992: 129). სტრუქტურული გარემოებები გავლენას

ახდენენ ადამიანებზე, ქმნიან მათ შესაძლებლობებზე ზეწოლას და შეზღუდვებს, რთული საბინაო სიტუაციების გადასაჭრელად. უთანასწორო საზოგადოებაში ცხოვრების მახასიათებლები და მისი ინდივიდუალური სტილიც არ არის თანაბარი.

წიგნში *უსახლკარობის დაძლევა : პრობლემების გადაჭრა და ამის საუკეთესო პრაქტიკა ევროპაში*, უსახლკარობის მიზეზები არ არის დაყოფილი ინდივიდუალურ და სტრუქტურულ მიზეზებად, მაგრამ გამოიყენება განსხვავებული ტერმინოლოგია. უსახლკარობის მიზეზებიდან გამოირჩეულია ისინი, რომლებიც უფრო მეტად უკავშირდებიან მაკრო დონეს - დამაკმაყოფილებელი საცხოვრებელი პირობების ნაკლებობა, ადეკვატური სოციალური დაცვის არარსებობა, ადამიანების ადეკვატური დახმარების ნაკლებობა, ფსიქიური პრობლემები, ადამიანების ლეგალური ან სოციალური იზოლირება. გამორჩეულია პრობლემის შუალედური მიზეზები, რომლებიც უკავშირდება ისეთი სოციალური ინსტიტუციების ფუნქციონირების ნაკლებობას, როგორიცაა ოჯახი, მეგობრები, არაფორმალური კავშირები, მეზობლები და თანატოლები. ფაქტიურად, შუალედური მიზეზები მიუთითებს ინდივიდის სოციალური კავშირების სისუსტესა და სოციალური ქსელების არასაკმარის განვითარებაზე. ქუჩის ბანდები და ქვე-კულტურებისგან გამოსული სხვა ჯგუფები ასევე მოხსენიებულია შუალედურ მიზეზებად. პიროვნული მიზეზები, როგორიცაა დაწესებულებებში მიღებული გამოცდილება-ბავშვთა დაწესებულებებში, ფსიქიატრულ საავადმყოფოებში, ციხეებში და ა.შ. - რომლებიც შეუფერებელია დაწესებულებებს გარეთ ცხოვრებისთვის; პრობლემები ან კონფლიქტები ოჯახში, ძალადობა, სკოლის დატოვება და ფსიქიური პრობლემები (Avramov ავრამოვი, 1999 ბ: 6-8) გაანალიზებულია მიკრო დონეზე.

აღიარებენ რა დღესდღეობით ლატვიაში უსახლკარობის პრობლემის ფონის სირთულესა და მრავალგანზომილებიანობას, ექსპერტები ხაზს უსვამენ საბინაო ბაზარზე რადიკალურ ცვლილებებს, როგორც უსახლკარობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს (Trapenciere,2003:1). ოთხმოცდაათიანი წლების გარდამავალი პერიოდის განმავლობაში ლატვიაში საბინაო რეფორმები აღინიშნა საცხოვრებელი ადგილების საკუთრების სტრუქტურის ცვლილებებით. პროცესი ორი ძირითადი მიმართულებით ჩატარდა: სახელმწიფო და მუნიციპალური საცხოვრებლების პრივატიზაცია და დენაციონალიზაცია

(რესტიტუცია). ორივე მათგანმა შექმნა უძრავი ქონების ბაზრის განვითარებისთვის აუცილებელი საფუძველი, რომელიც დეფორმირებული იყო მოსახლეობის დაბალი შეძენის უნარიანობით და ლატვიის სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული ეკონომიკური აქტივობებით. საერთო მდგომარეობა შეიძლება დახასიათდეს ხელმისაწვდომი საცხოვრებლის ნაკლებობით, განსაკუთრებით ურბანულ ტერიტორიებზე, არსებული საცხოვრებელი პირობების გაუარესებით ყველა ტიპის ბინათმფლობელობისას. საბინაო სექტორის ხარისხისა და სიცოცხლისუნარიანობის მხარდასაჭერად ადეკვატური საინვესტიციო მექანიზმის ნაკლებობით (Marana and Zakis, მარანა და ზაქის, 2004). ამის შედეგად მოსახლეობის ნაწილმა დაკარგა საცხოვრებელი, მეორე ნაწილი კი ჩამოყალიბდა საცხოვრებლის დაკარგვის რისკის მქონე ჯგუფად.

კიდევ ერთი ძირითადი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია უსახლკარობასთან ლატვიაში, არის შემოსავალი და საცხოვრებლის ხარჯები. (Gassmann, 2000; Trapenciere et al, 2000; Trapenciere 2003; Marana და Zakis, 2004). მოსახლეობის დაბალი შემოსავალი არ იძლევა საცხოვრებლის ხარჯების დაფარვის საშუალებას, ძვირადღირებული გაქირავებისა და ძვირი კომუნალური გადასახადების გამო, რის შედეგადაც გროვდება დავალიანება და ეს ფაქტორი გადამწყვეტ როლს თამაშობს პიროვნების საცხოვრებლის დაკარგვაში.

ზემოაღნიშნულის შეჯამებით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ უსახლკარობის შემთხვევას და არსებობას დიდწილად განსაზღვრავს:

- ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება,
- სოციალური გარემო,
- პიროვნების ინდივიდუალური თვისებები და პრობლემები.

უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარები უსახლკარობის განვითარების ანალიზისას არ აკეთებენ კონკრეტული კულტურული მიზეზების იდენტიფიკაციას. აქ ერთ-ერთი სავარაუდო მიზეზი შეიძლება იყოს, იმ ერთადერთი წყაროს მონაცემების ნაკლებობა, რამაც შესაძლოა დაადასტუროს, რომ სოციალური დახმარების მოსარგებლე ოჯახებში უსახლკაროების რიცხვი გაიზარდა. (Bassuk, Rosenberg, ბასუკი, როზენბერგი, 1988: 783). არიან ავტორები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც მხარს უჭერენ სტრუქტურულ

მიდგომას, რომლებიც აცხადებენ, რომ სიღარიბის კულტურა არ იწვევს უსახლკარობას (Timmer etal, 1994).თუმცა, თუკი უსახლკარობა სიღარიბის უკიდურეს გამოხატულებად მიიჩნევა, მისთვის, სიღარიბის მსგავსად, უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ ინდივიდუალური და სტრუქტურული, არამედ კულტურული მიზეზები, რომლებიც დაკავშირებულია ღირებულებების კონკრეტულ სისტემასთან, ქცევების მანერასა და სამყაროს აღქმასთან.

3. კვლევის მეთოდოლოგია

ლატვიაში უსახლკარობის და უსახლკარო ადამიანების გაგების მოკლე მიმოხილვა მოცემულია ამ თავის დასაწყისში, რასაც შემდეგ მოჰყვება ამ სტატიის ავტორის მიერ განხორციელებული კვლევის აღწერა.

3.1. უსახლკარობის ინტერპრეტაცია ლატვიაში

ლატვიაში უსახლკარობის შესწავლა დაიწყო 1999 წელს. ეს იყო სწორედ ის დრო, როდესაც შეიქმნა და მოგვარდა სოციალური უსაფრთხოების სისტემა თავისი მთავარი მიზნით - დახმარებოდა ადამიანებს კრიზისულ სიტუაციებში ან სხვა სირთულესა და სიძნელეებში. ამავე დროს, სისტემის არსებობისა და საქმიანობის მიუხედავად, უსახლკარობის პრობლემა ქვეყანაში კი არ შემცირდა ან აღმოიფხვრა, არამედ-გაიზარდა.

უსახლკაროები არიან მოსახლეობის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი ლატვიაში. ლატვიაში ჯერჯერობით დეტალურად შემუშავებული არ არის უსახლკარო ადამიანის ოფიციალური დეფინიცია და უსახლკარობის ერთიანი გაგება. სავარაუდოდ, ეს იმის გამო ხდება, რომ უსახლკარობა არის შედარებით ახალი ფენომენი. ლატვიის კანონმდებლობა არ იძლევა უსახლკარობის ან უსახლკარო ადამიანის მკაფიო განმარტებას. "სოციალური მომსახურებისა და სოციალური დახმარების შესახებ" კანონის 1-ლი სექციის მე-9 პუნქტი იძლევა უსახლკარობის არაპირდაპირ განსაზღვრავს, რომ უსახლკარო არის ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი

(„სოციალური დაცვისა და სოციალური დახმარების შესახებ"კანონი). კონცეფციის ამგვარი ინტერპრეტაცია ძალიან ფართო და ბუნდოვანია, ვინაიდან ყველა ის ადამიანი, ვისაც არ აქვს რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი, შეიძლება ჩაითვალოს უსახლკაროდ. უფრო კონკრეტული განმარტება შეიძლება მოიძებნოს სოციალური სამუშაოების გლოსარიუმში, რომელიც გამოცემულია ლატვიაში და რომელიც განსაზღვრავს უსახლკაროს, როგორც ადამიანს, რომელსაც არ შეუძლია მიიღოს მუდმივი და ადეკვატური საცხოვრებელი ან შეინარჩუნოს ის, სოციალური მდგომარეობის გამო. უსახლკარო ადამიანებს სძინავთ ქუჩაში, საერთო საცხოვრებელში, ღამის თავშესაფრებში, პანსიონებში, მიტოვებულ შენობებში, სხვენებში, სარდაფებში, მეგობრების ბინებში (Sociala darba terminologijas vardnica, 2000:36). აღსანიშნავია, რომ ეს განმარტება არ არის იურიდიული და ის გვთავაზობს მხოლოდ ერთ-ერთ შესაძლო ინტერპრეტაციას.

ლატვიის მკვლევარებს ჯერ კიდევ არ მიუქცევიათ სათანადო ყურადღება და არ ჩაუტარებიათ უსახლკარობის და უსახლკარო ადამიანების შესახებ განსაკუთრებული კვლევები. ამიტომაც, ამ სფეროში ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული მათი მკაფიო დეფინიცია. ჩატარდა რამდენიმე კვლევა, რომელიც მიმოიხილავს სხვა საკითხებს და მათ შორის მოკლედ შეეხება უსახლკარობას და უსახლკარო ადამიანებს. ესენია: სიღარიბის სოციალური შეფასება (1999-2000), ევროკომისიის პროექტი უმუშევრობის შედეგად სოციალური მარგინალიზაციის საფრთხის რისკის ჯგუფების შესახებ (2000-2003); ნარჩენების გამოყენება, უსახლკარო პირთა გადარჩენისა და ცხოვრების სტილის ჟურნალისტურ-ანალიტიკური კვლევა (2003), ქუჩის ბავშვები ლატვიაში(2002) (trapenciere 2003:7-9). თუმცა, ამ კვლევებში ვერ მოიძებნება მოვლენების დეტალური კონცეპტუალიზაცია. შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ კვლევა ეფუძნება უსახლკარობის განმარტებებსა და შეხედულებებს, რომლებიც საღი აზრის საფუძველზე სათანადოდ არ არის შეფასებული.

ზემოთ, მეორე თავში განხილული განმარტების საფუძველზე, წინამდებარე კვლევისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს უსახლკარო ადამიანების შემდეგი განსაზღვრება:

უსახლკაროები არიან არის ადამიანები, რომლებსაც არ აქვთ სათანადო საცხოვრებელი - ცხოვრობენ ქუჩაში, პოულობენ თავშესაფარს დროებით საცხოვრებლებში (ღამის თავშესაფარი, მეგობრებთან) ან ცხოვრობენ შეუსაბამო პირობების მქონე საცხოვრებელში (დანგრეულ შენობებში, გაუქმებულ შენობებში, ფარდულებში, სარდაფებში, კიბეებზე და ა.შ.

ეს განსაზღვრება გაცილებით უფრო შეზღუდულია, ვიდრე ის, რომელიც მოცემულია ცხრილში (მე-2 თავი). ის მოიცავს იქ მოხსენიებული მოქმედი ათი კატეგორიიდან მხოლოდ ორს, რომელიც ეხება მხოლოდ ჭერის უქონლობას, ანუ ადამიანებს, რომლებსაც არ აქვთ არავითარი საცხოვრებელი და ვინც იყენებს ღამის თავშესაფრებს. მიუხედავად იმისა, რომ კატეგორიებიდან უმეტესობა გამოტოვებულია, მიმდინარე კვლევაში გამოყენებული განმარტება უფრო ახლოს არის ლატვიაში არსებული სიტუაციის კონტექსტთან.

მიუხედავად იმისა, რომ არავითარი კვლევა არ ჩატარებულა და აქედან გამომდინარე, არ არსებობს ამის მეცნიერულად დამტკიცებული არგუმენტი, არსებობს საღი აზრის ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებული კონცეფცია, რომ უსახლკარო ადამიანები ლატვიაში შეიძლება გაერთიანდნენ რამოდენიმე კატეგორიად (Sociala darba terminologijas vardnica, 2000:36-37), რომლებიც დიდწილად იქმნება უსახლკარობის გამომწვევი ფაქტორებით.

- უსახლკარო ადამიანები, რომელთათვისაც უსახლკარობა არის ცხოვრების წესი. ამ კატეგორიას ეკუთვნის ის ადამიანები, რომლებმაც აირჩიეს უსახლკარობა და კარგად არიან ადაპტირებული მათ ამჟამინდელ პირობებთან. თუმცა არიან ავტორები, რომლებიც უარყოფენ, რომ ვინმეს საკუთარი ნებით შეუძლია აირჩიოს ქუჩაში ცხოვრება (ფიცპატრიკი, და სხვები, Fitzpatric et al, 2000: 19). აბსოლუტურად თავისუფალი არჩევანი ასევე საეჭვოა იმიტომ, რომ არჩევანი არ ხდება სოციალურ ვაკუუმში და ხალხს შეუძლია გააკეთოს არჩევანი მხოლოდ ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისად. (ავრამოვი, Avramov, 1995: 117).
- ყოფილი პატიმრები

იმ შემთხვევაში, თუ მათ დაკარგეს ყოფილი საცხოვრებელი ადგილი (და რაც ხშირად ასე ხდება), ციხიდან დაბრუნების შემდეგ ადამიანი აღმოჩნდება მანკიერ წრეში - თუ თქვენ არ გაგაჩნიათ საცხოვრებელი ადგილი, ვერ განაცხადებთ მისი ქონის შესახებ და ამის გამო თქვენ ვერ იპოვით ლეგალურ სამუშაოს. იმისათვის, რომ იპოვოთ საცხოვრებელი ადგილი, საჭიროა ფული და შესაბამისი სამუშაო, სადაც ეს ფული შეიძლება გამოიმუშავოთ. ხშირად ამ მანკიერი წრიდან გამოღწევა შესაძლებელია მხოლოდ უკან, ციხეში დაბრუნების გზით.

- ადამიანები, რომლებმაც ბინები დაკარგეს ქირასთან დაკავშირებული ვალების გამო. ეს კატეგორია შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა ტიპის ადამიანებს, მაგრამ მისი ძირითადი ელემენტები არის მათი დაბალი შემოსავალი ან შემოსავლების არარსებობა უმუშევრობის, ინვალიდობის ან სხვა მიზეზების გამო, შესაბამისად, ქირავნობისა და კომუნალური მომსახურების გადახდის შეუძლებლობა. ამ ჯგუფში შეიძლება დიდი ოჯახებიც შედიოდეს, თუმცა არიან ავტორები, რომლებიც მათ მოიხსენიებენ ცალკე კატეგორიად.
- ობოლი ბავშვები და ბავშვთა დაწესებულებების ყოფილი მაცხოვრებლები; ისინი, რომელთაც თავისი ცხოვრების უმეტესობა ბავშვთა დაწესებულებებში აქვთ გატარებული, მისი დატოვების შემდეგ ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად ცხოვრებას. არ არიან მომზადებული "გარეთ" ცხოვრებისათვის - მათ არა აქვთ პრაქტიკული ცხოვრების უნარი, ისინი არ არიან აქტიურები, არ შეუძლიათ თავიანთი თავზე ზრუნვა, არ არიან მზად აიღონ პასუხისმგებლობები, მათ ძალიან მცირე არაფორმალური კავშირები აქვთ ან საერთოდ არ გააჩნიათ ისინი. მანამდე, დაწესებულებაში ისინი ყველა მომსახურებას და საგნებს იღებდნენ ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, არ არიან მზად დახმარების გარეშე ცხოვრებისთვის .

ნივთიერებებზე დამოკიდებული ადამიანები (ალკოჰოლის და ნარკოტიკების მომხმარებლები).

ალკოჰოლის და ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების გამო, მათ დაკარგეს სამუშაო ადგილები, შესაბამისად, დაკარგეს შემოსავალი. ასევე ალკოჰოლი და ნარკოტიკები მოითხოვს რესურსები. მათ მომხმარებლებს არ შეუძლიათ გადაიხადონ ქირა და

კომუნალური გადასახადები, რის შედეგადაც ხდება მათი საცხოვრებელი ადგილებიდან გამოსახლება.

- ადამიანები, რომლებმაც უძრავი ქონების დილერების მოტყუების გამო დაკარგეს საცხოვრებელი. ეს ჯგუფი ძირითადად ჩამოყალიბებულია ხანდაზმული ასაკის ადამიანების მიერ. თუ მათი შემოსავალი საკმარისი არ იყო ბინების შესანარჩუნებლად და მათ ბროკერების დახმარებით სურდათ გაეყიდათ ან შეეცვალათ ის უფრო მცირე ზომის და იაფი საცხოვრებლით, ზოგიერთ შემთხვევაში ეს ბროკერები არასანდონი აღმოჩნდნენ. შედეგად, ხალხმა დაკარგა ბინები და მოუწიათ ქუჩაში გადასახლება.
- ფსიქიური პრობლემების მქონე ადამიანები.

თუ ამ ჯგუფის ადამიანებს არ აქვთ დახმარება და მხარდაჭერა, ისინი ვერ შეძლებენ დამოუკიდებლად ცხოვრებას და თავიანთი საცხოვრებელი ადგილების შენარჩუნებას .

ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელია ადამიანის მიკუთვნება ერთი კონკრეტული კატეგორიისთვის, რადგან შესაძლოა, უსახლკარობის გამომწვევი მიზეზები ერთმანეთს დაემთხვას.

3.2 . მეთოდები და მაგალითი

ლატვიაში ჩატარდა კვლევა უსახლკაროების ნათელი სურათის წარმოსადგენად და ფენომენის ზოგიერთი კონკრეტული დეტალის და პრობლემების მოგვარების გზების გამოსავლენად. კვლევა შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილში წარმოადგენილია ლატვიის სოციალური უსაფრთხოების აღწერა. ეს ნაწილი აღწერს სოციალურ კანონმდებლობას და გვაძლევს სისტემის სტრუქტურის არსში ჩაწვდომის საშუალებას. აქ მოცემულია სოციალური ინსტიტუტების მიმოხილვა, შემოთავაზებული მომსახურება და დახმარება. კვლევის მეორე ნაწილი შედგება ლატვიაში უსახლკარობის ემპირიული შესწავლისაგან.

სოციალური უსაფრთხოების სისტემის აღწერისა და მასზე ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად უსახლკარობის პრევენციისა და პრობლემების გადაწყვეტის კონტექსტში, განხორციელდა კანონმდებლობისა და დოკუმენტების ანალიზი. ამ მიზნით, შესაბამისი

ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო აქტები (ლატვიის კონსტიტუცია, სოციალური უსაფრთხოების შესახებ კანონი, სოციალური მომსახურებისა და სოციალური დახმარების შესახებ კანონი, ადამიანის უფლებათა დეკლარაცია და ა.შ.) გამოყენებულია ინდივიდის საცხოვრებელი ადგილის ფლობის, უსაფრთხო ცხოვრების პირობების, სოციალური დახმარების და მხარდაჭერის უფლების საჩვენებლად. სოციალური უსაფრთხოების სისტემის, მისი სტრუქტურის და მუშაობის ძირითადი პრინციპების დასახასიათებლად ძირითადად გამოყენებულია კეთილდღეობის სამინისტროსა და სოციალური დახმარების სააგენტოს მასალები და სტატისტიკა. ამასთანავე, ამ მიზნით იქნა გამოყენებული სოციალური მუშაკების მიერ სხვადასხვა სემინარებზე განხილული ზოგიერთი ინფორმაცია. (ეს ინფორმაცა არ არის გამოქვეყნებული და სისტემატურად შეგროვებული ექსპერტების მიერ). ეს ანალიზი ყურადღებას ამახვილებს არსებულ სოციალურ მომსახურებებსა და დახმარებებზე, ახასიათებს ლატვიაში დახმარებისა და მომსახურებების მუშაობის ძირითად პრინციპებს და მისი მიღების შესაძლებლობის კრიტერიუმებს. ანალიზი ზოგადად მიმოიხილავს სისტემას და აღწერს მის შეთავაზებებსა და ხელმისაწვდომობას.

ლატვიაში არსებული უსახლკარობის დამახასიათებლი ასპექტების შესახებ ინფორმაციის მისაღებად 2001-2002 წლებში ჩატარდა ხარისხობრივი კვლევა. ხარისხობრივი მეთოდოლოგია შეირჩა კვლევის დაწყებისას, იმ დროს, როდესაც უსახლკარობა იყო ახალი მოვლენა ლატვიაში და არ არსებობდა შესაბამისი ინფორმაცია განმარტებებთან ერთად. ხარისხობრივი კვლევის მიდგომას ენიჭება უპირატესობა, როდესაც კვლევის მიზანი ემსახურება ახალი ფენომენის გაგების გაუმჯობესებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს მოვლენა კომპლექსურია და ღრმად არის კონტექსტში ფეხგადგმული. და უსახლკარობა არის ასეთი. ხარისხობრივი მიდგომის გამოყენება უფრო შესაფერისია იმ შემთხვევაში, თუ კვლევა ხელს უწყობს სოციალური ცხოვრების გაგების გაუმჯობესებას და იმის გარკვევას, თუ როგორ ჩამოაყალიბებენ ადამიანები მის მნიშვნელობას ბუნებრივი პარამეტრების შესაბამისად. ის რაოდენობრივ კვლევებთან შედარებით, უკეთესად გამოავლენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალ ტენდენციებს, როგორც ახალ პროცესებს და საკითხებს, როგორც ინდივიდუალურ

შემთხვევებს, და არა მასობრივ მოვლენებს. იგი ასევე იძლევა საშუალებას, გამოვლინდეს ის გარემოებები, რეგულაციები და ინდივიდუალური არჩევანი, რაც ხელს უწყობს ადამიანის უსახლკაროდ დარჩენას.

ხარისხობრივი კვლევა მოვლენათა აღწერის საშუალებით გვეხმარება გავიგოთ, თუ როგორ ხედავს უსახლკარო ადამიანი ინდივიდუალური და სოციალური კონტექსტის როლს მათი ამჟამინდელი მდგომარეობის განვითარებაში და როგორც ამას ხაზს უსვამს ფინელი მკვლევარი გრანფელტი (Granfelt 1999), არავის, გარდა უსახლკარო ადამიანისა, არ გააჩნია ერთი მნიშვნელოვანი ინგრედიენტი- უსახლკარობის პერსონალური გამოცდილება. და კიდევ ერთი არგუმენტი ხარისხობრივი მიდგომის არჩევის სასარგებლოდ არის ის, რომ ის ფართოდ გამოიყენება უსახლკარობის კვლევაში. რამდენიმე ხარისხობრივი კვლევა იქნა ჩატარებული 80-იან წლებში და ახლაც გრძელდება. (Quaglia ქუაგლია, 2005).

მეთოდის სახით გამოყენებული იქნა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები, რომლებიც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ხშირად გამოყენებულ ხარისხობრივ მეთოდს. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ უზრუნველყოფს გამოკითხულთა პრობლემების, მოსაზრებების და შეხედულებების უფრო ფართო ჩარჩოებში შესწავლის შესაძლებლობას. ცალკეული სპეციფიკური ელემენტების და კითხვების მეშვეობით ის ამავე დროს ხალხის თვალსაზრისის გაგების და უფრო მეტი ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა სხვადასხვა საკითხების შესახებ.

ნახევრად სტრუქტურირებული პირისპირ ინტერვიუების მეთოდის გამოყენებით შეგროვდა ინფორმაცია უსახლკარო ადამიანების სუბიექტური შეხედულებების შესახებ, იმ ფაქტორებთან დაკავშირებით, რომლებმაც გამოიწვია მათი უსახლკარობა და ამჟამინდელი მდგომარეობა. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები იძლევა გამოკვლეულ პირთა ქცევის, დამოკიდებულების და მსჯელობის გამოვლენის საშუალებას (Quaglia, 2005). მათთან ღია ხასიაღის ინდივიდუალური ინტერვიუებიდან გამომდინარე, ნაკლებად სტრუქტურირებული მეთოდები იძლევა რესპონდენტების მიერ თავისუფალი გამოხატვის საშუალებას, უკეთესად გამოხატავს მათი ნათქვამის მნიშვნელობას და რწმენას, მაგრამ ეს შეიძლება მიღწეული იქნას კვლევის საიმედოობის

ხარჯზე (Sapsford, Jupp, 1998: 119). მიუხედავად იმისა, რომ კითხვების კომპლექტი გამოყენებულია, როგორც ურთიერთობის დაწყების ამოსავალი წერტილი, ინტერვიუ მთავარ მიზნად ისახავს გამოკითხულთა ნაამბობიდან რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მიღებას კონკრეტული თემის გარშემო, რის შედეგადაც საბოლოო ჯამში, თითოეული ინტერვიუ შეიძლება იყოს ერთმანეთისაგან განსხვავებული.

სიზუსტე, საიმედოობა და პასუხისმგებლობა ხარისხობრივი კვლევის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი წერტილია. ისინი ხშირად ხდებიან კრიტიკის ობიექტები. ხარისხობრივი მეთოდოლოგიისა და მისი საშუალებით მიღებული მონაცემების საიმედოობა შეიძლება გაიზარდოს რესპონდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის შემოწმებით, მათი სხვა წყაროებთან და რეალობასთან შედარების გზით (Ядов, 2003, 423: 424). მიმდინარე კვლევის შემთხვევაში რესპონდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, როგორც რესპონდენტთა ხედვა მოვლენებისა და რეალობის შესახებ, მიღებული იქნა დამატებითი შემოწმების გარეშე. კიდევ ერთი გზა, რომლითაც ხარისხობრივი კვლევის საიმედოობა შეიძლება გაიზარდოს, არის "ინფორმაციით შევსება" (Ядов, 2003) - რაც უფრო მეტი რესპონდენტი აწვდის ერთი და იგივე ინფორმაციას, მით უფრო სანდოა მონაცემები. მოცემულ შემთხვევაში 78 ინტერვიუს მიმდინარე შესწავლა შეიძლება ჩაითვალოს "ინფორმაციით შევსებად" და ეს იძლევა მიღებული ინფორმაციის საიმედოობის გაზრდის საშუალებას.

არსებობს მოსაზრებები, რომ ხარისხობრივი კვლევა ნაკლებადაა დაკავშირებული ისეთ საკითხებთან, როგორიცაა საიმედოობა, ნამდვილობა და პასუხისმგებლობა. ხარისხობრივი მეთოდების გამოყენებისას მკვლევარები უფრო მეტად დაინტერესებული არიან ავთენტურობით - სოციალური ცხოვრების სამართლიანი, პატიოსანი და ბალანსირებული ანგარიშის შექმნით, იმ ადამიანების შეხედულებების თანახმად, რომლებიც ყოველდღიურად ცხოვრობენ ამით (Ядов, 2003; Neuman, 2000:171).

აქ კიდევ ერთი პრობლემატური საკითხი უნდა აღინიშნოს: სხვა პიროვნების მიერ გადმოცემული ნააზრევის მნიშვნელობის აღწერის სისტემა მკვლევართა მიერ წარმოადენს *მეორეულ ანგარიშს.* ასეთი გარე შეხედულებები არასდროსაა

თანხვედრაში *პირველად ანგარიშთან,* რომელიც მოცემულია შესწავლილი პირების მიერ. მაგრამ, რაც უფრო ახლოს არის ის გამოკითხული პირის პირველად ანგარიშთან, მით უკეთესია (Neuman, 2000: 74).

ინტერვიუები ჩატარდა რამდენიმე ძირითადი თემის გარშემო:

- ცხოვრება ქუჩაში გასვლამდე
- უსახლკარობის მიზეზები
- არსებული ვითარება

o ცხოვრების წყაროები

o საცხოვრებელი და ყოველდღიური ცხოვრების ორგანიზება

o ურთიერთობა ოჯახთან და მეგობრებთან

o კავშირები სოციალური დახმარების ინსტიტუტებთან

o კავშირები შრომით ბაზარზე

- საზოგადოებაში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულება და სამომავლო პერსპექტივები. (ინტერვიუს დეტალური მითითებებისთვის იხილეთ დანართი).

დღევანდელი სიტუაციის ამსახველი თემებიდან შერჩეული იქნა ისინი, რომლებიც იძლევიან უსახლკარო ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების გაცნობის და ასევე იმის განსაზღვრის საშუალებას, ჰქონდათ თუ არა მათ, სიღარიბის კულტურისთვის დამახასიათებელი ელემენტები - იყვნენ თუ არა უსახლკარო ადამიანები სიღარიბის კულტურის მატარებლები.

ყველა ინტერვიუ არ იძლევა სრულ ინფორმაციას ყველა საინტერესო საკითხზე. ეს ხდება რესპონდენტების განსაკუთრებული ხასიათის გამო. ისინი საკმაოდ ხშირად საუბრობდნენ ისეთ საკითხებზე, რომლებიც მათ სურვილს შეესაბამებოდა და არ იძლეოდნენ პასუხებს კონკრეტულ კითხვებზე. თუ მათ არ მოსწონდათ სასაუბრო თემა, ისინი წყვეტდნენ ინტერვიუებს. ამას ხსნიდნენ საუბრისთვის დროის ნაკლებობით. კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ის, რომ თეორიული ჩარჩოებიდან და კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე კითხვები „შეიძლება გამხდარიყო ბარიერი ინტერვიუს მიმცემი პირის საკუთარი ისტორიისთვის“ (Granfelt გრანფელტი, 1999: 101). ის ფაქტი, რომ ინტერვიუები არ იყო თანაბრად ინფორმატიული და არ გასცა პასუხი ყველა

საინტერესო კითხვას, კომპენსირებული იქნა ინტერვიუების შედარებით დიდი რაოდენობით. მაშინაც კი, თუ ზოგიერთი ასპექტი ზოგიერთ ინტერვიუში გამოტოვებულია, მათი ნახვა შესაძლებელია სხვაში.

ინტერვიუების ხანგრძლივობა იყო დაახლოებით 30-40 წუთი. იმ შემთხვევებში, როდესაც რესპონდენტები დათანხმდებონენ ინტერვიუს ჩაწერას, ეს ასეც კეთდებოდა. ყველაზე ხშირად ჩაწერა ხორციელდებოდა ღამის თავშესაფრებში დარჩენილ პირებთან ინტერვიუების დროს. სხვა შემთხვევებში კეთდებოდა შენიშვნები. ინტერვიუები აღებული იყო რესპონდენტების სალაპარაკო ენებზე - ლატვიურზე და რუსულზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ინტერვიუები გადაითარგმნა ლატვიურ ენაზე, რამაც შესაძლოა გამოიწვია მათი ავთენტური გამოხატულების დაკარგვა, მაგრამ არა მნიშვნელობისა.

ინტერვიუ ჩატარდა წინამდებარე დოკუმენტის ავტორისა და ლატვიის უნივერსიტეტის *სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის სასწავლო პროგრამების* სტუდენტების და ასევე, ლატვიის სოფლის მეურნეობის უნივერსიტეტის *ორგანიზაციების და საჯარო ადმინისტრაციის სოციოლოგიის* სასწავლო პროგრამის სტუდენტების მიერ. სტუდენტებს ზოგადად გააცნეს ინტერვიუ; ზოგიერთმა მათგანმა მეთოდები ასევე გამოიყენა სასწავლო ნაშრომებისთვის. მიუხედავად ამისა, სტუდენტებს მიეცათ კონკრეტული ინსტრუქციები - სად უნდა მოეძებნათ რესპონდენტები, რის შესახებ იყო ინტერვიუ. მათ მისცეს ინტერვიუს მიმოხილვა - ძირითადი თემები, მინიშნება, თუ როგორ ენდა მიიღოთ საუკეთესო ინფორმაცია ინტერვიუდან. ასევე განიხილა ეთიკის საკითხები, ყურადღება გამახვილდა პატივისცემაზე, კონფიდენციალობაზე, ანონიმურობასა და სხვა საკითხებზე.

ინტერვიუ არ მოიცავს რესპონდენტის მიერ საკუთარი ამბის თხრობას, და ინტერვიუერის მიერ მის მოსმენას. ეს არის უფრო დიალოგი, რესპონდენტსა და ინტერვიუერს შორის. ბევრი ავტორი აღწერს თანაგრძნობის გამოხატვის მნიშვნელობას, რაც ხელს უწყობს პროცესის მიმდინარეობისას (Granfelt, 1999; Quaglia, 2005; გრანფელტი, 1999; ქუაგლია, 2005), ამავე დროს აუცილებელია გარკვეული ნეიტრალიტეტის დაცვა იმისთვის, რომ მინიმუმამდე დავიდეს მიღებული მონაცემებზე ამ ურთიერთკავშირის შესაძლო გავლენა. ინტერვიუერი უნდა იმყოფებოდეს

განცალკევებით, რათა ინტერვიუ წარმართოს კვლევის ინტერესების შესაბამისად. ინფორმანტის საუბარში ჩაბმა და ამავდროულად განცალკევებით ყოფნა წარმოადგენს ხარისხობრივი მეთოდის სირთულეს (Sapsford Jupp, 1998; 117). რამდენადაც მონაცემთა შეგროვების პროცესი მოითხოვს პირად ურთიერთკავშირს ინტერვიუერსა და რესპოდენტს შორის, გარდაუვალია სუბიექტურობა, განსაკუთრებით ხარისხობრივი კვლევის დროს. ამასთან მიმართებაში, რამდენიმე ინტერვიუერი სხვადასხვა პირადი ცხოვრების ისტორიებით, წარმოადგენს უპირატესობას და არ არის დეფიციტური.

საერთო ჯამში, აღებული იქნა 109 ინტერვიუ, საიდანაც 78 იყო გამოყენებული კვლევითი მიზნებისთვის (რესპონდენტთა სია იხ. ცხრილ 3-ში). სირთულეს წარმოადგენდა ის, რომ ზოგჯერ ვიზუალურად შეუძლებელი იყო განსხვავების დანახვა მათხოვრებში, რომლებსაც გააჩნდა საცხოვრებელი სახლი და რომლებიც იყვნენ უსახლკარონი. თავდაპირველად, ინტერვიუს დაწყებისას, ყოველთვის არ იყო შესაძლებელი უსახლკარო ადამიანთა დიფერენცირება. რამდენადაც ისინი ტარდებოდა რამდენიმე ინტერვიუერის მიერ და შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი უსახლკარო ადამიანი ორჯერ იქნა გამოკითხული. ასეთ შემთხვევებში, ანალიზისთვის შერჩეულ იქნა უფრო მეტად ინფორმატიული ინტერვიუები. ამ მიზეზის გამო, 14 ინტერვიუ კვლევისთვის გამოუსადეგარი აღმოჩნდა, ვინაიდან ისინი აღებულ იქნენ საცხოვრებელი სახლის მქონე მათხოვრებისგან ან წარმოადგენდნენ უკვე არსებული ინტერვიუების ანალოგს. 17 ინტერვიუ იყო ძალიან მოკლე და ინფორმაციულად არასაკმარისი, შეიცავდნენ მხოლოდ ზედაპირულ ინფორმაციას და მათში არ იყო გამოვლენილი უსახლკარობის და ქუჩაში ცხოვრების მიზეზები. ეს ინტერვიუები ასევე არ იქნა გაანალიზებული.

გამოყენებული იქნა არა- შემთხვევითი, არამრდ, მიზანმიმართული ნიმუში (Neuman, 2000; 196-198). რესპონდენტების შერჩევის მთავარი კრიტერიუმი იყო უსახლკარო ზრდასრული ადამიანები.

უსახლკარო ადამიანებისგან ინტერვიუები აიღეს ძირითადად რიგაში, ლატვიის დედაქალაქში. დასავლელი ექსპერტების თანახმად, უსახლკარობა აღმოსავლეთ

ევროპულ ქვეყნებში დედაქალაქების პირველი და უმთავრესი პრობლემაა, სადაც სოციალური კავშირები და ქსელები უფრო სუსტია (Kore,2003). ამიტომაც ინტერვიუები ძირითადად რიგაში იქნა ჩატარებული - 67 რესპოდენტი. რამდენადაც უსახლკარო ადამიანები შეიძლება შეგხვდეს არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ რეგიონებშიც, ამიტომ რამდენიმე ინტერვიუ აღებულ იქნა პატარა ქალაქებში: 6- იელგავაში, 2- რეზეკნეში,1- ოგრეში, 1- ლიმბაზიში და 1- ციოსისში (დაუგავპილსი- სიდიდით მეორე ქალაქი ლატვიაში, არ ყოფილა ჩართული ნიმუშში, რადგან უსახლკარობა იქ არ წარმოადგენდა დიდად აქტუალურ საკითხს. იქ შექმნილი იყო სოციალური საცხოვრებელი 280 ადგილით (sociala palidziba Latvuja, 2000: 162), სადაც მის მაცხოვრებლებს შეეძლოთ მათი მისამართების დარეგისტრირება. ადამიანები რეგისტრირებული მისამართებით არ ითვალებიან უსახლკაროდ.

რესპონდენტებს ეძებდნენ ღამის თავშესაფრებში, ქუჩებში, მარკეტებში, გვირაბებში, სადგურებზე, პარკებსა და საავადმყოფოებში, ანუ იმ ადგილებში, სადაც ამ კატეგორიის ადამიანები იმყოფებიან ძირითადად. ღამის თავშესაფრებში ასეთი პირების ნახვა და მათგან ინტერვიუს აღება შედარებით ადვილია, თუმცა, გათვალისწინებული იქნა ის ფაქტი, რომ ყველა უსახლკარო ადამიანი არ მიდის თავშესაფარში, ბევრი მათგანი არ არის აფილირებული ოფიციალურ ინსტიტუტებში. ამიტომ, ინტერვიუები აღებული იქნა სხვადასხვა ადგილებში, სადაც ისინი უფრო ხშირად იმყოფებოდნენ.

ნიმუში მოიცავს 58 მამაკაცის და 20 ქალის ინტერვიუს. მამაკაცთა უმრავლესობა 50-59 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება, ქალები- 40-49 წლამდე ასაკის ჯგუფს. იმის გამო, რომ ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს უსახლკაროთა შესახებ, ძნელია მსჯელობა, თუ რამდენად შეესაბამებოდა ნიმუში რეალობას. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში უსახლკაროთა წარმომადგენლობა არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი, რამდენადაც ამ კვლევის შედეგად უსახლკარობის მიზეზებისა და უსახლკაროთა ცხოვრების შესახებ მიღებულ მონაცემებს.

უსახლკარო ადამიანები არ ურთიერთობენ მოსახლეობის დანარჩენ ნაწილთან. თუმცა, ზოგიერთი მათგანი აფასებს სხვა ადამიანების მათდამი, მათი ცხოვრებისა და შეხედულებებისადმი ინტერესს. ზოგი მათგანი გულგახსნილია და სურს თავისი

ისტორიების მოყოლა. მაგრამ მათი ბუნებიდან გამომდინარე, ყველა რესპონდენტი არ იყო გახსნილი მოსაუბრე და ინტერვიუერთან კონტაქტში შესვლის მსურველი. ხშირ შემთხვევაში ისინი უარყოფითად პასუხობდნენ და შიშს და უნდობლობას გამოხატავდნენ ზოგადად საზოგადოებისადმი და ძირითადად კი ოფიციალური პირების მიმართ.

მამაკაცი: რა სააგენტო? რა კითხვები? რა გინდა? არაფერია სალაპარაკო, მე უსახლკარო ვარ, მაგრამ არსად არ მივდივარ. აქ არ არიან მეძავები, ჩვენ არ ვაკეთებთ ამას, მე არ ვაპირებ , რაიმე გითხრა! წადი! თუ გჭირდება, დაწერე რამე, შენ თვითონ არ შეგიძლია ამის გაკეთება?

ულდისი (დაახლოებით 60 წლის): მე არ წავალ აქედან, მე კარგად ვარ აქ, მე არაფერი გამაჩნია, მარტო დამტოვე!

ისინი მხოლოდ მას შემდეგ თანხმდებოდნენ საუბარზე, როდესაც გაიგებდენ, რომ ინტერვიუერები არ იყვნენ პოლიციის ან სოციალური სამსახურების წარმომადგენლები, რომ მათ მხოლოდ ინტერვიუს აღება უნდოდათ და არ აპირებნენ მათ პოლიციაში ან თავშესაფარში წაყვანას. ზოგ შემთხვევაში ისინი სტუდენტებისგან ითხოვდნენ საუბრისთვის დახარჯული დროის „კომპენსაციას“ - სიგარეტს და ცოტაოდენ ფულს. მისი მიღების შემდეგ ისინი უფრო თავისუფლად ჰყვებოდენ საკუთარ ამბავს. როდესაც სტუდენტმა მისცა მას 0,50 ლ, იგი კვლავ მიიწვიეს - „ხვალ კიდევ მოდი, მოიტანე ფული, და მე გიამბობ კიდევ სხვა რამეს “.

ამის მიუხედავად, ინტერვიუერები იყვნენ საკმარისად პროფესიონალები, რათა მოეხერხებინათ უსახლკარო ხალხის მიერ შექმნილი ბარიერების გადალახვა, სათანადო მიდგომის მონახვა და საჭირო ინფორმაციის მიღება. დაფიქსირდა მხოლოდ ორი უარის შემთხვევა.

მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა ილუსტრაციული მეთოდი (Neuman 2000, 427). ინტერვიუების მონაცემები გაანალიზდა პირველ და მეორე თავებში წარმოდგენილი თეორიული პერსპექტივის თემების - სიღარიბისა და უსახლკარობის მიზეზებთან (ინდივიდუალური, სტრუქტურული და კულტურული) დაკავშირებით. ანალიზის შედეგად მიღებული კატეგორიების და ქვე-კატეგორიების უფრო დეტალური

მიმოხილვა მოცემულია ნახ. 3-ში. საილუსტრაციო მეთოდი, როგორც მონაცემთა ანალიზის მეთოდი, მოცემულ შემთხვევაში გულისხმობს იმას, რომ სიღარიბისა და უსახლკარობის წინასწარ არსებული თეორიულ განმარტებებთან ერთად მოცემულიყო *ცარიელი ყუთი,* რომელიც უნდა შევსებულიყო მტკიცებულებებით. ამისათვის შერჩეული იქნა უფრო მეტად შესაბამისი შემთხვევები, რომლებშიც გამოიკვეთა ანალიზის შედეგად შერჩეული კატეგორიები და ქვეკატეგორიები.

უსახლკარობის გამომწვევი მიზეზები

ინდივიდუალური	**სტრუქტურული**	**კულტურული**
• **გენეტიკური არასრულფასოვნება და ფსიქიური დარღვევები** • **ფსიქოლოგიური პრობლემები - "პრობლემური ოჯახები"** სიღარიბე უკანონო ან ნორმებისგან გადახვეული ქცევა თანამშრომლობის უუნარობა მოუმწიფებლობა • **ადამიანური კაპიტალის ნაკლებობა** არასაკმარისი განათლება, პროფესიონალური უნარები არასაკმარისი სოციალური	• **სოციალური უზრუნველყოფის სისტემა** არასაკმარისი დაგვიანებული მხარდაჭერა • **ეკონომიკის ორგანიზება** უმუშევრობა პირველადი და მეორადი შრომის ბაზარი • **სიღარიბის ფუნქციები** • **დისკრიმინაცია** •**განსახლების პოლიტიკა** დენაციონალიზაცია პრივატიზაცია ხელმისაწვდომობა შესაძლებლობა წვდომა	.**ურთიერთობა დომინანტურ საზოგადოებასთან** სოციალურ დაწესებულებებთან ურთიერთობის ნაკლებობა ურთიერთობის ნაკლებობა გარე სამყაროსთან ლოკალიზმი . **ოჯახური მაასიათებლები** არამყარი ოჯახური კავშრი კოჰაბიტაცია მცირე რესურსების გამო შეჯიბრი . **დომინანტური საზოგადოებისგან**

უნარები **. დამოკიდებულება** **. არჩევანი**		**განსხვავეული ქცევის წესი,ღირებულებები დ დმოკიდებულებები** მარგინალზაცია სამუშაოსთან, განათლებასთან, ცხოვრების წესთან, მისწრაფებებთან და მომავალთან დაკავშირებით; დანაკარგთან და მარგინალობასთან შეგუება

ნახ. 3. ანალიტიკური კატეგორიები და ქვე-კატეგორიები

4. სოციალური უზრუნველყოფის სისტემა ლატვიაში

ეს თავი შეეხება ლატვიის სოციალური უზრუნველყოფის სისტემას, რომელიც უმთავრეს ყურადღებას უთმობს უსახლკაროების სოციალურ დახმარებას და მომსახურებას.

4.1 . კანონმდებლობა

ადამიანთა კეთილდღეობა, სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური მხარდაჭერა მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის უფლებებთან. სოციალური უფლებები, რომელთაც ადამიანთა უფლებების სტატუსი შედარებით გვიან - მხოლოდ მეოცე საუკუნის შუა პერიოდში მიიღეს - წარმოადგენენ ადამიანის უფლებათა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროს. საცხოვრებელი ადგილი, დასაქმება და სოციალური

დაცვა ყველასთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე პოლიტიკური უფლებები, მაგალითად, არჩევნებში მონაწილეობის უფლება და უფლება, იყოს არჩეული. მიუხედავად ამისა, სოციალური უფლებების შინაარსი, გარანტიები და მისი დაცვა არ არის ისე ნათლად განსაზღვრული, როგორც პოლიტიკური უფლებები. არსებობს მოსაზრებები, რომ სოციალური უფლებები არ წარმოადგენენ იურიდიულ ხასიათის უფლებებს, ის მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან ნებაყოფლობით დადგენილი დახმარებაა (იხ.:Biksiniece, 2003). მიუხედავად ამისა, სოციალური და ეკონომიკური უფლებები შედის ბევრ კანონსა და რეგულაციაში, როგორც საერთაშორისო, რომელთაგან ზოგიერთი მათგანი ლატვიისთვისაც სავალდებულოა, ასევე ეროვნულ რეგულაციებში.

არსებობს უამრავი კანონი და სხვა ნორმატიული აქტები, რომლებიც შემუშავებული არიან სოციალურ პროცესებზე მიზანმიმართული ზემოქმედებისა და მათი რეგულირებისთვის. ლატვიაში მათი იერარქია ასეთია:

- ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუცია
- საერთაშორისო რეგულაციები და ხელშეკრულებები
- ეროვნული კანონები
- მინისტრთა კაბინეტის მიერ გამოცემული დებულებები
- ადგილობრივი მმართველობის მიერ გამოცემული დებულებები

ეს ნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართლებრივი აქტები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას; ეროვნული კანონები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და კონსტიტუციას. მინისტრთა კაბინეტის მიერ გამოცემული დადგენილებები განსაზღვრავს კანონების შესრულების წესებს, ხოლო ადგილობრივი მმართველობის მიერ გამოცემული დებულებები ადგენს კონკრეტულ მუნიციპალიტეტში ნორმატიული დოკუმენტაციის განხორციელებას.

უსახლკარობა აღიარებულია, როგორც პრობლემა უმეტეს განვითარებულ ქვეყნებში და მათი მოგვარება ხდება სხვადასხვა გზით. შემუშავებულია კანონები და რეგულაციები, რომლებიც მიმართულია პრობლემის თავიდან ასაცილებლად და მის გადასაჭრელად, შექმნილი და დანერგილია სარეაბილიტაციო პროგრამები. ეს

საქმიანობა უსახლკარო ადამიანებთან მიმართებაში ლატვიაში მხოლოდ საწყის ეტაპზეა. არ არსებობს არავითარი სპეციალური ნორმატიული აქტი ლატვიაში უსახლკარობასთან დაკავშირებით, თუმცა შესაძლებელია ისეთი მუხლებისა და პარაგრაფების პოვნა, რომლებიც შედარებით უფრო მეტად შეეხება უსახლკარო ადამიანებს - მათი სოციალური და ეკონომიკური უფლებების გარანტიას, განსაზღვრავს მათ სამართლებრივ დაცვას და გამოიყენება სოციალური მომსახურებისა და სოციალური დახმარების უზრუნველყოფისთვის.

1990 წლის 4 მაისს „ლატვიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ დეკლარაციასთან“ ერთად, ლატვიამ ასევე დაამტკიცა ორმოცდათერთმეტი საერთაშორისო დოკუმენტი, მათ შორის "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია". დეკლარაცია განსაზღვრავს სოციალური დაცვის უფლებას (მუხლი 22), სამუშაოსა და ადამიანური ღირსების დაცვის უფლებას (მუხლი 23), ადამიანის და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის ადეკვატური, სტანდარტების შესაბამისი ცხოვრების უფლებას, რაც მოიცავს საკვებს, ტანსაცმელს, საცხოვრებელ ადგილს, სამედიცინო და აუცილებელ სოციალურ მომსახურებას (მუხლი 25) ("ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია").

საცხოვრებელი ადგილის უფლება ასევე განსაზღვრულია "ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო შეთანხმებაში“, რომელიც 1992 წლიდან სავალდებულოა ლატვიისთვის. ამ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შეთანხმების ქვეყნები აღიარებენ ადამიანების ცხოვრების სტანდარტების შესაბამისი პირობების უფლებას, რომელიც მოიცავს კვების, ტანსაცმლისა და საცხოვრებლის და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების უფლებას (Starptautikais pakts par ekonomiskajam, socialajam on kulturas tiesibam 11. Pants).

საცხოვრებელი ადგილის უფლება ასევე დაცულია „ევროპის სოციალური ქარტიით“, რომელსაც ლატვია შეუერთდა 2001 წელს (მუხლი 16).

”ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“ -ში საცხოვრებლის უფლება პირდაპირ არ არის ნახსენები, მაგრამ არსებობს სხვა უფლებები, რომლებიც არანაკლებ მნიშვნელოვანია და გარკვეულწილად

დაკავშირებულია საცხოვრებლის უფლებასთან. კონვენციაში აღნიშნულია, რომ ყველას აქვს თავისუფლებისა და უსაფრთხოების (მუხლი 5.)უფლება, პირადი, ოჯახური ცხოვრების და მისი სახლის პატივისცემის მოთხოვნი უფლება (მუხლი 8).

საცხოვრებლის უფლება არ არის შეტანილი ასევე ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუციაში (LV, 1993, 43, 01.07), მაგრამ აქ მოხსენიებულია ბევრი სხვა უფლება, რომლებიც შეეხება ლატვიის ყველა მოქალაქეს. კონსტიტუცია ადგენს, რომ:

- ყველა ადამიანს აქვს პირადი ცხოვრების, საცხოვრებლის და კორესპონდენციის ხელშეუხებლობის უფლება (პუნქტი 96).
- ლატვიის ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ყველა ადამიანს აქვს თავისუფლად გადაადგილების და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება (97 მუხლი).
- ყველა ადამიანს აქვს საკუთრების უფლება. საკუთრება არ უნდა იქნას გამოყენებული საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ. საკუთრების უფლების შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონის შესაბამისად. მისი ჩამორთმევა საზოგადოებრივი მიზნებისთვის დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში კონკრეტული კანონის საფუძველზე და სამართლიანი კომპენსაციის სანაცვლოდ (პუნქტი 105).
- ყველა ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად აირჩიოს სამუშაო მათი შესაძლებლობებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად. აკრძალულია იძულებითი შრომა. არ ითვლება იძულებით შრომად მუშაობა კატასტროფებისა და მათი ეფექტების წინააღმდეგ პროცესში მონაწილეობისას და მუშაობა სასამართლო დადგენილების შესაბამისად (პუნქტი 106).
- ყველა ადამიანს აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება ხანდაზმულ ასაკში, მუშაობისთვის საჭირო უნარების შეზღუდულობისას, უმუშევრობის და სხვა შემთხვევებში, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონით (მუხლი 109).
- სახელმწიფომ უნდა დაიცვას ყველა ადამიანის უფლება, იცხოვროს სასურველ გარემოში, გარემო პირობების შესახებ ინფორმაციის მიწოდების გზით და გარემოს დაცვა - შენარჩუნების ხელშეწყობით (მუხლი 115).

მუდმივი საცხოვრებელი ადგილის უფლება შედის "ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ კანონში" (LV, 1998, 199/200 (1260/1261), 08.07) (სექცია 10, ნაწილი 3). კანონი განსაზღვრავს ადგილობრივი ხელისუფლების ვალდებულებებს თავშესაფრის, სითბოს, ტანსაცმლისა და შესაბამისი კვების გარანტიასთან დაკავშირებით (სექცია 66, ნაწილი 2, პუნქტი 1).

ლატვიაში სოციალური უფლებების დაცვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მუშაობისას. 1994 წელს მიღებული „ადგილობრივი ხელისუფლების შესახებ“ (LV, 1994, 61 (192) 24.05.) კანონი განსაზღვრავს ლატვიის ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის ზოგად დებულებებს და ეკონომიკურ საფუძველს, ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციას ამ საკითხებთან მიმართებაში (სექცია 1). კანონი ადგენს, რომ ადგილობრივი მთავრობები ვალდებული არიან, განახორციელონ რამდენიმე სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია, მათ შორის, მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვაა. ქალაქის და სოფლის ადგილობრივი თვითმმართველობების პასუხისმგებლობები შემდეგია:

- მოსახლეობისთვის კომუნალური მომსახურების უზრუნველყოფა (წყალმომარაგება და კანალიზაცია, გათობა, მუნიციპალური ნარჩენების მართვა, ნარჩენი წყლის მოგროვება და გაწმენდა (სექცია 15, ნაწილი 1);
- ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა (სექცია 15 ნაწილი 6);
- სოციალური დახმარების (სოციალური ზრუნვის) უზრუნველყოფა (ღარიბი და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის სოციალური დახმარების გაწევა), ხანდაზმული ასაკის პირთათვის მოხუცებულთა სახლებში ადგილების უზრუნველყოფა, ობოლებისა და მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისთვის სასწავლო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ადგილების უზრუნველყოფა, ღამის თავშესაფრების მოწყობა უსახლკაროებისთვის და სხვა (სექცია 15, ნაწილი 7);
- მოსახლეობისთვის დახმარების გაწევა საცხოვრებელ სახლებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში (სექცია 15, ნაწილი 9);

კანონით დადგენილია, რომ რაიონების ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციაში შედის ასევე უსახლკაროთა თავშესაფრების შექმნა და მისი შენახვა (სექცია 16).

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მნიშვნელოვან ფუნქციად ითვლება მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფა. ამისათვის შემუშავდა სპეციალური კანონი „სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის შესახებ“ (LV, 2001, 187 (2574), 22.12). კანონი, რომელიც 2001 წელს გამოვიდა, ადგენს დახმარების ფორმებს, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაცემული მატერიალური დახმარების ჩათვლით. კანონი ასევე განსაზღვრავს იმ პირებს, რომლებსაც პრიორიტეტი ენიჭებათ საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფის საკითხში (სექცია 14). აქ აქცენტი კეთდება უსახლკარობის რისკ-ჯგუფებზე - ობოლ და მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებსა და ციხიდან გათავისუფლებულ პირებზე.

ჩვენ შეგვიძლია, ლატვიის სიტუაციაზე დაკვირვებით, დავადგინოთ, რომ უფრო და უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადგილობრივ მთავრობებს დამატებითი დაფინანსების გარეშე; ამის გამო არსებობს ობიექტური პრობლემები მოსახლეობის სოციალური უფლებების სრულად დაცვის საკითხში. რეალობა გვიჩვენებს, რომ ყოველთვის არ ხდება ადამიანის უფლებების სრულყოფილი დაცვა. მაგალითად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ვრცელდება ინფორმაციები, ადამიანებისა და მათ შორის ბავშვებიანი ოჯახების ვერდიქტების თანახმად გამოსახლების შესახებ. ამდენად, უსახლკარობის რისკი იზრდება. ზოგჯერ დამსაქმებლებს არ სურთ, საპატიმროებიდან დაბრუნებული პირების ან იმ ადამიანთა დაქირავება, რომლებიც უმუშევარნი იყვნენ დიდი ხნის განმავლობაში. ადამიანებს მუდმივი მისამართის გარეშე, ასევე აქვთ პრობლემები სამუშაოს პოვნაში. ამ ადამიანებს, ძირითადად, არ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, სამუშაო გამოცდილება, მაგრამ ასევე სოციალურად დომინირებული სტერეოტიპები და განწყობა თამაშობს თავის როლს.

ადამიანის უფლებების დასაცავად საჭიროა მექანიზმის შემუშავება, რათა ნებისმიერ ადამიანს შეეძლოს შელახული უფლებების გამო პატივისცემის მოთხოვნა.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ზუსტი სისტემის შექმნა, რომელიც დაეხმარება ნებისმიერ ადამიანს, დაიცვას მისი დარღვეული უფლებები და ეს სისტემა თავისუფლად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი კატეგორიის მაცხოვრებლებისთვის, პიროვნების მატერიალური ან სოციალური სტატუსისა და სხვა ფაქტორებისგან დამოუკიდებლად (Cilvektietibas pasaule ... 2000 : 293). თუმცა, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სოციალური უფლებების დაცვის შესაძლებლობები სუსტია არა მხოლოდ ლატვიაში, არამედ საერთაშორისო დონეზეც. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეუძლებელია სოციალური უფლებების დარღვევის გამო სარჩელის შეტანა (Biksiniece ბიკსინიეისი 2003). ასევე აღნიშნული უნდა იქნას ისიც, რომ უსახლკაროები წარმოადგენენ მოსახლეობის იმ კატეგორიას, რომელიც არ იცნობენ თავის უფლებებს და ოფიციალურ ინსტიტუტებში დახმარებას ითხოვენ სურვილის გარეშე.

სოციალური უფლებების უზრუნველყოფის საქმეში მნიშვნელოვანი როლი აქვს სოციალური უზრუნველყოფის სისტემას, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას გარკვეულ დონეზე. თითოეულ ქვეყანას აქვს სოციალური დაცვის საკუთარი სისტემა და მათი განვითარება განხვავებულია, მაგრამ ისინი ყველგან იძლევიან სოციალური რისკების მქონე მოსახლეობის კომპენსაციის დონის დახასიათებას, ასევე გვიჩვენებენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უზრუნველყოფას საარსებო საშუალებებით.

სოციალური უსაფრთხოების სისტემის განვითარების და მუშაობის პრინციპები ლატვიაში გასაზღვრულია „სოციალური დაცვის შესახებ“ „ქოლგა“ კანონით (LV, 1995, 144 (427) 21.09), რომელიც ამოქმედდა 1995 წელს. კანონი განსაზღვრავს ზოგად სოციალურ უფლებებსა და ვალდებულებებს. სოციალური უზრუნველყოფის სისტემა ლატვიაში მოქმედებს შემდეგი ძირითადი პრინციპების თანახმად: სოციალური მომსახურების თანაბარი უზრუნველყოფა სქესის, რასის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის, სოლიდარობის მიუხედავად; სოციალური დაზღვევა და დახმარება; პრევენცია; ავტონომია და თვითგამორკვევა; ინდივიდუალური მიდგომა (მე-2 პუნქტი). კანონის მიზანს წარმოადგენს სოციალური მომსახურების დროულად გაწევა და ჩართული ინსტიტუტების ადვილი ხელმისაწვდომობა (პუნქტი 1).

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ამავდროულად ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას წარმოადგენს საკუთარი სიცოცხლისა და სოლიდარობის დაცვის სისტემის შექმნა სიცოცხლის რისკებთან დაკავშირებით. საყოველთაოდ აღიარებული სიცოცხლის რისკებია: ჯანმრთელობის დაცვა, ავადმყოფობა, უმუშევრობა, ტრავმა ან პროფესიული დაავადება, ოჯახის რჩენა, მშობიარობა, სიკვდილი. ასევე არსებობს დისკუსია სხვა სოციალურ რისკებზე, როგორიცაა, მაგალითად სიღარიბე და მოხუცებულებზე ზრუნვა (Sociala darba terminologijas vardnica, 2000; 187). უსახლკარობა განსაკუთრებულად არ არის მოხსენიებული, მაგრამ კანონების ზოგიერთი ნაწილი და პუნქტები შეიძლება უკავშირდებოდეს უსახლკარო პირებს. "სოციალური უზრუნველყოფის შესახებ" კანონი განსაზღვრავს, რომ თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, მიიღოს დახმარება ხარჯებისათვის, რომელიც დაკავშირებულია კანონის თანახმად ვარგისი საცხოვრებელით უზრუნველყოფასა ან საცხოვრებელი ადგილის ქირავნობასთან, (მუხლი 9). ეს კანონი ასევე ადგენს, რომ ის ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია, საკუთარი ძალისხმევით არსებობა, ან განსაკუთრებული სირთულეების გადალახვა და არ იღებს სხვა ადანიანისგან დამაკმაყოფილებელი რაოდენობის დახმარებას, აქვს უფლება მიიღოს პირადი მატერიალური დახმარება, რომელიც შეესაბამება მის მოთხოვნებს, ანიჭებს თვითდახმარების შესაძლებლობას და ხელს უწყობს ადამიანის ჩართულობას სოციალურ ცხოვრებაში (მუხლი 11).

პრინციპები, რომლებიც მოცემულია „სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონში, უფრო დაკონკრეტებულია სხვა კანონებში, ”კაბინეტის” რეგულაციებსა და სოციალური უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ სხვა ნორმატიულ დოკუმენტებში.

„სოციალური დახმარების შესახებ“ კანონი (LV. 1995(459)14.11) მიღებული იქნა 1995 წელს და გაუქმდა 2003 წელს, როდესაც ამოქმედდა „სოციალური მომსახურების და სოციალური დახმარების შესახებ” ახალი კანონი . ეს კანონი განსაკუთრებით უნდა იქნას აღნიშნული, რადგან მასში მოცემული იყო უსახლკარო ადამიანის განმარტება, რაც არ არის ნაპოვნი სხვა შესაბამის კანონებში, უსახლკარო ადამიანი განისაზღვრა, მიდმივი საცხოვრებელი ადგილის (მისამართის) გარეშე მყოფ პიროვნება. ამ კანონით ასევე დადგენილ იქნა უსახლკაროთათვის სოციალური დახმარების გაწევა, თუმცა შეზღუდული

იყო სხვადასხვა ბიუროკრატიული პროცედურებით. მაგალითად, სოციალურ მუშაკებს არ ჰქონდათ საცხოვრებელი ადგილისა და პირადი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების (პასპორტის) არმქონე პირისთვის დახმარების გაწევის უფლება. ამ კანონის თანახმად, სოციალური დახმარების მიღების უფლება ჰქონდათ ლატვიის მოქალაქეებს და არა-მოქალაქეებს, უცხოელებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომელთაც ჰქონდათ პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი, გარდა იმ პირებისა, რომლებმაც მიიღეს დროებითი ბინადრობის ნებართვა (პუნქტი 5). სოციალურ დახმარებას უზრუნველყოფდა მუნიციპალიტეტი, თუ პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი რეგისტრიტებული იყო მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (პუნქტი 12).

ამდენად, უსახლკაროები, ფაქტობრივად, აიღებდნენ სოციალურ დახმარებას, თუ ისინი შეესაბამებოდნენ კანონით განსაზღვრულ განმარტებას, ხოლო თუ იყვნენ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის გარეშე, მაშინ მათ არ ჰქონდათ სოციალური დახმარების მიღების უფლება, რადგან ამის დასაშვებობა დაკავშირებული იყო საცხოვრებელი ადგილის ქონასთან. პირი გარკვეული (რეგისტრირებული)საცხოვრებელი ადგილის გარეშე ვერ დასაქმდებოდა, მას არ ჰქონდა სოციალური, ჯანმრთელობის დაზღვევის და სხვა სერვისების მიღების შესაძლებლობა. ასეთ პირს არ ჰქონდა საცხოვრებელი ადგილის არჩევის , თავისუფალი გადაადგილებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და ა.შ. საკანონმდებლო დოკუმენტაციებში იყო რამდენიმე შეუსაბამობა, როგორიცაა, მაგალითად ის, რომ ერთის მხრივ, ყველას აქვს თავისუფლების, სიცოცხლისა და სოციალური დახმარების უფლება, მეორე მხრივ, ისინი სოციალური დახმარების გასაწევად მოითხოვდნენ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ქონას და კონკრეტულ მუნიციპალიტეტში მუდმივ საცხოვრებელ ადგილს.

„სოციალური მომსახურების და სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის მიზანს (LV, 2002, 168 (2746) 19.11) წარმოადგენს სოციალური მუშაობის, სოციალური დაცვის, სოციალური რეაბილიტაციის (შემდგომში-ასევე სოციალური მომსახურების), სოციალური დახმარების უზრუნველყოფის და მიღების ძირითადი პრინციპების დადგენა; იმ პირთა დადგენა, ვისაც აქვს ამ მომსახურების და დახმარების მიღების უფლება, ასევე სოციალური დახმარებისა და სოციალური სარეაბილიტაციო სერვისების დაფინანსების

პრინციპების განსაზღვრა(სექცია 2). ამ მომსახურებისა და სოციალური დახმარების მიღება შეუძლიათ ლატვიის მოქალაქეებსა და არა-მოქალაქეებს, უცხოელებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს პირადი საიდენტიფიკაციო ნომრის ქონის შემთხვევაში (სექცია 3). კანონით დადგენილია, რომ სოციალური მომსახურების გაწევა ხდება მხოლოდ სოციალური მუშაკის მიერ პირის ინდივიდუალური საჭიროებებისა და რესურსების შეფასების საფუძველზე. სოციალური დახმარებისა და სოციალური მომსახურების მიღების ძირითადი წინაპირობა არის შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი. ღამის თავშესაფრისა და საკონსულტაციო მომსახურება ამის გარეშეცაა შესაძლებელია - იმ ადგილზე, სადაც არის პირი დარჩენილი (სექცია 9). კანონი ადგენს სოციალური მუშაობის უზრუნველყოფისა და მიღების ძირითად პრინციპებს, როგორიცაა, მაგალითად, მომხმარებლის ინდივიდუალური საჭიროებების და რესურსების შეფასება; მომსახურების გაწევა მომხმარებლის საცხოვრებელ ადგილზე ან მასთან მაქსიმალურად ახლოს; კლიენტთა პრობლემების გადაწყვეტაში სპეციალისტების გუნდური მუშაობა, ინტერ - დისციპლინური და ინსტიტუციური თანამშრომლობა.

კანონის თანახმად, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს აქვს დიდი პასუხისმგებლობა: ადგილობრივი ხელისუფლების ორგანომ, რომლის ტერიტორიაზე პირს დარეგისტრირებული აქვს საცხოვრებელი ადგილი, უნდა უზრუნველჰყოს მისი სოციალური დახმარება და სოციალური მომსახურება. პირები, რომელთა მისამართის დადგენა შეუძლებელია (უსახლკაროები), ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებიდან, რომლის ტერიტორიაზეც რჩებიან ისინი, იღებენ კონსულტაციებს და ინფორმაციას. ადგილობრივი ხელისუფლება ასევე განსაზღვრავს და გადაწყვეტს დახმარების მინიჭების პროცედურას და თანხებს. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ "სოციალური მომსახურებისა და სოციალური დახმარების შესახებ" კანონი მიზნად ისახავს უსახლკაროებისთვის სოციალურ მომსახურებებსა და სოციალურ დახმარებას სხვა კანონებზე უფრო მეტად, ის განსაზღვრავს მომსახურების და დახმარების ძირითად პრინციპებს. მათი უზრუნველყოფის წესებს, პრინციპებს, მისაღებ თანხებს და ასევე დამხმარე ინსტიტუტებს, ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება ადგილობრივ

ხელისუფლებას, მაგრამ ხშირად დახმარება ვერ აღწევს ადრესატამდე - უსახლკარომდე, ამ შემთხვევაში - ინფორმაციისა და ბიუროკრატიული პროცედურების ნაკლებობის გამო.

ზემოთ მოყვანილი კანონების გარდა, არსებობს სხვა კანონებიც, რომლებიც ასევე მნიშვნელოვანია უსახლკარო ადამიანებთან მუშაობისთვის, მაგალითად, კანონი "სახელმწიფო სოციალური დახმარების შესახებ" (LV, 2002, 168 (2743), 19.11), კანონი "უნარშეზღუდულ პირთა სამედიცინო და სოციალური დაცვის შესახებ" (LV, 1996, 178, (663) 2.10); საცხოვრებელი ადგილის შესახებ დეკლარაცია "(LV, 2002, 104 (2679), 10.07), ასევე, კანონი „სახელმწიფო პრობაციის სერვისის შესახებ (LV, 2003, 183, (2948), 30.12), რომელიც ძალაში შევიდა 2014 წელს. კანონის მე -15 მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფო პრობაციის სამსახურის კომპეტენციას, სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდგომ პერიოდში დახმარებისათვის, ასევე მის შემდეგ საქმიანობას:

- უსახლკარო პირებისთვის დროებითი საცხოვრებლის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- დახმარება სოციალურად ვალიდური სამუშაოს მოძებნაში;
- დახმარება საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მიღებაში;

ზუსტად ესაა ის ამოცანები, რომლებიც მნიშვნელოვანია უსახლკარობის პრევენციისა და უკვე უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანებთან მუშაობის დროს.

გარდა იმისა, რაც უკვე აღნიშნული იქნა, ადგილობრივი მთავრობის სოციალური დახმარების სისტემა რეგულირდება მინისტრთა კაბინეტის რეგულაციების ფარგლებში. ძალიან მნიშვნელოვანი რეგულაციებიდან უსახლკარო ადამიანებისთვის სოციალური მომსახურების და სოციალური დახმარების უზრუნველყოფის საკითხში, შეიძლება მოხსენიებული იქნას შემდეგი:

- „ოჯახის ან ცალკე მცხოვრები ადამიანების ღარიბად აღიარების პროცედურა“, რეგულაციები № 97, 25.02.2003. რეგულაციები ადგენენ შემოსავლების დონეს და რესურსებს, რომელთა ქვემოთაც ადამიანები შეიძლება ჩაითვალოს ღარიბად და ასევე, არეგულირებს რესურსის შეფასების პროცედურას. აუცილებლად უნდა იქნას ნებადართული, რომ თითოეულ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს თვითონ

შეეძლოს, განსაზღვროს შემოსავლის სხვადასხვა დონე, როგორც კრიტერიუმი ღარიბი პირის სტატუსის მინიჭებისთვის.

- „ დახმარების მინიჭების, გაანგარიშებისა და გადახდის პროცედურა GMI დონის უზრუნველყოფის მიზნით“ - რეგულაციები N 96, 25.02.2003.
- „ რეგულაციები გარანტირებული მინიმალური შემოსავლის დონისა და GMI დონის უზრუნველყოფისთვის საჭრო დახმარების თანხის შესახებ“ -რეგულაციები № 693 , 9.12.2003 . რეგულაციები განსაზღვრავს, ვის აქვს დახმარების მიღების შესაძლებლობა.

უნდა ვაღიაროთ, რომ ლატვიას აქვს საკმაოდ ფართო სოციალური კანონმდებლობა; ის მოიცავს ბევრ პროგრესულ პრინციპს და იქმნება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, მაგრამ პრაქტიკაში არსებული მუშაობა და გარანტიები ყოველთვის არ არის დაკმაყოფილებელი და ხელმისაწვდომი ყველა მაცხოვრებლისთვის.

სინ დობელნისის წიგნის „უსახლკარობა ლატვიაში: გადაჭრის გზების ძიებაში“, პირველი ოთხი თავის თარგმანის ანალიზი

თარგმნა არის ტექსტის გადატანა ერთი ენიდან მეორე ენაზე, არსებობს წერილობითი ან ზეპირი თარგმანი, მისი ძირითადი მახასიათებელია ერთი ენის გამონათქვამების მეორე ენაზე გადატანა, შესაბამისად, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ თარგმნა შეუძლია ნებისმიერ ადამიანს, თუმცა მთარგმნელობითი საქმიანობა ძალიან რთულია.

თარგმნა არის ენობრივ-ტექსტუალური პროცესი, სადაც წყარო-ენის გამოხატულებები სამიზნე ენის მონაცემებით გამოიხატება.

ყველა ეთანხმება, რომ აზრის სიზუსტე არის მნიშვნელოვანი ასპექტი თარგმანში, განსაკუთრებით სრული თარგმნისას. ტექსტის ავკარგიანობა ძირითადად განისაზღვრება ნათარგმნის აზრით. მნიშვნელოვანია, რომ ის ატარებდეს იგივე მნიშვნელობას , რასაც ორიგინალი [Catford, J.C. 1965 :35].

ზოგიერთი დამწყები მთარგმნელი მიიჩნევს, რომ სათარგმნი ენის ყოველი წინადადება ზუსტად უნდა ემთხვეოდეს ორიგინალის ტექსტს, თუმცა ეს შეხედულება მცდარია, რადგან თითქმის შეუძლებელია ორი ენის მონაცემების ზუსტი დამთხვევა. გასათვალისწინებელია უთარგმნელობის შემთხვევებიც, ასევე ენის ის სტრუქტურული თავისებურებები, რომლებიც თარგმნის პროცესში მრავალ სირთულეს ქმნის.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ენები ატარებენ კულტურულ და ეროვნულ ღირებულებებს, უცხო ენიდან თარგმნა ძირითადად შესაძლებელი იქნება მიახლოებით, თითოეულ სიტყვას გააჩნია თავისი ღირებულება, ორიგინალის ავტორს გააჩნია საკუთარი სტილი, რომლის გადმოტანაც ან ძალიან ძნელია ან თითქმის შეუძლებელი.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მთარგმნელის განსაკუთრებული როლი იმაში მდგომარეობს, რომ მან ისე უნდა გადაიტანოს ორიგინალური ნაწარმოები უცხო ენაზე და უცხო კულტურაში, რომ ამ პროცესში მაქსიმალურად შეინარჩუნოს ორიგინალის ინდივიდუალიზმი.

თარგმნის დასაწყისში მთარგმნელი ითვალისწინებს ორივეს- წყარო ენას და სამიზნე ენას და თარგმნის ტექსტს ყურადღებით. თუმცა მისთვის ძალიან ძნელია ზუსტად გაშიფროს სათარგმნი ტექსტი, ამიტომ იყენებს თავის შეხედულებას და ცდილობს ზუსტად შეასრულოს თარგმანი. ასე, რომ თარგმნა შეიძლება იყოს „მონობაც“ და“ თავისუფლებაც“. ყველასთვის ცნობილია, რომ ორიგინალის ტექსტი, ნათარგმნის ვერსია, ორიგინალის ენა და ნათარგმნის ენა მუდმივად იცვლება დროსა და სივრცეში[Md. Ziaul Haque; 2012 :99].

“თარგმნა არის პროცესი, რომლის დროსაც ხდება ტექსტის წყარო ენიდან სამიზნე ენაში გადატანა” [Foster, 1958:1]

მნიშვნელობის თარგმნა ხდება შემდეგნაირად :

- მნიშვნელობის გადატანა ერთი ენის ფორმიდან მეორე ენის ფორმაში.
- ფორმის შეცვლა იმისთვის, რომ სხვა სიტყვებით გამოიხატოს აზრი და პერეფრაზირება განმარტებისას. [Elenaz Janfaza:7122]

თარგმნის პროცესში პრობლემატური ხდება ქვეყნის კულტურასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიისა და სახელწოდებების თარგმნა, როგორებიცაა, მაგალითად, კერძების ან ეროვნული დღესასწაულების სახელწოდებები, მთარგმნელმა სწორად უნდა შეარჩიოს სამიზნე ენაში მათი ეკვივალენტები. ენა და კულტურა ერთმანეთისგან განუყოფელი ნაწილებია, რადგანაც ნებისმიერი საზოგადოების კულტურა არის დაკავშირებული მის გეოგრაფიასთან, ისტორიასთან, მითოლოგიასთან, რწმენასთან და შეხედულებებთან. ენა არის სწორედ საზოგადოების პროდუქტი, რომელიც მის კულტურას ასახავს. ამიტომ გვხვდება ისეთი ენობრივი განსხვავებები კულტურებს შორის, რომელთა გადატანა თარგმნისას სირთულეს ქმნის.

თარგმნის პროცეში იქმნება ტერმინოლოგიური, ლექსიკური, სემანტიკური, სტილისტური და სხვა პრობლემები.

მთარგმნელს უწევს ორი ენის სიტყვის ფორმების, მათში არტიკლის, წინდებულების გამოყენების, გრამატიკული დროებისა და ზმნის ფორმების ხმარების ერთმანეთთან შედარება. მათი განსხვავებების ზუსტი გაანალიზება, რათა ორიგინალის ანალოგი შექმნას სამიზნე ენაში. თუ მთარგმნელს სიღრმისეულად არ ეცოდინება ორიგინალისა და სამიზნე ენებისთვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებები ნაკლებად შესაძლებელია კარგი თარგმანის შექმნა.

"თარგმნა მოიცავს წყარო ენის ტექსტის ყველაზე მიახლოვებული და ბუნებრივი ეკვივალენტის შექმნას რეცეფტორ ენაში, პირველ რიგში, შინაარსის და შემდეგ სტილის მხრივ." [Nida 1969: 12]

თარგმნისას ვხვდებით ლექსიკურ პრობლემებს. ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც ერთ ენაში ფრაზით გამოიხატება ის, რაც მეორე ენაში ერთ სიტყვას აღნიშნავს.

თარგმანთმცოდნეობა გამოჰყოფს ოთხი სახის თარგმნის პრობლემას: ლინგვისტურ, კულტურულ, პრაგმატულ და ტექსტისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ პრობლემებს. ლინგვისტური პრობლემები იქმნება წყარო და სამიზნე ენებს შორის არსებული განსხვავებებით. ცნობილია, რომ არც ერთი ენათა წყვილი არ არის ერთნაირი. მათ აქვთ განსხვავებული გრამატიკული სტრუქტურა, იყენებენ განსხვავებულ იდიომატურ გამონათქვამებსა და ტერმინებს. მეორე კატეგორიას წარმოადგენს კულტურათა განსხვავებით განპირობებული პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნება ტექსტების ჟანრული განსხვავებულობით. პრაგმატული პრობლემები განიხილავს დროსთან, ადგილთან და კონტექსტთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს. და ბოლოს, ტექსტისთვის დამახასიათებელი სპეციფიური პრობლემები პირდაპირ დაკავშირებულია ტექსტთან. ეს შეიძლება იყოს ავტორის მიერ შექმნილი სხვადასხვა სიახლე [Laura-Rebeca; 2016:56].

განსხვავებები თარგმანებს შორის სამ ძირითად ფაქტორად იყოფა:

1. შეტყობინების ხასიათი;
2. მთარგმნელის მიერ წარმოდგენილი ავტორის ან ავტორების მიზნები;

3. მკითხველის ტიპი.

შეტყობინებები განსხვავდებიან იმ თვალსაზრისით, თუ მისი რომელი შინაარსი და ფორმაა მიჩნეული ძირითადად. რა თქმა უნდა, შეტყობინების შინაარსი არ შეიძლება იყოს დაშორებული ფორმისგან და ფორმა არაფერია შინაარსის გარეშე. მაგრამ, ზოგიერთ შემთხვევაში შინაარსი უფრო გასათვალისწინებელია, ვიდრე შეტყობინების ფორმა და ზოგჯერ -პირიქით [Eugene Nida; 2009:9].

თარგმნის პრობლემების განხილვისას მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ თარგმნის ძირთადი ტიპები. ესენია თავისუფალი თარგმანი და პერიფრაზული თარგმანი, როგორც მიახლოებული და პირდაპირი თარგმანები. თუმცა, ამ ორი ძირითადი სახის გარდა, არსებობს თარგმნის შესრულების სხვა ტიპებიც[Eugene Nida; 2009: 8].

ინფორმაციული თარგმანის ძირითადი ფუნქცია არის რაიმე სახის ინფორმაციის გადმოცემა და არა მხატვრულ- ესთეტიკური ზემოქმედების მოხდენა მკითხველზე.

სამეცნიერო თარგმანის თავისებურებებს წარმოადგენს აზრის სიზუსტე, ლაკონურობა, ლოგიკურობა და ობიექტურობა. ამ თემატიკის დოკუმენტების ძირითადი ფუნქციაა ინფორმაციის მიწოდება და მისი მართებულობის დამტკიცება.

ლექსიკის თვალსაზრისით სამეცნიერო სტილი ხასიათდება ერთი და იგივე სიტყვების ხშირი განმეორებით და სუბიექტური ხასიათის სასაუბრო ლექსიკის არარსებობით. ასეთი ტექსტის მთარგმნელი რაციონალურად, ობიექტურად გადმოსცემს ფაქტებს.

მეცნიერების სხვადასხვა დარგის (მაგ.: ბიოლოგია, მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, ფსიქოლოგია და ა.შ) თარგმანი მოითხოვს არა მხოლოდ ენის ცოდნას, არამედ ორიგინალის გააზრების უნარსაც. მნიშვნელოვანია ინფორმაცია ითარგმნოს ადეკვატურად, უზუსტობების და აზრის დამახინჯების გარეშე.

თარგმნის დროს სირთულეების წაროქმნისას გასათვალისწინბელია შემდეგი გარემეობები:

-ორი ენის ცოდნა

-სიტყვების მნიშვნელობა

-აღქმა

-ტექსტის დრო და ვითარება , რომელშიც ის დაიწერა

-ტექტის ავტორის ინდივიდუალიზმისა და გამოცდილების ინტერპრეტაცია [Laura Rebeca Stiegelbauer;2016: 56].

რადგანაც იურიდიული თარგმანი სამეცნიერო თარგმანის კლასს მიეკუთნება, მისთვისაც დამახასითებელია ზემოხსენებული ნიშან-თვისებები. იურიდიული თარგმანი ითვლება წერილობითი თარგმანის ერთ-ერთ ყველაზე რთულ სახეობად. იურიდიული ტექსტებისათვის დამახასიათებელია სპეციალური ტერმინების და გრძელი, რთული წინადადებების სიუხვე, რომელთაგან აზრის გამოტანა ტექსტის რამდენჯერმე წაკითხვის შემდეგაც არ არის მარტივი. ასეთ მასალაში გარკვევა უკეთესად შეუძლია მხოლოდ იურისტს ან მთარგმნელს, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს იურიდიული თემატიკის მასალების თარგმნასა და კორექტირებაში.

იურიდიული თარგმანის დროს მთარგმნელს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. ხშირად მის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული კომერციული გარიგებების, ფინანსური ოპერაციების თუ დიპლომატიური ურთიერთობების შედეგები. თარგმანის ამ სახეობაში არ არსებობს წვრილმანები, დაუშვებელია ტექსტის ფრაგმენტების გამოტოვება და რაოდენობრივი მონაცემების დამახინჯება.

ლინგვისტიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტექსტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნისას. ინფორმაციის თარგმნა მოიცავს უფრო მეტს, ვიდრე თითოეული სიტყვის გადატანაა ორიგინალის ენიდან მეორე ენაზე.

ლინგვისტიკის შესწავლა ნიშნავს ადამიანის ენის შესწავლას. ის შეიძლება დაიყოს ქვეკატეგორიებად, კერძოდ, გრამატიკად, რაც გულისხმობს ენის სტრუქტურის და

წესების სისტემის შესწავლა. ის მოიცავს შემდეგ სფეროებს: მორფოლოგიას, რომელიც შეისწავლის სიტყვის ფორმირებას; სინტაქსს, რომელიც შეისწავლის ამ სიტყვების ფორმირებას წინადადებაში და ფრაზებში მათ განლაგებას; ფონოლოგიას, რომელიც შეისწავლის ხმათა სისტემებს; სემანტიკას, რომელიც შეისწავლის სიტყვების მნიშვნელობებს. კარგი თარგმანი კი ნიშნავს ყველა ლინგვისტური ფუნქციის დაცვას.

ინგლისური ენა სტილისტური თვალსაზრისით რთული სინტაქსით ხასიათდება; იგი გამოირჩევა რთული თანწყობილი, ქვეწყობილი წინადადებებით, ამიტომ მთარგმნელები ინგლისური წინადადებების გასამარტივებლად სხვადასხვა მეთოდს მიმართავენ. ეს მეთოდები მათ ინგლისური დროის კატეგორიების, სახელის ბრუნვათა სისტემის (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი), ინფინიტივიტიური კონსტრუქციების, მოდალური ზმნების ქართულად თარგმნის პროცესში ეხმარებათ.

მოდალური ზმნების გამოყენება ჩვენ მიერ თარგმნილი ტექსტის შემდეგ წინადადებებში შეიმჩნევა:

„ It should be noticed not any poverty shall be related to the culture of poverty, because not all the poor people possess these specific values" [S. Dobelniece;2007:27]. თარგმანში: *„უნდა აღინიშნოს, რომ ვერანაირი სიღარიბე ვერ დაუკავშირდება კულტურულ სიღარიბეს, რადგან ყველა ღარიბი ადამიანი არ ფლობს ასეთ სპეციფიურ ღირებულებებს."*

ამ ნაშრომის თარგმნის პროცესში სირთულეს ინლისური ენის სინტაქსის სხვა მახასიათებელიც წარმოშობდა, კერძოდ, გადატვირთულობა სხვადასხვა სინტაქსური წევრით, განსაკუთრებით, ნაწილაკებით და კავშირებით. ამიტომაც, ამავე წინადადებაში დამჭირდა მისი შემადგენელი ცალკეული წევრების რაოდენობრის შემცირება, რათა ქართული ენისათვის ბუნებრივი ყოფილიყო და არ გამოეწვია უჩვეულო ეფექტი და მკითხველის დაძაბულობა.

იცვლება სინტაქსური სტრუქტურა შემდეგი ფრაზის *თარგმნისას: „ Relations between a subculture and dominating culture" [S. Dobelniece;2007:27].* ეს წინადება გადავთარგმნე ამგვარად: *„ქვეკულტურასა და გაბატონებულ კულტურას შორის ურთიერთობა".*

ასევე იცვლება თარგმნისას შემდეგი ფრაზის სინტაქსური სტრუქტურა: *„ Attitudes , values and character of an individual" [S. Dobelniece;2007:27]. „ინდივიდის დამოკიდებულება, ხასიათი და ღირებულებები."*

მაგალითად, წინადადებაში: *„ A vicious circle is formed , which having including a person within itself, does not let the person go away" [S. Dobelniece;2007: 29].* წინადადებაში, თუ დავაკვირდებით, გამოყენებულია *„person"* ორჯერ ზედიზედ, რაც ტავტოლოგიის მანიშნებელია. აქედან გამომდინარე, სათარგმნ ენაში ასე გადავიტანე: *„ჩამოყალიბდა მანკიერი წრე, რომელსაც ადამიანი შეჰყავს ამ ჯგუფში და აღარ აძლევს მისი დატოვების საშუალებას."*

ტექსტში ბევრია ზედსართავი სახელი, ზმნები, რთული სინტაქსური კონსტრუქციები. აქ ხდება ახლის ძიება არა მხოლოდ სემანტიკურ, არამედ სინტაქსურ სტრუქტურებში, ამიტომაც გართულებული ენის გამო თარგმნისას გარკვეული წინააღმდეგობებიც წარმოიქმნა.

მაგალითად *:"In night shelters they couldn't be met and also get interviewed relatively easier , however , the fact that not all the homeless people get to shelters , a lot of them are not affiliated to any official institutions , was taken into consideration. "[S. Dobelniece;2007:62] „ღამის თავშესაფრებში ასეთი პირების ნახვა და მათგან ინტერვიუს აღება შედარებით ადვილად არის შესაძლებელი, თუმცა გათვალისწინებული იქნა ის ფაქტიც, რომ ყველა უსახლკარო არ მიდის თავშესაფარში და ბევრი მათგანი არ არის აფილირებული ოფიციალურ ინსტიტუტებში."*

გრამატიკული თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, ის მიეკუთვნება რთულ ჩართულ წინადადებას, რომლის ქართულ თარგმანში რამდენიმე ნაწილი გავაერთიანე. მასში ასევე გამოყენებულია ვნებითი გვარი. მაგალითად: "*they could not be met..* "

თარგმნისას ხშირ შემთხვევაში იცვლება ხოლმე ვნებითი მოქმედებითით, მაგრამ ამ წინადადების თარგმანმა ქართულშიც მოითხოვა ვნებითი გვარი.

მაგალითად: *"Crisis homelessness -it occurs when people are rendered homeless by personal catastrophe , such as family breakdown , bereavement, disaster or eviction." [S. Dobelniece; 2007: 44] "კრიზისული უსახლკარობა -ეს არის სიტუაცია, როდესაც ადამიანები უსახლკარონი ხდებიან პირადი უბედურების შედეგად, როგორიცაა: ოჯახის დანგრევა, დაობლება, უბედურება ან გამოსახლება."*

ამ წინადადებაში *"bereavement"*- ს არ აქვს პირდაპირი თარგმანი და მას შევუსაბამე *„დაობლება"*, რომელ სიტყვასაც ინგლისურში უკვე აქვს სხვა აღმნიშვნელი. თუმცა, კონტექსტუალურად ეს მნიშვნელობა იყო შესაფერისი.

ასეთი მცირეოდენი ცვლილებების შეტანის უფლება ნამდვილად აქვს მთარგმნელს, ამიტომაც არის თარგმნა რთული ფენომენი და მხოლოდ გამოცდილ მთარგმნელებს შეუძლიათ მისი წარმატებით შესრულება.

მაგალითად, თარგმნის პროცესში შევცვალე შემდეგი წინადადების წყობა *: „ The critics find several problematic issues , regarding the structural explanations of poverty" [S. Dobelniece;2007:25]* ქართულად ვთარგმნე შემდეგნაირად: *„სიღარიბის სტრუქტურულ განმარტებაში კრიტიკოსებმა აღმოაჩინეს რამდენიმე პრობლემური საკითხი."* ამ წინადადებაში მთლიანად შევცვალე წყობა და სტრუქტურულად ვეცადე გამემარტივებინა და სრულად გადმომეცა ავტორის ნააზრები.

ორიგინალის ტექსტის თარგმნისას მთარგმნელს, რა თქმა უნდა, უწევს გრამატიკული თუ სინტაქსური ცვლილებების შეტანა სამიზნე ენაზე ტექსტის გადატანისას.

სინტაქსური სტრუქტურების ფორმების თარგმნისას მე, როგორც მთარგმნელმა, რიგ შემთხვევაში უპირატესობა მივანიჭე ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმებს.

მაგალითად, ორიგინალში ვნებით გვარში მოცემული წინადადება თარგმანში გადავიყვანე მოქმედებითში:

"Poverty is not being restricted or eliminated even when the society has sufficient means to do it , as poverty exists not due to a shortage of resources, but because it fulfils certain funtions

vital for the society." [S. Dobelniece;2007: 24] ეს წინადადება გადავთარგმნე შემდეგნაირად: *„სიღარიბე არ ნიშნავს საზოგადოებისგან შეზღუდვას ან გარიყვას, მაშინაც კი, როდესაც მას აქვს ამის გაკეთების საშუალება, რადგან სიღარიბე არსებობს არა რესურსების სიმცირის გამო, არამედ იმიტომ, რომ ის ასრულებს საზოგადოებისთვის აუცილებელ სასიცოცხლო ფუნქციას."*

ჩვენთვის ცნობილია, რომ იურიდიულ ლიტერატურას და ზოგადად, ოფიციალურ დოკუმენტებს სჩვევია რთული, ჩართული წინადადებები, მთარგმნელს უწევს ასეთი წინადადებების დაყოფა, გამარტივება, რათა ნათარგმნი, რაც შეიძლება ზუსტად გადმოსცემდეს ორიგინალის აზრს და ავირიდოთ ბუნდოვანება. ამის დასასაბუთებლად მაგალითად მოვიყვან ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას:

„The author, in principle , while agreeing to the fundamental thesis that poverty is caused by "outer factors",which are independent from individuals, interpret the causes of poverty in a different way, discovering them in the activities of the social support system, in the social stratification of the society, and in the labour market organization." [S. Dobelniece;2007:20] ვთარგმნე შემდეგნაირად:

„ავტორი ეთანხმება ფუნდამენტურ თეზისს, რომ სიღარიბე ცალკეული ადამიანისგან დამოუკიდებელი „გარე ფაქტორებით" არის გამოწვეული და ამ მიზეზებს რამდენიმე ხერხით ხსნის. პრობლემები სოციალური მხარდაჭერის სისტემაში, საზოგადოების სოციალურ ფენებად დაყოფასა და შრომითი ბაზრის ორგანიზაციაში."

როგორც ჩანს, ეს აბზაცი დავყავი რამდენიმე წინადადებად, ასევე გავაერთიანე მძიმით გამოყოფილი რთული წინადადებები და ვეცადე ნათარგმნ ტექსტში ბუნებრივად გადმოსულიყო ორიგინალი. ინფორმაციულადაც ტექსტი სრულად გადმოვიდა, დანაკარგების გარეშე. სწორედ ეს არის თარგმნის პროცესის ერთ-ერთი სირთულე, რომელიც მთარგმნელს თითქმის ყოველ წინადადებაში ხვდება.

ასევე მოვიყვან ჩართული წინადადების მაგალითს: *„Between the above two extremes, that is, the blaming of pathology of the person and societal structure and functions, the cultural explanations of poverty exists." [S. Dobelniece;2007:25]*, რომელიც ვთარგმნე შემდეგნაირად: *„კულტურული სიღარიბე არსებობს ზემოთ მოცემულ ორ უკიდურესობას შორის, რომლებიც სიღარიბეში ადანაშაულებენ ადამიანის პათოლოგიას, საზოგადოებრივ სტრუქტურას და ფუნქციებს."*

ორიგინალის ჩართული წინადადება სამიზნე ენაში ბუნებრივი სინტაქსური სტრუქტურის მისაღებად გადავიყვანე რთულ თანწყობილ წინადადებად, რომელმაც სრულყოფილად გადმოიტანა ორიგინალის აზრი.

სირთულეს ქმნის ფრაზეოლოგიზმების გადათარგმნა, რომლებიც მყარი სიტყვათშეთანხმებებია, ასევე ტექსტში გვხვდება იდიომები, ფრაზები, გამონათქვამები და გადატანითი მნიშვნელობის სხვა ფრაზები.

ამ ნაშრომის თარგმნისას შემხვდა ისეთი სპეციფიკური ფრაზები, როგორებიცაა: "culture of poverty", რომელსაც ეკვივალენტად ქართულ ენაში შევუსაბამე "კულტურული სიღარიბე", ასევე ორიგინალის ტექსტის ძირითადი ტერმინებია: "social exclusion" საზოგადოებისგან გარიყვა, "bag-ladies" – რაც ნიშნავს ჩანთებით მოსიარულე მაწანწალა ქალებს, ასევე "street children" ქუჩაში მცხოვრები ბავშვები, „insufficient resources"- არასაკმარისი რესურსები, „begging" -მათხოვრობა, „roaming"- ხეტიალი, „dominating society"- გაბატონებული საზოგადოება, „night shelters"- ღამის თავშესაფრები, „welfare system" - საზოგადოებრივი კეთილდღეობის სისტემა, „drug edict" - ნარკოდამოკიდებულება, „economic deprivation" - ფინანსების უქონლობა, „social services" - სოციალური მომსახურებები, „ dwelling"- საცხოვრებელი ადგილი, „poor health" - სუსტი ჯანმრთელობა, „social assistance"- სოციალური დახმარება.

თარგნისას სირთულე შექმნა, პირველ რიგში, აღნიშნული წიგნის სათაურის თარგმნამ, რადგან ორიგინალში: *„Homelessness in Latvia: In the search of understanding"* პირდაპირი თარგმანი შემდეგია: *" უსახლკარობა ლატვიაში: ახსნის ძიებაში"* თუმცა, ეს

თარგმანი ზუსტად ვერ გამოხატავს რისი ძიება იგულისხმება, შესაბამისად, ტექსტზე დაყრდნობით შევცვალეთ შემდეგნაირად: *„უსახლკარობა ლატვიაში: გადაჭრის გზების ძიებაში“.* ამასთან ერთად, ტექსტში გვხვდებოდა რთულად სათარგმნი ფრაზები, მაგალითად: *Culture of poverty- კულტურული სიღარიბე, cultural deprivation- კულტურის უქონლობა, deprived children- ღატაკი ბავშვები, culture of dependence- დამოკიდებულების კულტურა და სხვა.*

ტექსტის ანალიზისას აუცილებელია შევეხოთ ტექსტის ლინგვისტურ თავისებურებებსაც. ყურადღება უნდა გამახვილდეს გრამატიკული მოვლენების შედარებაზე, რადგან ვიცით, რომ ენები ერთმანეთისგან არა მხოლოდ ლექსიკურად, არამედ სხვა მრავალი ასპექტითაც შეიძლება განსხვავდებოდნენ. აქედან გამომდინარე ტექსტის ანალიზისთვის საინტერესო იქნება ამ გრამატიკული განსხვავებების ანალიზი და მათი ამსახველი მაგალითების მოყვანა.

ფრაზაში: *„Lasting marginality, regarding the labor market" [S. Dobelniece;2007: 30*], ავტორს გამოყენებული აქვს არასრული ასპექტი, მაგრამ სამიზნე ენაში ამ ფრაზის თარგმნისას არ გამოვიყენე არასრული ასპექტი და შემდეგნაირად ვთარგმნე :

„ შრომით ბაზარზე დაბალშემოსავლიანობის სიჭარბე .“

მართებულად მივიჩნიე შემეცვალა როგორც სიტყვის გრმატიკული ფორმა, ასევე წინადადების წყობაც, ორიგინალის ენაში რამდენიმე სიტყვით გადმოცემული შინაარსი, თარგმანის ენაში გადმოვიტანე ერთი ეკვივალენტური სიტყვით.

წინადადების: „ As K. Auletta claims, for the majority of the poor people poverty is not a constant condition, and within one or two generations they overcome it. " [S. Dobelniece; 2007:30] მოგვყავს ციტირებული ტექსტის შესაბამისი ქართული თარგმანი: *„კ. აულეტას (K. Auletta) მტკიცებით, ღარიბი ხალხის უმრავლესობისთვის სიღარიბე არ არის მუდმივი მდგომარეობა , ის დაიძლევა ერთ ან ორ თაობაში.“*

ამ მაგალითში მინდა აღვნიშნო ინგლისურ და ქართული ენებს შორის არსებული გრამატიკული განსხვავებები, წინადადებაში მათი ერთეულების სხვაგვარი გამოყენება. მაგალითად, ამ შემთხვევაში ორიგინალის ენაში გამოყენებულია პირის ნაცვალსახელი *„they"* და *"it",* რომლებიც ქართულ თარგმანს ზედმეტად დატვირთავდა და არაბუნებრივს გახდიდა. ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება მათი თარგმანიდან ამოღებისა.

„This idea complies with the idea of the culture of poverty , but similarly , is also criticized and validated by research , even stating that it "is wrong and therefore cannot be useful" [S. Dobelniece; 2007:31]. მოგვყავს ამ წინადადების ქართული თარგმანი: *„ეს აზრი ემთხვევა სიღარიბის კულტურის შეხედულებას, მაგრამ მასაც აკრიტიკებენ მკვლევრები, იმასაც კი ამტკიცებენ, რომ „არასწორი და, შესაბამისად, გამოუსადეგარია."*

ამ წინადადებაში გამოყენებულია სიტყვა „idea" ორჯერ მიყოლებით, რამაც ორიგინალის ენაში არ გამოიწვია ისეთი ხარვეზი, როგორსაც ქართულში გამოიწვევდა, ამიტომ ერთი და იმავე სიტყვის ორჯერ ზედიზედ გამოყენებისათვის თავი რომ ამერიდებინა, მოვიხმე მისი სინონიმი „შეხედულება" , რომელიც იმავეს გამოხატავს, რასაც ორიგინალში „აზრი".

თარგმნის პროცესში შესაძლოა წინ წამოიწიოს სრულიად უმნიშვნელო ენობრივმა მოვლენამ, რომელსაც არც წყაროენის და არც სამიზნე ენის სისტემაში დიდი როლი არ აქვს. თუმცა ამ ენობრივმა მოვლენამ ტექსტში შეიძლება მიიღოს ისეთი დატვირთვა, რომლის გარეშეც ტექსტის მთელი აბზაცი ან თავი მთლიანად დაკარგავს თავის ფუნქციას.

აქ საქმე გვაქვს მოდალურ ნაწილაკებთან, ენობრივ, ფორმალურ სემიოტიკურნიშნებთან, რომლებსაც თითქოს ენაში ფუნქცია არ აქვთ, მაგრამ მათი თარგმნა დიდ ყურადღებასა და ცოდნას მოითხოვს ლინგვისტურ თუ ემოციურ დონეზე.

ნაწილაკები ხშირად გამოხატავენ შინაარსობრივი მნიშვნელობის ნიუანსებს. შესაბამისად, მათ დიდი დატვირთვა გააჩნიათ. ისინი, ძირითადად, გვხვდება იმ სიტყვებთან, რომლებიც გამოიყენებიან გრამატიკულ კატეგორიებთან (უარყოფა, კილო, ბრუნვა).

ძნელია, მთარგმნელმა თარგმნის პროცესში გაიაზროს, თუ როგორ ხდება სრული მნიშვნელობის აღმნიშვნელი სიტყვის მოძიება, სად და როგორ უნდა შეარჩიოს მან ესა თუ ის სიტყვა. წინადადებაში, ბუნებრივია, ყველა სიტყვა არ შეესაბამება ორიგინალის სიტყვას, თუმცა სათარგმნ ტექსტში ადეკვატური სიტყვის შერჩევა მთარგმნელის ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულებაა.

წინადადება: *„Not all the authors hold an unanimous view that alcoholism or drug addiction is a cause for homelessness …" [S. Dobelniece;2007: 48]* ქართულად ვთარგმნე შემდეგნაირად: *„ყველა ავტორს არ აქვს ერთიანი აზრი, რომ ალკოჰოლიზმი ან ნარკოდამოკიდებულება არის უსახლკარობის მიზეზი."*

ამ წინადადებაში ორიგინალის ენაში მოცემული უარყოფის ნაწილაკი გადავიტანე წინადადების სხვა ნაწილში, რათა გამართული ყოფილიყო წინადადება.

წინადადებაში: *"There are some indications that the subject of La Vida were chosen" [S. Dobelniece;2007:33]* მოყვანილი ესპანური *"La Vida"* მივიჩნიე, რომ უნდა გადმომეტანა უთარგმნელად, ზუსტად ისე, როგორც მოცემული იყო ორიგინალში, ცვლილების გარეშე, რადგან ორიგინალის ავტორმა უცხოენოვანი სიტყვა ასე ჩათვალა საჭიროდ, რომ გამოეყენებინა.

მაგალითად: *"Sleeping rough might be a deliberate choice in order to send money home to supplement their livelihood . "[S. Dobelniece; 2007:44]* ქართული თარგმანი: *"ღია ცის ქვეშ ძილი შეიძლება იყოს მიზანშეწონილი არჩევანი იმისათვის, რომ სახლში გაავზავნონ ფული დამატებითი საარსებო საშუალებებისთვის."* ამ წინადადების ორიგინალში მოცებულია ფრაზა *"sleeping rough",* რომლის პირდაპირი თარგმანი იქნებოდა "უხეში ძილი". ამ შემთხვევაში გამოვიყენე კონტექსტუალური თარგმანი და სამიზნე ენაში გადავიტანე, როგორც "ღია ცის ქვეშ ძილი".

მაგალითად *წინადადება: „ Homeless people are people who have no home or a permanent place of living." [S. Dobelniece;2007 :36]* ვთარგმნე, როგორც: *„უსახლკარო*

ხალხი ისეთ კატეგორიას განეკუთვნება, რომელსაც არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.“

ამ წინადადებაში ორიგინალის ენისგან განსხვავებით შინაარსის სრულყოფილად გადმოტანის მიზნით დავამატე რამდენიმე სიტყვა. მაგალითად, არ იყო ორიგინალში ნახსენები: *„ისეთ კატეგორიას განეკუთვებიან, სადაც...“* , მაგრამ მისი ჩასმა სამიზნე ენის ტექსტში საჭიროდ ჩავთვალე. ასევე ორიგინალის ტექსტში გამოყენებულია *„people“, „ხალხი“* რამდენიმეჯერ, რისი გამეორებაც ქართულ თარგმანში არ ჩავთვალე საჭიროდ.

იმის გათვალისწინებით, რომ ტექსტი არის იურიდიული ხასიათის, გვხვდება აბრევიატურები. ეს არის რთული შემოკლებული სიტყვა; მიიღება ორი ან რამდენიმე შემოკლებული სიტყვის ან აბრევიატურაში შემავალი სიტყვების პირველ ასოთა შეერთებით. მაგალითად: *EU (European union) [S. Dobelniece;2007:36], ევროკავშირი, UK (United Kingdom)- დიდი ბრიტანეთი* და *FEANTSA -(European Federation of National Organizations Working with the Homeless) უსახლკარობის თემაზე მომუშავე ეროვნულ ორგანიზაცია-თა ევროპული ფედერაცია. [S. Dobelniece; 2007: 36]*

ამოსავალ ტექსტში ვხვდებით ზმნის როგორც მოქმედებითის, ასევე პასივის ფორმებს, რაც თარგმნის პროცესში სამიზნე ენის სისტემის სწორ გამოყენებასაც მოითხოვს. როგორც ლექსიკური, ასევე გრამატიკული კონსტრუქციების ენაში გადატანა მთარგმნელისათვის ტექსტის ცალკეული სტრუქტურების ფორმისა და შინაარსის შენარჩუნებას მოითხოვს.

წინადადებაში: *„ For women ,homelessness usually results from eviction, domestic violence or other family problems, men become homeless more often because of substance abuse, ” [ს. დობელმენი;2007:49]* რომლის ქართული თარგმანია: *„ქალებისათვის, როგორც წესი, უსახლკარობის მიზეზი ხდება გამოსახლება, ოჯახური ძალადობა ან სხვა მსგავსი პრობლემები, მამაკაცები უფრო ხშირად უსახლკარონი ხდებიან ალკოჰოლისა და ნარკოტიკის ბოროტად გამოყენების გამო“, „abuse” “substance “*-სთან მიმართებით ითარგმნება, როგორც *„ალკოჰოლისა და ნარკოტიკის ბოროტად გამოყენება“ .*

მსგავსი *წინადადება: „Other risk factors include : sexual or physical abuse, family disputes and breakdowns.“ [ს. დობელმენი;2007:48-49]* ვთარგმნე, როგორც: *„სხვა რისკ-ფაქტორებია: სექსუალური და ფიზიკური შეურაცხყოფა, ოჯახური კონფლიქტები ან ოჯახის დანგრევა.“*

წინა მაგალითისგან განსხვავებით, ამ წინადადებაში *„abuse”* ვთარგმნე, როგორც *„ბოროტად გამოყენება“,* მეორე წინადადებაში კი - *„შეურაცხყოფა“.* აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ ამ სიტყვას ეკვივალენტობის მაღალი ხარისხი გააჩნია და შეიძლება ქართულ ენაში რამდენიმე განსხვავებული მნიშვნელობით გადმოვიდეს.

წინადადება: *„ Some sources mention legal and social differences between individuals and social strata to belong to the structural factors , encouraging homelessness.”. [ს. დობელნისი;2007:49]* ვთარგმნე შემდეგნაირად: *„ზოგიერთ წყაროში ნახსენებია ინდივიდებსა და სოციალურ ფენებს შორის განსხვავებები, რომლებიც სტრუქტურულ ფაქტორს მიეკუთვნება და ხელს უწყობს უსახლკარობას.“*

„The structural factors can be grouped in the following major categories , which do not exclude each other , but supplement.” [ს. დობელნისი;2007:50] „სტრუქტურული ფაქტორები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგ ძირითად კატეგორიებად, რომლებიც კი არ გამორიცხავენ ერთმანეთს , არამედ ავსებენ.“

ჩვენ ვიცით, რომ *„but”* კავშირს აქვს *„ მაგრამ“* მიშვნელობა, თუმცა, ამ შემთხვევაში მან გამოავლინა განსხვავებული შინაარსი და დავწერე „არამედ“ მნიშვნელობით, ტექსტის კონტექსტიდან გამომდინარე, რათა არ დაეკარგა აზრს ერთიანობა. ასეთი შემთხვევები ხშირია ხოლმე თარგმნისას და ეს მთარგმნელმა კარგად იცის.

თარგმნისას ერთ-ერთ პრობლემად შეიძლება წამოიჭრას ფრაზეოლოგიური ზმნების თარგმნა. ინგლისურ ენაში გარკვეული ზმნების კომბინაცია წინდებულებთან ქმნის ფრაზეოლოგიზმებს, ეს წინდებულები ზმნებს უცვლიან მნიშვნელობას. ამ ფრაზული ზმნების გადატანა სამიზნე ენაში ძირითადად ერთისიტყვიანი ეკვივალენტით ხდება. ნაშრომში საკმაოდ ბევრი იყო ასეთი ზმნები, მაგალითად: *“caught up- მიახლოება” [ს.*

დობელნისი;2007:47] ,"cope with- თავის გართმევა, გადალახვა"[ს. დობელნისი;2007 :49] და სხვა.

ფრაზეოლოგიური გამოთქმა ტექსტის უნიკალური, განუმეორებელი შემადგენელი ნაწილია. მისი დაკარგვა ან დამახინჯება თარგმანში იოლია, შენარჩუნება კი ძნელი. თარგმანი უნდა ფასდებოდეს მისი ენის მრავალფეროვანი ლექსიკის გამოყენებით, ენის სტილისტიკის და გრამატიკული წესების კარგი ცოდნით და, აგრეთვე, შემოქმედებითობით.

ჩვენთვის ცნობილია, რომ სამეცნიერო სტილის. კერძოდ კი იურიდიული ხასიათის ტექსტის თარგმნისას, ნაკლებად შეიძლება მთარგმნელი გადააწყდეს ასეთ ხატოვან სტილს, რადგანაც იგი ძირითადად მხატვრული ლიტერატურისთვისაა დამახასიათებელი. თუმცა, გარკვეული ტიპის ფრაზეოლოგიური გამონათქვამები და იდიომები იურიდიულ ტექსტებშიც შეიძლება შეგვხვდეს.

დასკვნა

სათარგმნელად შევარჩიე წიგნი „უსახლკარობა ლატვიაში: გადაჭრის გზების ძიებაში", რომლის ავტორია სინ დობელნისი, ეს არჩევანი განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ დღესდღეობით არა მხოლოდ ლატვიაში, არამედ საქართველოშიც და ასევე მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში სიღარიბე და უსახლკარობა გადაუჭრელი და მზარდი პრობლემაა და ეს ნაშრომი მრავალი მკითხველისათვის იქნებოდა საჭირო, მნიშვნელოვანი და აქტუალური.

ჩვენი მიზანი იყო, შეგვესრულებინა ისეთი თარგმანი, რომელიც მის მკითხველს იმავე ინფორმაციას მიაწოდებდა და იმავე ემოციურ შთაბეჭდილებას მოახდენდა მასზე, როგორსაც ორიგინალი ახდენს დონორ კულტურაში.

ჩვენთვის მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენდა კომუნიკაციური აქტი. მხედველობაში გვქონდა არა მხოლოდ ავტორისეული ინტენცია, არამედ რეცეპტორის პოზიცია კომუნიკაციურ სიტუაციაში, ქართული ენის ტრადიციები.

სათარგმნელად შერჩეულ იურიდიულ ტექსტს, როგორც სხვა სამეცნიერო სტილის ტექსტთა უმრავლესობას, ახასიათებდა სპეციალური ტერმინების და გრძელი, რთული წინადადებების სიუხვე, რომელთაგან აზრის გამოტანა ზოგ შემთხვევაში ტექსტის რამდენჯერმე წაკითხვის შემდეგაც არ იყო მარტივი.

ორიგინალის რთული, ჩართული წინადადებები, ხშირ შემთხვევაში დავყავით, გავამარტივეთ, რათა რაც შეიძლება ზუსტად გადმოგვეცა ორიგინალის აზრი და თავიდან აგვერიდებინა, ერთი მხრივ, ბუნდოვანება და, მეორე მხრივ, ორაზროვნება.

თარგმნისას ბევრჯერ წარმოიქმნა ეკვივალენტობის პრობლემა. მართალია, ენებს შორის აბსოლუტური ეკვივალენტების პოვნა ძალიან ძნელია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში კონტექსტუალური სინონიმებით მივაღწიეთ მიზანს.

თარგმნის პროცესში ძირითადად მოგვიწია წინადადებების წყობის შეცვლა, რადგანაც ინგლისურსა და ქართულს განსხვავებული წინადადებების წყობა, გრამატიული მახასიათებლები და შინაარსის გადმოცემის ხერხები აქვს. მთარგმელს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ გამოტოვოს ისეთი სიტყვები რომლებიც დიდ დანაკლისს არ წარმოქმის და ეს შესაძლებლობა საჭიროებისამებრ ჩვენც გამოვიყენეთ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მთარგმნელისათვის აუცილებელია არა მარტო თეორიული ცოდნა, არამედ იმის გათავისებაც, რომ მთარგმნელობით პრაქტიკაში თარგმანის მთავარ წარმატებას მთარგმნელის მიერ შესაბამისი ფორმებისა და ადეკვატური ერთეულების მოძიება განაპირობებს. ეკვივალენტის არ არსებობის შემთხვევაში დაგვჭირდა კონტექსტუალური ახსნის ხერხის გამოყენება.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ლიტერატურა:

1. “Homelessness in Latvia : In the search of understanding”- Signe Dobelniece; TLU KIRJASTUS-TALLINN-2007

2. “Translation problems and difficulties in applied translation processes”- Laura-Rebeca Stiegerbauer, Diana Bianca Husar; 2016

https://www.researchgate.net/publication/315528028_Translation_Problems_and_Difficulties_in_Applied_Translation_Processes

3. “Language , literature and translation : Problems and the solution” -written by Pradip Sharan

http://www.elthelpline.com/index.php/articles-new/15-language-literature-and-translation-problems-and-the-solution

4. Foster, M. (1958) Translation from/in Farsi and English. Retrieved April, 2007, https://www.elixirpublishers.com/articles/1350306235_44%20(2012)%207121-7125.pdf

5.”Linguistics and Translation” -Translation: mission to proxy - Elenaz Janfaza , Elixir Ling. & Trans. 44 (2012) 7121-7125 https://www.elixirpublishers.com/articles/1350306235_44%20(2012)%207121-7125.pdf

6. Dynamic Equivalence: Nida’s Perspective and Beyond Dohun Kim https://pdfs.semanticscholar.org/cda4/81154e35afef09ad002c7ea2794b823bddbe.pdf

7. Linguistic Approaches to Translation-Eugene Nida (2009) http://heep.unipus.cn/bookdata/9787560085760y.pdf

8. THE ROLE OF LINGUISTICS IN TRANSLATION- 04/05/13 https://www.itcglobaltranslations.com/the-role-of-linguistics-in-translation/

9. International Journal of English Linguistics; Vol. 2, No. 6; 2012 ISSN 1923-869X E-ISSN 1923-8703 Published by Canadian Center of Science and Education 97 Translating Literary Prose: Problems and Solutions Md. Ziaul Haque https://www.researchgate.net/publication/271313390_Translating_Literary_Prose_Problems_and_Solutions

10. Catford, J.C. (1965). A linguistic theory of translation. London: Oxford University Press. https://archive.org/details/J.C.CatfordALinguisticTheoryOfTranslationOxfordUniv.Press1965

11. https://www.wikipedia.org/

გამოყენებული ლექსიკონები:

1. https://dictionary.ge/
2. https://dictionary.cambridge.org/
3. https://www.thefreedictionary.com/

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

MA Programme Translation Theory nd Practice

Tiko mgeliashvili

“Homelessness in Latvia: In the search of understanding”- by Signe Dobelniece (Tallinne University; 2007)

(Translation and Translation analysis of the 1st, 2nd, 3rd, 4th chapters)

The thesis submitted for gaining the academic degree of Master in philology

Supervisors: Professor: Nana Gaprindashvili

Doctor of Philology: Lela Abdushelishvili

Tbilisi

2019

დანართი 2